

სიზმარი

# მარად მოგაგონდები!



კინოდარბაზი

# როგორი უჟმური უნდა ვყოფილიყავი, ლიკა რომ არ შემყვარებოდა!



იუბილე

# აქაური ნესია!

ჭაბუა - 85


#1

# მამული

ასავალ დასავალის პარტნიორობით

2003 წლიდან




ქუთაისში ყოველდღე ვიღაც ბრუნდება. ახლახან ქალაქს „პიკასოს ბიჭი“ დაუბრუნდა. „რეალური“ - საბერძნეთიდან, არარეალური კი თეთრი ხიდის მოაჯირზე დარჩება, ალბათ, სამარადჟამოდ.

ბულვარში დები იშხნელები გამოჩნდნენ. მართალია, ქვაში გამოკვეთილნი, მაგრამ, მთავარია, რომ ვიღაცას გაახსენდა მათი იმერული, უფრო სწორად, ქუთაისური წარმოშობა.

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ რაც მოგვწონს, სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ, უკავშირდება წარსულს და არა - მომავალს.

ქუთაისის აწყმოში არის წარსულის ნოსტალგია და მინიმალური რეალობის შეგრძნება.

აწმყოშია ქალაქის გადათხრილი ბაღი და შეკეთებების „ქარცეცხლში“ მოქცეული ქუჩები, მაგრამ გეჩვენება, რომ ეს ყველაფერი ზედაპირული და არაფრის მომცემია, რადგან ქალაქში, სადაც ოდესღაც ყველაფერი „ვერტიკალური და თანაც ბრუნვადი“ იყო, დღეს ელემენტალური დინამიკაც აღარ იგრძნობა.

არის მხოლოდ სურვილი და აღარ არის შესაძლებლობა. ბევრს და უსარგებლოდ საუბრობენ ქუთაისის ფუნქციაზე! ფუნქცია კი არ ჩანს.

რჩებიან სავარძლები და იცვლებიან მათზე მსხდომნი. მოდიან იდეებით და სკამების დაკავების შემდეგ იდეები სადღაც ქრება.

მერებში და გუბერნატორებში ქუთაისს არ უმართლებს და პრეზიდენტი ცალი თვალითაც არ იცქირება ქუთაისისკენ...

უკან მხოლოდ წარსულია, წინ - მომავალი...

ქუთაისი კი სადღაც შუაშია, არც - იქით, არც - აქეთ...



ამით ერთობა პიკასო?!

## მოოქროვილი ქაღალდი

პაწაწა ბავშვი საშობაო ამანათს გულდაგულ ამზადებდა. ფეხსაცმლის ყუთს ძვირადღირებული მოოქროვილი ქაღალდში ფუთავდა, ზემოდან ფერად-ფერად ლენტებსა და ქაღალდებს აბურდულად ახვევდა.

- რას აკეთებ? - უხეშად უსაყვედურა მამამ, - ამდენ ქაღალდს აფუჭებ! იცი კი რა ღირს?

პაწაწას თვალები ცრემლებით აევსო, ყუთი მკერდზე მიიხუტა და კუთხეს აეცუზა. შობის ღამეს, თავისი პაწაწინა ნაბიჯებით მაგიდასთან მჯდომარე მამას მიუახლოვდა და ძვირადღირებულ ქაღალდში გახვეული ყუთი გადასცა.

- ეს შენ, მამიკო! - ჩუმად წარმოთქვა.

მამას გული აუჩუყდა. ალბათ ძალიან უხეშად მოექცა, ეს ხომ მისი საჩუქარი ყოფილა. ფრთხილად გახსნა ლენტი, საგულდაგულოდ მოაძრო მოოქროვილი ქაღალდი და ნელ-ნელა ყუთსაც მოხადა თავი.

ცარიელი იყო!

მოულოდნელობით გამოწვეულმა უსიამოვნებამ კიდევ უფრო გააღიზიანა და შვილს შესძახა: „მთელი ეს ქაღალდი და ეს ლენტი ამ ცარიელი ყუთის გასახვევად დახარჯე?“

ბავშვს კვლავ აევსო ცრემლებით დიდი თვალები და მიუგო: „არაა ცარიელი, მამიკო! შიგ მილიონი კოცნა ჩავაწყვე!“

დღესაც ინახავს მამაკაცი თავისი საწერი მაგიდის უჯრაში ფეხსაცმლის ყუთს.

- ეს ხომ ცარიელია? - უკვირს ყველას.

- არა, ყუთი სავსეა ჩემი პაწაწას სიყვარულით! - პასუხობს იგი.

უმზერ ჩიჩილაკს და ფიქრობ მასში ჩაქსოვილ სიბრძნეზე, ლაბირინთებივით რომ იკარგება ათასწლეულთა წიაღში. თანაც გიხარია, რომ ჩიჩილაკი შენს მეტს არავის გააჩნია დედამიწის ზურგზე და საახალწლოდ მოსულ სტუმრებს აოცებ ამ უცნაური ხით, პოეტური იდუმალებით დახუჭუჭებული ბუჩურტოტებით, ყველაზე სკანდალური ფანტაზიის მქონე მხატვარი რომ ვერ დახატავდა და მწერალი ვერ აღწერდა.

ათინათები დაეფინება წინწკლებად მას და ზღაპრული ზანზალაკები გონების ფარგლებში მოქცეული იმღერებენ ალილოს. ისე გესიამოვნება, რომ ცრემლები წამოგივა, ის კი, ის მადლიანი ზანზალაკები მრავალხმიანობაში ჩაიწკრიალებენ - „ჩი-ტი, ჩიტი ღობეზე შემოჯდა, იძახოდა ქრისტეშობას და ო, ჰო, ჰოი, ჰოი, ალილოოო!“.

ქრისტეშობის მახარობლებიც მოგვახარებენ კარზე - „ჩვენმა, ჩვენ მათხოვრები არა ვართ, ქრისტეს მახარობლები ვართ და ო, ჰო, ჰოი, ჰოი, ალილოოო!“. მერე კიდევ მარანივით ხვავრიელობას მოგვამღერებენ - „კი-ჭი, კიჭი, კიჭებიო, დაგეზარდოთ ბიჭებიო...“ დაგვლოცავენ.

ბოლოს ეს ღვთისმახარობელი ლამაზი ბიჭები თუ ცხოვრების ანგელოსები დაიგალობებენ - „მას-პინ, მასპინძელი ლამაზია, გადმოგვიგდებს აბაზიანს და, ო, ჰო, ჰოი, ჰოი, ალილოოო!“. ლამაზი მასპინძელიც კალათში ჩაულაგებს ათასნაირ ნუგბარს, მანდარინს, ვაშლს და რა ვიცი კიდევ რას არა, თანაც ჭიქას აწევს და ქრისტეს შობას დაილოცება, მიულოცავს მახარობლებს, მიულოცავს მთელს ქვეყნიერებას და სათითაოდ დაალოცვინებს ოჯახს კარსმომდგარ ცხოვრების ანგელოსებს, დიასახლისიც შეაცდევინებს მახარობლებს, სანამ ცხლად გამომცხვარ ღვეზელს არ შემოატარებს წელზე და არ დაურიგებს ყველას თავთავის კუთვნილს. მერე წავლენ თავიანთ გზა-შარზე ბიჭები და გაიმღერებენ ქუჩა-ქუჩა - „ოც-და, ოცდახუთსა დეკემბერსა, ქრისტე იშვა ბეთლემსაო და, ო, ჰო, ჰოი, ჰოი, ალილოოო!“ და რა კარგია ყველაფერი ეს, როცა შენ საკუთარ სახლში ხარ, საკუთარ ჭერქვეშ, ახლობლებში, მათ სიყვარულში გარემოცული...



და მე ვიგონებ ჩახლართულ ღობეს,
სერებს თოვლიანს...
ხმობდა ქათამი გურიის სოფელს,
ყეფდა თოლია...
იდგა ბერმუხა ღამის მთევარი
თოვლში ნაბდითა...
დილით მისდევდა სერზე მწევარი
ნაკვლევს ნადირთა...
ქარი თვრებოდა ღვინით ნაქებით
გრძნეულ მარანთან...
შემოდიოდა ჩიჩილაკებით
ჩვენში კალანდა...

საბაზეთო ვერსია




სიუჟეტი გაზეთ „მამულის“ შესახებ გიორგი თარგამაძის საავტორო ჟურნალ „დროებაში“

14 იანვარი, 2007

ავტორები:
თეა ალეიშვილი, ამირან მურვანიძე

## წმინდა ეპისტოლე

მოგმართავთ ყველას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, შეინარჩუნეთ ჩვენი თვითმყოფადობა, ჩვენი ტრადიციული ქრისტიანული ცხოვრების წესი. გახსოვდეთ, მთავარი ბრძოლა ბოროტთან მოგებულია. მაშ, იბრძოლეთ, ჩვენი გმირი წინაპრების მსგავსად, რათა საკუთარ თავში და თქვენს გარშემო დაიცვათ თქვენი წილი საქართველო. დღეს ეგ ომია თქვენი დიდგორი, თქვენი ბასიანი.

უნდა იცოდეთ, რომ ქართული იდეა ორ უმთავრეს სვეტს ეყრდნობა. ესაა სულიერი ღირებულებები (რაც გულისხმობს მართლმადიდებლურ სარწმუნოებას და მის წეს-ჩვეულებებს) და ეროვნულ-კულტურული ფასეულობები, რითაც ასე მდიდარია ჩვენი ქვეყანა.



„სანამ არ ჩაქრებიან იმერეთის ოდები, ყოველ ახალ წელიწადს მარად მომაგონდები“...

ლადო ასათიანი

# საახალწლო სიზმარი

მანუჩარ კაჭახიძე

## გარდასული წლის მისტერია

ახალ წელს ყველა თავისებურად, საზოგადოდ დამკვიდრებული თავისებური ტრადიციით აღებს ზღაპრეთის კარს და გადადის მისტიურ წარმოსახვებში და ასე ფანტაზიების მრავალფეროვნებით იწყებს ახალი წლის ათვისებას.

ყველა ქვეყანას თავისებური წესები და ჩვევები ჩამოუყალიბდა საუკუნეებითგან მოყოლილი შობა-ახალი წლის შესახვედრად. ბუტებიც კი ორიგინალური გააჩნიათ, - ვინ ნაძვით, ვინ თოვლის ბაბუით, ვინ „სნეგუროჩკით“, ვინ ბენგალიური მაშხალით, ვინ აბანოში, ვინ სუფრასთან, ვინ ქუჩაში, ვინ შინ, ვინ სტუმრად, ვინ კარნავალზე, ვინ უკარნავალოდ და ა.შ.

ერთი კია, რომ ზღაპარი ყველასათვის თანაბარზომიერად საკრალურია - დიდისთვისაც და პატარასთვისაც, ქალისთვისაც და კაცისთვისაც, მოხუცისთვისაც და ბავშვისთვისაც.

ამ ზღაპარში კეთილ-ბოროტის გარჩევა არ არის, აქ ყველა კეთილია და ყველა უნდა დასაჩუქრდეს სანუკვარი ოცნების ახდენით. ოცნებაც ნამდვილდება ათასგვარ და ათასფერად ბრჭყვიალებაში, რაღაც უცნაური სიხარული ეუფლება გულს - ბავშვები მათთვის ჯერ შეუცნობად და ჯადოსნური ქვეყნის გაცნობიერებას ესწრაფიან, დიდები კი ბავშვობის უცნაურად ლამაზ სამყაროში დაბრუნებას ლამობენ. ორთავე შემთხვევაში საახალწლო დღეებში ოცნება ყველას უსრულდება. ნაახალწლევს კი ყველაფერი ისევ თავის კალაპოტში მიდის, - ცხოვრება დუღს, ხალხი ისწრაფიან, ვინ სად ირევა ორომტრიალში ჩართული, თვალიც თანდათან ეჩვევა წელთაღრიცხვის ერთი ციფრის შეცვლას მეორეთი. აი, ამის შემდეგ ახალი წელი და მისი მისტიური შემობრძანება თავის პეწს კარგავს.

მაგრამ ჯერ კიდევ არ დამდგარა ახალი წელი და სულ რაღაც ერთ კვირაში განწყობილება ივსება შთაგონებებითა და აღფრთოვანებით. საახალწლო შენაძენები ამის ერთ-ერთი უმთავრესი ატრიბუტთაგანია. მიდიხარ, დახლთა უსასრულობას ჩაუვლი და თვალი ჭრელდება ათასგვარი საჩუქრებით. რა გინდა სულო და გულო, მოკიდე ხელი და იყიდე, სანამ თვალი გაძღება ამ მრავალფეროვნების ცქერით, თანაც სიხარულის ნერვიულობისგან თრთოლას აყავხარ, რადგან იცი შინ გელიან და არათუ ჩვეულებრივად, როგორც ყოველდღიურობისას, არამედ სულმოუთქმელად. გელიან, რომ იხილონ შენს მიერ გაკეთებული არჩევანის გემოვნების სილამაზე. ვიღაც მოგიწონებს, ვიღაც კი გეტყვის, - ეს კარგია, მაგრამ მე ეს მინდოდა, აქა და აქ იყიდებაო. შენ დააწყნარებ საყვარელ ადამიანებს, - ხვალ ისევ წავალ და მოგიტან, რისი ყიდვაც დამაკლდაო. და მართლაც, მეორე დღეს ავსებ სურვილთა დანაკლისს. ერთი სიტყვით, ყველანი კმაყოფილნი არიან. შენც მათთან ერთად, სულმოუთქმელად ელი ახალწლის დადგომას.

მერე არის და, აწყობ ნაძვის ხეს. ზოგი სათამაშო ტყდება, ზოგი არა. არის საყოველთაო მხიარულება. ნაძვის ხე ხომ ზღაპრის რეალური განხორციელებაა, რადგან იდუმალი ბრჭყვიალება და ოცნების მატერიალური გამოხატვა ფერად ბურთებშია და გაბნეულია მთელი შენი ოცნებათა კორიანტელი სიმწვანეში. და სიმწვანე ფერმკრთალდება ამოდენა ზღვა მრავალფეროვნებაში. გრძნობ, როგორი მდიდარი ფანტაზიით შემოსე ნაძვის ხე, რაშიც ჩააქსოვე მთელი ესთეტიკა და გსიამოვნებს, როცა დასვენებული უმზერ ბავშვური გულის ფრიალით სათამაშოებითა და ბრჭყვიალა წვიმებით შევსებულ ტოტებს, რასაც ერთიან ჰარმონიად ავსებს ციმციმა ნათურები, გარდამავალი მიმდინარეობით დანთებული.

იქვე, როგორც წინაპართაგან წარმართული გადმონაშთი, ფოჩიანი კანფეტებით შევსებული ჩიჩილაკი დევს. უმზერ ჩიჩილაკს და ფიქრობ მასში ჩაქსოვილ სიბრძნეზე, ლაბირინთებივით რომ იკარგება ათასწლეულთა წიაღში. თანაც გიხარია, რომ ჩიჩილაკი შენს მეტს არავის გააჩნია დედამიწის ზურგზე და საახალწლოდ მოსულ სტუმრებს აოცებ ამ უცნაური ხით, პოეტური იდუმალებით დახუჭუჭებული ბუჩურტოტებით, ყველაზე სკანდალური ფანტაზიის მქონე მხატვარი რომ ვერ დახატავდა და მწერალი ვერ აღწერდა.

ათინათები დაეფინება წინწკლებად მას და ზღაპრული ზანზალაკები გონების ფარგლებში მოქცეული იმღერებენ ალილოს. ისე გესიამოვნება, რომ ცრემლები წამოგივა, ის კი, ის მადლიანი ზანზალაკები მრავალხმიანობაში ჩაიწკრიალებენ - „ჩი-ტი, ჩიტი ღობეზე შემოჯდა, იძახოდა ქრისტეშობას და ო, ჰო, ჰოი, ჰოი, ალილოოო!“.

ქრისტეშობის მახარობლებიც მოგვახარებენ კარზე - „ჩვენ-მა, ჩვენ მათხოვრები არა ვართ, ქრისტეს მახარობლები ვართ და ო, ჰო, ჰოი, ჰოი, ალილოოო!“. მერე კიდევ მარანივით ხვავრიელობას მოგვამღერებენ - „კი-ჭი, კიჭი, კიჭებიო, დაგეზარდოთ ბიჭებიო...“ დაგვლოცავენ.

ბოლოს ეს ღვთისმახარობელი ლამაზი ბიჭები თუ ცხოვრების ანგელოსები დაიგალობებენ - „მას-პინ, მასპინძელი ლამაზია, გადმოგვიგდებს აბაზიანს და, ო, ჰო, ჰოი, ჰოი, ალილოოო!“. ლამაზი მასპინძელიც კალათში ჩაულაგებს ათასნაირ ნუგბარს, მანდარინს, ვაშლს და რა ვიცი კიდევ რას არა, თანაც ჭიქას აწევს და ქრისტეს შობას დაილოცება, მიულოცავს მახარობლებს, მიულოცავს მთელს ქვეყნიერებას და სათითაოდ დაალოცვინებს ოჯახის კარსმომდგარ ცხოვრების ანგელოსებს, დიასახლისიც შეაცდევინებს მახარობლებს, სანამ ცხლად გამომცხვარ ღვეზელს არ შემოატარებს წელზე და არ დაურიგებს ყველას თავ-თავის კუთვნილს. მერე წავლენ თავიანთ გზაშარზე ბიჭები და გაიმღერებენ ქუჩაქუჩა - „ოც-და, ოცდახუთსა დეკემბერსა, ქრისტე იშვა ბეთლემსაო და, ო, ჰო, ჰოი, ჰოი, ალილოოო!“ და რა კარგია ყველაფერი ეს, როცა შენ საკუთარ სახლში ხარ, საკუთარ ჭერქვეშ, ახლობლებში, მათ სიყვარულში გარემოცული, მაგრამ...

## ისტერიული მონატრება

თვალნათლივ მახსენდება მხატვრული ფილმის „არაჩვეულებრივი გამოფენის“ ფინალური სცენა. აგული ერისთავის მოწაფე ზაური (то есть ევგენი) რომ იყვირებს გახარებული „ამისგან მე გავაკეთებ“ (და მრავალწერტილი). საფიქრალად ავტორმა ჩვენ დაგვიტოვა, თუ რას გააკეთებდა იგი.

გააკეთა!

- „პიკასოს ბიჭი“! ეს უკვე მომავალში მოხდა, წლების შემდეგ, ათასმა წყალმა რომ ჩაიარა თეთრი ხიდის ქვეშ, გააკეთა, და მერე როგორ... მაგრამ არა პოროსის მარმარილოდან...

როგორ გაიხარებდა პიპინია, რას იტყოდა ნეტავ? პიპინიასი რა მოგახსენოთ, და მეც არ ვიცი რას ვიტყვი ცოცხლად რომ ვნახო ეს ქანდაკება, იმდენად დიდია ემოციები მონატრების, - ალბათ გრძნობებით ამაღლებული რიონში გადავხტებოდი და მთელის ხმით ვიყვირებდი: „ლ'ამპრედუზო მედუზო!“, ისე ვიყვირებდი, რომ შევძრავდი ქვეყნიერებას, ისე ვიყვირებდი, რომ დავიცლებოდი მონატრების წყურვილისაგან, ისე ვიყვირებდი, რომ ოკეანეებს გადასწვდებოდა ჩემი ხმა და აქ, ამ უცხოეთში გაეგონათ იგი და ეთქვათ: რა ძლიერი გრძნობაა ნოსტალგიაო.



მერე, გავწვებოდი თეთრ ქვებზე და ვიძინებდი ერთხანს, არ მოვცილდებოდი დალოცვილებს. ჩემი იქნებოდა ყველა მათგანი და მე დიდი გული მექნებოდა ასეთი ლამაზი სამშობლო რომ მაქვს. ფეხშიშველი შემოვირბენდი თეთრი ხიდის ყოველ კუნჭულს. საუკეთესო რაკურსებს შევარჩევდი, რომ ქუთაისის ლანდშაფტით დავმტკბარიყავი. ოქროს ჩარდახის მხცოვან ჭადარს ჩავეხუტებოდი და პატარა ბავშვივით ავტირდებოდი.

მერე ნიავი, ალბათ წყალტუბოდან ქუთაისში წამოსული, მომიალერსებოდა და თმებს ამიჩეჩავდა. ვარსკვლავებითა და მთვარით რომ დაიხატებოდა ღამეული ქუთაისის პანორამა, ღამისმთევლებივით თითოეულ ვარსკვლავს დავთვლიდი ქუთაისის ცაზე, და თითოეულ მათგანს ყველა ჩემს მეგობარს მივუძღვნიდი. არ მეყოფოდა, მაგრამ მაინც. მერე მიმოვიკითხავდი ამა თუ იმ ვარსკვლავს - „რა იქნა, სად წავიდაო?“. გულს დამწყვეტდა მათი გაუჩინარება. გავიცნობდი ახალ შემომატებულ ვარსკვლავებსაც - „ეს ესააო, ის - ისაო“, - მეტყოდნენ... და გამიხარდებოდა რომ, ქუთაისის ცა ისევ კაშკაშა ვარსკვლავებით არის მოჭედილი.

მერე სიზმარი დასასრულს მიუახლოვდება და ნელ-ნელა დავიწყებ თავდავიწყებიდან გამოფხიზლებას. გავახელ თვალს და, ჰოი, საოცრებავ, მე ჩემს სახლში ვარ, იმ სახლში, რომელიც უკვე მერვე წელია დავტოვე... და ისიც ისეთივე მხვდება, როგორიც დავტოვე; გადაშლილი გაზეთი იმავე გვერდზე, რომელზედაც დავტოვე; ჩემი მაგიდა, ფურცლები, ის ფურცლები, რომლებზეც ვწერდი და ვერ მოვასწარი ბოლომდე დაწერა და იმ ადგილზეა შეწყვეტილი წინადადება, სადაც მაშინ შევწყვიტე.

გამიკვირდება, დიახ, გამიკვირდება, - ასე ძლიერ მელოდით?! და მე შევყვირებ პირველყოვლისა ჩემს სახლს პეტრე გრუზინსკის სიტყვებით: „ისევ მიყვარხართ ჩემო კედლებო, როგორც მიყვარდით მაშინ!“.

მერე ამ ჩემს ხმაურზე გამოეღვიძება ჩემს საყვარელ ადამიანებს, და ჩვენ ისევ ერთად ვიქნებით, ერთ მთლიან ოჯახად, როგორც დავტოვე ამ რვა წლის წინათ, თითქოს არც ყოფილიყო დიდი პაუზა უჩემობის, ისე შემეგებებიან.

ხმა გავარდება ჩემი ჩამოსვლის შესახებ, ბევრი მოვა მოსანახულებლად, ბევრიც თავისი ახლობლის ამბის გასაგებად, მე თუ ვიცი რაიმე მათ შესახებ. გაუხარდებათ ჩემს მეზობლებს, შეიკრიბებიან ეზოში, ჩამისვამენ შუაში და შუა ღამემდე მომაყოლებენ ამბებს, ათასი კითხვით დაინტერესდებიან, როგორც იციან, თავიანთ საზოგადო პრობლემებსა და გასაჭირზე მიამბობენ ამერიკულ ცხოვრებასთან შესადარებლად, რომ მერე დასძინონ დანანებით - „ესაა ცხოვრება?!“.

მეც არ დავიღლები მათთან მუსაიფით, შევივსები მშობლიური სიყვარულის ენერგიით. მერე ყველაზე ძვირფასს მეგობრებს მოვინახულებ, ზოგს ქალაქის ერთ თავში, ზოგს კიდევ მეორეში, ვისაც გაუხარდება ჩემი ნახვა და მეც გამიხარდება მათი ნახვა. მოვინახულებ ადგილებს, სადაც ვისხედით, ვმუშაობდით თუ ვლაზღანდარობდით. ზოგი მათგანი სახეშეცვლილი დამხვდება, მაგრამ მეხსიერება ნათლად აღადგენს ინტერიერის პირველყოფილ სახეს, გაუცხოების ელემენტებს დაჩრდილავს მოგონებათა ნათელი შთაბეჭდილება.

მერე იქნება და, შევივლი ჩემს საყვარელ სტამბაში. იქაც ბევრი რამ შეცვლილი დამხვდება, ბევრი რამ არა. ისევ მხნედ დამხვდებიან ჩემი ძველი მეგობრები, ვის ხელშიც კაცად ჩამოვყალიბდი...

მოვიკითხავ, დიდი სიყვარულით, ძველი თაობის უკანასკნელ მოჰიკანს - ჩემს ლეილა ლაითაძეს, დაუღალავს და მუდამ კეთილი ღიმილით მოსილს, მოვიკითხავ და ვეტყვი - კეთილი იყოს ახალი წლის შემობრძანება ჩვენში. მომინატრებდა ლეილა, ალბათ, ამდენი ხნის უნახავს და გამომკითხავდა ამბებს. ჩვენს ლაპარაკში არ იგუგუნებდა ბრტყელი ბეჭდვის მანქანები, არც ოფსეტები ისისინებდნენ წყნარად... რამდენი რამე გვექნება ერთმანეთისთვის სათქმელი, ვინ იცის. გამახსენდება შესვენებაზე გაყოფილი ლუკმა, ელექტროღუმელზე გახუხული პური, პატარა ობოლი ბავშვისათვის და დღეს ეს პატარა ბავშვი ამერიკულ ცხოვრებანანახი ცრემლებს გადაყლაპავს ამ ტკბილმოსაგონარი წარსულის გახსენებით.

მერე?! მერე ალბათ ეკლესიებს მოვილოცებ, რათა ღვთის მადლი მთელი სიცხადით შევიგრძნო. ვილოცებ, ძალიან ბევრს ვილოცებ, რათა უფალმა შეისმინოს ჩემი ვედრება და დაინახოს ჩემი გულის სიწრფელე. ვემთხვევი ხატებს, წმიდა ხატებს შევავედრებ ყველას, ვისაც ვიცნობ ოკეანის გაღმა-გამოღმა, მთელს ჩემს მამულს, რათა დაიცვას გარეშე და შინა მტრებისგან, ხილული და უხილავი ბოროტებისგან. დიდხანს, ძალიან დიდხანს არ მოვწყვიტავ მზერას წმიდა ხატებისგან, რათა ღვთივმადლიანი სითბო შემოვიდეს ჩემში. ყოვლად წმინდანთა ხატებანი მადლმოსილი მზერით გაალღობენ სიცივეს ჩემში, უსამშობლობითა და უთვისტომობით წარმოშობილ სიცივეს. წმიდა სანთლები ღმერთამდე აიტანენ ჩემს ლოცვა-ვედრებას. მერე ქორო შეასრულებს ქართულად უფლისადმი საგალობლებს და ჩემი სიხარული მონატრებით გამოწვეული პირთამდე შეივსება, შეივსება მთელი ჩემი მომდევნო ცხოვრების შინაარსი. მოძღვარი დამლოცავს, გადამსახავს პირჯვარს, ჯვარზე მამთხვევინებს და ტკბილად მომიკითხავს.

მერე ასეთი გრძნობებით დატვირთული გამოვალ ქუჩაში და ნელ-ნელა წამოვა ციდან სპეტაკი თოვლი, როგორც დასტური წმიდა გრძნობების გასხივოსნების. მე კიდევ მაღლა ავწევ ხელებს და გახარებული შევისუნთქავ სამშობლოს არომატს და ლადო ასათიანის არ იყოს, ფილტვები მეტკინება და დამებერება, „დავიღლები საქართველოს სიყვარულში, სასთუმალზე ერთხელაც არ დავიძინებ...“

უპირველეს ყოვლისა გავივლი ბაღისკიდეზე და ჩემს ბაღისკიდის კაცებს მოვინახულებ. ზოგი თვალში მომაკლდება, ზოგი შემიცნობს, ზოგიც ვერა, მაგრამ მე ყველას ვიცნობ, რადგან ქუთაისში ვიქნები, მისი ნერვიული სისტემის ეპიცენტრში - ბაღის კიდეზე და ვიხილავ პირველი თოვლის სილამაზეს და ძია კაცების ტკბილ მუსაიფს დავუგდებ ყურს. მთელი ცხოვრება გამყვება საგზლად ეს სასიამოვნო ხილვა.

ვიხილავ ძეგლად წამომართულ დები იშხნელების მონუმენტს, ქუთაისის პატარა ქუჩების აივნებიდან რომ მოისმოდა გიტარაზე დამღერებული „სულიკო“. შევხედავ ამ ძეგლს და ძეგლიდანვე დუმილის სიცივეში ყურს მივუგდებ შინაგანი ენერგიიდან ამღერებულ სტრიქონებს - „საყვარლის საფლავს ვეძებდი, ვერ ვნახე დაკარგულიყო, გულამოსკვნილი ვტიროდი, სადა ხარ ჩემო სულიკო...“

ერთი დიდი ქალაქი - მიწისქვეშა ქალაქი რომაა, ხატოვანი თქმით, ყველა ქალაქსა და სოფელს გააჩნია. სადაც ცოცხალი ძვრებია, იქვეა ასეთი ქალაქი. სასაფლაოს ვგულისხმობ ამ სიტყვებში. წავალ ამ მდუმარების ქალაქში, მოვინახულებ ჩემი დედ-მამის საძვალეს - ჩემი სამშობლოს საკრალურ და სანუკვარ მიწას. ჩავიკრავ გულში მიწას, მათ გულზე დაყრილ მიწას და ჩვენი გულები - ჩემი ხორციელი და მათი მიწადქცეული შეესიტყვებიან ერთმანეთს. მშობლიური ალერსით გამითბობენ გულს, რადგან უკვე მერამდენე წელია დანატრული ვარ ამ სითბოს, განსაკუთრებით ემიგრაციაში. ემოციებიც გადაიფარება მდუმარებაში და სიცოცხლე მარადისობაში გადაინაცვლებს. მერე ისევ შემომესმება ლამაზი ფერიების ხმა - „სულგანაბული ბულბული ფოთლებში მიმალულიყო...“ და თვალები დაუწყებს ძებნას ფოთლებში მიმალულ ბულბულს. აქა-იქ საფლავის ქვებიდან ნაცნობი სახეები გამოანათებენ, მერე სადღაც მართლაც ვიპოვი საყვარლის საფლავსა და ბულბულს.

მერე შორეული ქოროები იგალობებენ სულთათანას და ჩაეღიმება მესაფლავეს მწარედ, რადგან იცის ყველაფერი თუ როგორ ხდება. მერე სასაფლაოს თბილი საბურველივით გადაეფინება თოვლი და სიკვდილიც კარგა ხნით დაიძინებს და საახალწლო მდუმარებაში ჩაეფლობა მკვდართა ქალაქი.

## და მაინც ჩვენში...

ჩვენში ყველაფერი გასაოცრად მიმზიდველია - თეატრალიზებული სამყარო გასაოცარ იუმორში დაინთქმება და ყველა გულიანად გაიცინებს. შევალ თეატრში, ჩემს მონატრებულ თეატრში და დავესწრები რომელიღაც სპექტაკლს და სპექტაკლის შემდეგ კულისებში დამელოდებიან ჩემი მეგობრები, გავიხსენებთ გარდასული დროის ტკბილსახსოვარს და ყველაზე ძლიერად დაინთება რამპები. დაიწყება საახალწლო დღესასწაულისათვის მზადება. მეც ჩემებურად ჩავერთვები ამ ბარაქაში და ვიმხიარულებთ.

ბულვარში დაინთება ფერად-ფერადი ნათურები, ღამის ქუთაისი განათდება ნაირფერადოვნებით. გავივლი ქალაქის ცენტრალურ ქუჩებს, ქარი იზმუილებს და ტანში გამცრის ყინვა, მაგრამ არ დავიწუწუნებ სიცივეს, რადგან ვიცი, სახლში მელოდებიან. მივალ შინ და მისაყვედურებენ - რატომ დაიგვიანეო, გელოდებოდითო.

მე კიდევ ვეტყვი, ვინ მოვინახულე, სად ვიყავი და ხვალისთვის რას გავაკეთებ. ალბათ, ისევ დავიწყებ, როგორც დავიწყე დღეს, გავირბენ ქუთაისის გარეუბნებში და ბუნების წიაღში განვმარტოვდები, ჩამოცვივდება ხეებიდან უკანასკნელი ფოთლები, როგორც კალენდრიდან უკანაკსნელი ფურცელი და ვიტყვი, რომ მთელი ცხოვრების მისტიური განმარტოვება ყველაზე ნაყოფიერია, როდესაც შინ იმყოფები, გეიმედება და ეიმედები გარესამყაროს, იცხოვრებ, იბრძოლებ და ილვაწებ მშობლიურ სავანეში.

ღამებიც გაიწელება უსაშველოდ გრძელი ზღაპარივით და დაელოდები საათის ზარს, რათა გამცნოს ახალწლის შემობრძანება, რომ არავინ მოგასწროს დალოცვა.

## და მერე...

და მერე გადაივლის ზამთარი და სულშიც დათბება. ბულვარში ბულბული იჭიკჭიკებს და ხალხი გამოვა მზეზე. ნეტარი ზმანებიდან გამოსული ისევ ნიუიორკის ქუჩებში აღმოვჩნდები და სიცოცხლის ახალი დაინტერესება ჩაიბუდებს გრძნობებში და მეც ყველაფერს გავაკეთებ, რომ ჩემი მონატრება მომდევნო წლის ბოლოსთვის მაინც განვახორციელო რეალობად. აი, მერე და სწორედ მერე დაიწყება ახალი წელთაღრიცხვა ჩემს ცხოვრებაში და მე თავისუფლად ვისუნთქებ ჩემი ქუთაისით. მდინარის დამთბარი წყალი ქვებზე ჭახჭახით გაუყვება დასავლეთისკენ და კალმახები მდინარის ალმა დაიწყებენ ცურვას. მერცხლები დაუბრუნდებიან მიტოვებულ ბუდეებსა და სწორედ მათ გამოვგზავნი ჩემი გულწრფელი სალმით. და ჩემს ნასახლარს გააცოცხლებენ და აღარ იქნება, აღარ დარჩება საქართველოში არც ერთი ნასახლარი, რადგან მე ჩემი მერცხლებივით ადრე თუ გვიან აუცილებლად დავუბრუნდები მშობლიურ კერას - ჩემს ქუთაისს.

ეს ახალწლის გულწრფელი სურვილია, რომელსაც მრგვალ ჩახჩახა და ლამაზ სათამაშოს ჩავუთქვამ, ან ფოჩიანი კანფეტის სახით შევაბავ ჩიჩილაკს და ჩემი ნატვრის ხე ამისრულებს ნატვრას.

ახალ წელს თუ საქართველოში გიგანტური გოზინაყისა და ხაჭაპურის მომზადებით იყვნენ დაკავებულნი, გერმანიაში ჩვენი კოლეგა **ნინო ხაბელაშვილი** სულაც არ ხარჯავდა ძვირფასს დროს საცივის კეთებისათვის. მას ფრიად საჭირბოროტო საქმე ჰქონდა წამოწყებული: მეცნიერულად არკვევდა არსებობს თუ არა თოვლის ბაბუა სინამდვილეში, და თუ არსებობს, მაშინ უნდა გამოეანგარიშებინა თოვლის ბაბუას ვიზიტების, საჩუქრების და გასავლელი მანძილის რიცხვი და დრო.

ეს შრომატევადი ამოცანა იყო ალბათ იმის მიზეზი, რომ მიუნხენში გამომავალი ჟურნალ „ქართულის" მკითხველები გასული წლის დეკემბრის ნომერს იანვრის ბოლოს მიიღებენ.

# არსებობს თუ არა თოვლის ბაბუა?

ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემას უკვე მრავალი წელია უამრავი მეცნიერი ცდილობს. ჩვენ კი ერთობ ორიგინალურ, მათემატიკური გამოთვლებით მიღებულ პასუხს შემოგთავაზებთ.

1. ირმების არცერთ ჩვენთვის ცნობილ ჯიშს არ შეუძლია ფრენა. მაგრამ არსებობს მფრინავ ცოცხალ ორგანიზმთა 300.000 სახეობა (თუმცა მათი უმრავლესობა მწერები და ბაქტერიებია), და მაინც დანამდვილებით ვერ გამოვრიცხავთ მფრინავი ირმების არსებობას, რომლებიც აქამდე მხოლოდ თოვლის ბაბუას უნახავს.

2. მსოფლიოში 2 მილიარდი ბავშვი (18 წლამდე ასაკის ადამიანი) არსებობს, მაგრამ ვინაიდან თოვლის ბაბუა (როგორც ჩანს) მუსლიმანებს, ჰინდუისტებს, ებრაელებსა და ბუდისტებს არ ასაჩუქრებს, მისი სამუშაო დაახლოებით 15%-ით ანუ 378 მილიონ ბავშვამდე მცირდება. თითოეულ ოჯახზე საშუალოდ 3,5 ბავშვს თუ ვიანგარიშებთ, 91,8 მილიონ ოჯახს მივიღებთ. ჩავთვალოთ, რომ ყოველ ოჯახში მინიმუმ ერთი ბავშვია, რომელიც მთელი წლის განმავლობაში სამაგალითოდ იქცეოდა და დასაჩუქრებას იმსახურებს.

3. თოვლის ბაბუას 31-საათიანი საშობაო დღე აქვს, რასაც სხვადასხვა ზონაში დროის განსხვავება იწვევს (როდესაც იგი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიემგზავრება). შესაბამისად ვიღებთ 822,6 მონახულება-დასაჩუქრებას წამში. თოვლის ბაბუას ყოველი ქრისტიანული ოჯახისათვის, რომელშიც სამაგალითო ბავშვი ცხოვრობს, 1/1000 წამი აქვს სამუშაოდ: ციგის შეჩერება, ციგიდან გადმოხტომა, ბუხრის მილში ჩაძრომა, მომზადებული წინდის ავსება, დანარჩენი საჩუქრების ნაძვის ხის ქვეშ განლაგება, საშობაო სადილის ნარჩენების მოსუფთავება, ისევ ბუხრის მილში აძრომა და გაფრენა შემდეგ სახლში. დავუშვათ, რომ ყოველი მისი 91,8 მილიონი შეჩერება თანაბრადაა გადანაწილებული მთელს დედამიწაზე (რაც, როგორც ვიცით შეუძლებელია, მაგრამ მოდით ჩვენი გამოთვლებისათვის ამაზე თვალი დავხუჭოთ), მაშინ მივიღებთ 1,3 კმ დაშორებას სახლიდან სახლამდე, სრულ მანძილს 120,8 მილიონ კმ-ს. ამ რიცხვისთვის არ არის მითვლილი შეჩერებები იმისათვის, რისთვისაც ყოველი ჩვენთანაგი 31 საათის განმავლობაში ერთხელ მაინც შეჩერდებოდა და, რა თქმა უნდა, ჭამა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თოვლის ბაბუას ციგა მიფრინავს 1040 კმ/წამში სიჩქარით. მაგალითისათვის: ადამიანის მიერ დედამიწის ზურგზე აგებული ყველაზე ჩქარი ხომალდი „ულისისი" სასაცილო 43,8 კმ/წამში სიჩქარით გადაადგილდება. ჩვეულებრივი ირემი საათში მაქსიმუმ 24 კმ-ს გარბის.

4. საინტერესო ეფექტს ის ტვირთიც იწვევს, თოვლის ბაბუას რომ მოაქვს ციგით. დავუშვათ, ყოველი ბავშვი არა უმეტეს ერთ საშუალო ზომის „ლეგოს" კომპლექტს მიიღებს საჩუქრად (დაახლოებით 1კგ), მაშინ ციგის ტვირთის წონამ 378.000 ტონა უნდა შეადგინოს, ამას თვით თოვლის ბაბუის წონაც ემატება, რომელიც გადმოცემებით საკმაოდ ზედმეტწონიან მამაკაცადაა აღწერილი.

უბრალო ირემს შეუძლია 175კგ-ის გადაზიდვა. თუკი იმასაც დავუშვებთ, რომ „მფრინავ ირემს" ათჯერ მეტი წონის გადატანა შეუძლია, ციგისათვის არა რვა ან ცრა ირმის შებმაა საჭირო, არამედ 216.000 ცხოველისა. ეს, რა საკვირველია, წონას 410.400 ტონამდე წევს (ამ წონაში თვითონ ციგის წონა არაა გათვალისწინებული). კიდევ ერთხელ შედარებისათვის: ეს გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ოთხჯერ აღებული „ტიტანიკის" წონა.

5. 410.400 ტონა 1040 კმ/წამში სიჩქარისას ჰაერის უზარმაზარ წინაღობას იწვევს, რის შედეგადაც ირმები გაცხელდებიან, ისევე როგორც კოსმოსური ხომალდები, რომლებიც ისევ დედამიწის ატმოსფეროში შემოდიან. ირემთა პირველმა წყვილმა ამის შედეგად 16,6 ტრილიონი ჯოული ენერგია უნდა მიიღოს წამში. უკეთ რომ განვმარტოთ, მათ ფაქტიურად, იმ წუთასვე, ცეცხლი უნდა წაეკიდოთ...

ირემთა მთელი გუნდი წამის მეხუთიათასედში აორთქლდება. თოვლის ბაბუა განიტყორცნება დედამიწის აჩქარებაზე 17.500-ჯერ უფრო ძლიერი აჩქარებით. 120კგ მამაკაცი (რაც აღწერილობის მიხედვით სასაცილო არ უნდა იყოს) თავისი ციგის ზედაპირს 20,6 მილიონი ნიუტონის ძალით დაენარცხება.

მათემატიკოსების ამ გამოთვლებმა მსოფლიო ბავშვთა დანაღვლიანება გამოიწვია. მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი მეცნიერების უახლეს მიღწევებს არ იცნობდნენ - ამერიკელები მიზიდულობის ძალის დაძლევაზე მუშაობენ.

მაშ ასე, თოვლის ბაბუა აუცილებლად მოვა და თუ საჩუქრებს არ ამოგიტანთ ბუხრის მილიდან, თქვენი კეთილ საქმეებისათვის იგი სხვა გზით დაგასაჩუქრებთ.

**მოამზადა ნინო ხაბელაშვილმა**



# გილოცავთ ქრისტეშობის დღესასწაულს

საზეიმოდ გუგუნებენ საშობაო ზარები. თითქო, ანგელოზთა ზეციური გალობაც ისმის. აღგიტაცებს, სასოებით აღგავსებს უფლის სადიდებელი საგალობლები, ტროპარები და კონდაკები, ლოცვა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიმართ, კაცობრიობას მაცხოვარი რომ მოუვლინა! მთელი სამყარო განიშვებს, უღალადებს იესო ქრისტეს შობას...

ამ მსოფლიო ჰარმონიაში, თითქოსდა, ოდნავი დისონანსი შემოაქვს განსხვავებას შობის თარიღებს შორის, მაგრამ დიადი, საუკუნეებში რუდუნებით გამოტარებული ცნება - „მარადიული შობა" წარხოცავს 13-დღიან სხვაობას და მხოლოდ ზეციურ წელთაღრიცხვას აღიარებს.

დგება ჟამი, როცა უკუგდებულია ყოველგვარი ცრურწმენა, კონსერვატიზმი, ლაღდება და ზეობს სული. ძირეული სულიერი ჭეშმარიტება ყოველდღიურობას ერწყმის, დაიძლევა უფლისკენ, საკუთარი თავის ძიებისკენ მიმართულ გზაზე არსებული წინაალმდეგობები... სამყაროს სხვა თვალით დანახვის, ყოველდღიური რუტინის იესოს სწავლების სიბრძნითა და მისი ცნებებით გაკეთილშობილების ძალი შეგვწევს.

შობის დღესასწაული ქრისტეს შემეცნების ჩვენშივე გამოვლინებაა. ყოველი ადამიანისთვის, რომელი რელიგიის მიმდევარიც უნდა იყოს, უმნიშვნელოვანესია შეიგრძნოს ქრისტეშობა.

ყოველი დღე ქრისტეშობაა. დიახ, ყოველი დღე შობაა, რადგან მაცხოვრის ხორციელად მოვლინება, რაც ორი ათას წელზე მეტი ხნის წინათ მოხდა, იქიდან მოკიდებული, ყოველწლიურად, ყოველდღიურად ავლენს თავს.

მაშ, ჭეშმარიტად ჰყვარებია შემოქმედს ადამიანთა მოდგმა, სხვაგვარად ხომ არ მოგვცემდა ძეს თვისას უსაყვარლესს, რათა მას თავისი ვნებით კაცობრიობის ცოდვები გამოესყიდა.

შობა მარადიულია. იგი ისე ირეკლება ჩვენს სულებში, ვითარცა სარკეში. ხომ გვმოძღვრავს კიდეც მაცხოვარი, ცათა სასუფეველი ყოველ თქვენგანშიაო.

უფლის სასუფეველი ღვთის ცნობიერებაა. როცა ღმერთის სასუფევლის რეალობას შეიგრძნობთ, აღმოაჩენთ, რომ იგი სასწაულებრივი კოსმიური ნიშატია, რომელიც განუზომლად მაღლა დგას ადამიანურ ვნებებზე, რომელიც გვზრდის, გვმოძღვრავს იქამდე, ვიდრე ქრისტესეულად აზროვნებას ვისწავლით, ვიდრე გავთავისუფლდებით მიწიერი მანკიერებებისაგან... აი, ღმერთკაცობის სათავე.

სასუფევლის კარის გაღების ნება რომ მოგვეცეს, რათა უდიდესი საიდუმლოება ვიხილოთ, მრავალი ჩვენგანი მყისვე მოინდომებდა საკუთარი თავის დასჯას პირველი უკეთური აზრის გამო. ასე ირჯებიან წმინდანები. ისინი გვაფრთხილებენ, ფხიზლად მოვეკიდოთ ყოველ ჩვენს აზრს, სიტყვას, საქციელს. განგვაშორებენ ამპარტავნობას, სიცრუეს, გულცივობას, მოყვასის სატკივარის არად ჩაგდებას; გვასწავლიან, ვიყოთ გულისხმიერნი, თავმდაბალნი, შემდობნი, უანგარონი...

მაშ, მოდით ახლავე, აქვე ვიფიქროთ და ვიმოქმედოთ ისე, როგორც, თქვენი აზრით, იფიქრებდა და მოიქცეოდა იესო ქრისტე.

შობას გილოცავთ!

საგაზეთო ვერსია

# სიუჟეტი გაზეთ „მამულის" შესახებ გიორგი თარგამაძის საავტორო ჟურნალში დროება

**ავტორები: თეა ადეიშვილი, ამირან მურვანიძე**











**წამყვანი:**

10 ათასი „მამული" თვეში.

„მამული", რომელსაც ოკეანეს გაღმა შეიძლება თითი დაადო.

ერთმა ქართველმა ახალგაზრდამ გადაწყვიტა ნიუ-იორკში საკუთარი და სხვა ემიგრანტების ნოსტალგია შეემსუბუქებინა და ერთ მშვენიერ დღეს, ამერიკულ სტამბაში, უცნაური შრიფტით დაკაბადონებული გაზეთი მიიტანა.

გაზეთი, სახელად „მამული".

მანუჩარ კაჭახიძემ ის საკუთარი სახსრებითა და საკუთარი ხელებით შექმნა. ამით ემიგრანტები სამშობლოს დააახლოვა.

ახლა, ქართული პრესა ამერიკაში ოთხ წელს ითვლის. თეა ადეიშვილი დაინტერესდა, რა ემოცია დევს უბრალო ქართული ნაბეჭდი ასოების მიღმა ამერიკულ „მამულში".

**ავტორი:**

ორი დრო, ორი დროშა, ორი პრეზიდენტი და ერთი გზა.

ასეთია ერთი ემიგრანტის ამერიკული ცხოვრება თბილისის დროით, ქართული ატრიბუტებით და სიმღერით მშობლიურ ქალაქზე.

**სინქ:** მანუჩარ კაჭახიძე (გაზეთ „მამულის" რედაქტორი)- „ერთი დეტალიც არ არის ამ ქვეყანაში ისეთი, რომელიც შენს ქვეყანას მოგაგონებს. ამ ქვეყანასთან მშობლიური არ გაკავშირებს, ამაგიც არა გაქვს... ვიცი ისტორია, რომ ამ ხიდის შეღებვაში 300 ტონა საღებავი იხარჯება, ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ღებავენ..."

**ავტორი:**

ბრუკლინის ხიდიდან მანჰეტენზე თვალუწვდენელ ცათამბჯენებსა და ხმაურიან მეგაპოლისში გადის. ახლა ამერიკის ისტორია და აწმყო მისთვის გაცილებით მარტივია, თუმცა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჯორჯია რიგითი ამერიკელისთვის.

ფიქრობს, წერს, გეგმავს და ოცნებობს. შტატები, 27 წლის ქუთაისელი ჟურნალისტის, მანუჩარ კაჭახიძის დროებითი არჩევანია, ქვეყანა, რომელიც იმაზე ახალგაზრდაა, ვიდრე ქუთაისის ოქროს ჩარდახში ამოსული 100-წლოვანი მუხა. ოკეანის გაღმა ქართული გაზეთის გამოცემაც სწორედ საქართველოსა და ქართველების სიყვარულმა გადააწყვეტინა.

**სინქ:** მანუჩარ კაჭახიძე-„აქაური ემიგრაცია ქართული სითბოს გარეშე დარჩა. როცა დავინახე, რომ ეკლესიაში ქართველი ბავშვი ბავშვს ინგლისურად ეუბნებოდა „ნიკა ცომე ჰერე", მაშინ მივხვდი, რომ გაზეთი აუცილებელი იყო, რაღაც სისხლის ფასადაც, უამრავი წვალების ფასადაც გაზეთს რაღაც ფორმით უნდა ეარსება, და ამიტომ იყო, რომ ეს გაზეთი, „მამული" წამოვიწყეთ.

**ავტორი:**

100 ათასი ცალი მამული თვეში ერთხელ გამოდის. ბოლო ნომერს მანუჩარი ნიუ-იორკის ქართულ ეკლესიაში შეკრებილ მრევლს ჩუქნის. მათთვის მშობლიურ ენაზე, ამერიკაში დაბეჭდილი, ერთადერთი ქართული გაზეთი, ნოსტალგიასთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა.

**სინქ:** ემიგრანტი-„აი, თითის დადება საქართველოზე, რომ საქართველოს ეხები თითქოს, ამხელა მანძილზე. რას ნიშნავს? ნოსტალგიასთან ბრძოლას! "

ემიგრანტი-„ბედნიერება ის არის, რომ ეს გაზეთი დევს ყველგან, სადაც შეხვალ, დაინახავ, „ვა, მამული?!", აიღებ, წამოიღებ. ახლა ყიდვა რა არის, 25 კაპიკი, მაგრამ... ის, რომ გეხვეწება თითქოს, აი, წამიკითხეო."

**ავტორი:**

ქართული წირვა-ლოცვა კათოლიკური სასწავლებლის შენობაში ისმის, აქ ჩამოსული ქართველების საყვარელი თავშეყრის ადგილიც სწორედ ეს ეკლესიაა. მამა ალექსანდრეს მრევლში ქართველების გარდა, მართლმადიდებელი ამერიკელები და ჩინელებიც კი არიან. ყველა მათგანი აღსარების საიდუმლოებას ქართველ მამაოს ანდობს. მათ შორის „მამულის" რედაქტორიცაა, რომელსაც სხვა ქართველებივით უყვარს და ენატრება, თუმცა ცდილობს, რომ საკუთარ ოჯახებთან და ქვეყანასთან განშორების მძიმე ეტაპი სხვა ქართველებს გადაატანინოს.

**სინქ:** მანუჩარ კაჭახიძე-„უამრავი ადამიანი გვირეკავს და გვწერს: „აი, მეტროში წავიკითხე გაზეთი, სამსახურიდან რომ მოვდიოდი... ვაგზზე წავიკითხე და, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ძნელი სამსახურიდაქვს, შინამოსამსახურედ ვმუშაობ, მეტროდან გამოვედი ძალიან ამაყი, მხრებგამართული, რომ ქართველი ვარ!"

**ავტორი:**

ქვეყანაში, სადაც ინგლისურად ცაზეც კი ბეჭდავენ, ქართული გაზეთი მეოთხე წელია გამოდის. „მამული" ძირითადად ლიტერატურული გაზეთია, სადაც ცნობილი ქართველი მწერლების ნაწარმოებები, ისტორიული და თანამედროვე ნარკვევები, ესსეები და ანალიტიკური წერილები იბეჭდება. იგი ერთდროულად ვრცელდება ამერიკასა და კანადაში, თუმცა მისი წაკითხვა ქართველ მკითხველს მსოფლიოს ყველა კუთხეში ინტერნეტის საშუალებით შეუძლია. მანუჩარი ამბობს, რომ ყველაზე მძიმე გამოცემის პირველი წელი იყო, როცა ნიუ-იორკის სტამბაში 20-გვერდიანი გაზეთის გამოსაცემად უცნაური შრიფტი მიიტანა და რეგისტრაცია გაიარა. ამერიკულ სტამბაში ქართულ გაზეთს ნდობის ვოტუმი ისევ ჯორჯ ბუშმა აუმაღლა.

**სინქ:** მანუჩარ კაჭახიძე-„შეეშალათ და გაზეთი არაბულად დაბეჭდეს, პირველი გვერდი ბოლოდან იწყებოდა და პირიქით უნდა გადმოგეფურცლა. ერთ გვერდზე ტუალეტის ქაღალდზე ბინ ლადენი ეხატა, თანაც იქვე იყო სადამ ჰუსეინის სურათი, რის გამოც გაზეთი სტამბიდან არ გამოგვატანეს, სანამ მთლიანად არ გადავთარგმნეთ და არ წაიკითხეს. ეს ნომერი 15 დღის დაგვიანებით მიეწოდა მკითხველს. რაც ბუში იყო საქართველოში, ეჭვის თვალით აღარ გვიყურებენ, იციან რომ საქართველო ერთ-ერთი პარტნიორია."

**ავტორი::**

2006 წლის 5 სექტემბერს, ნიუჯერსის შტატის სენატორმა, ფრანკ ლაუთენბერგმა, გაზეთ „მამულის" სახელზე, ვაშინგტონში, კაპიტოლიუმის თავზე, ამერიკის დროშა აღმართა. ასეთი ტრადიციით ამერიკელები აღიარებას და პატივისცემას გამოხატავენ. თავად მანუჩარ კაჭახიძე კი „ვაშინგტონ პოსტში" კორესპონდენტად მიიწვიეს.

„მამულის" რედაქცია ერთი ოთახით შემოიფარგლება და იქ ყველაფერი საქართველოს უკავშირდება. გაზეთის რედაქტორიც თავადაა, დამკაბადონებელიც, ჟურნალისტიც და დამფინანსებელიც.

**სინქ:** მანუჩარ კაჭახიძე-„რაღაცა ფორმით ჩემს პატარა სამშობლოს ჩემს ირგვლივ ვქმნი, აქ ვიკრიბებით მეგობრები. მეზობლებს ქართველობა ვასწავლე. დილის 6 საათზე ჩემი მანქანის გადასათოვად რომ გავდიოდი, მათ მანქანებსაც გადავთოვლიდი. შარშან ჩემი მანქანა უკვე გადათოვლილი დამხვდა, - ისწავლეს."

**ავტორი:**

ქართველი ემიგრანტისთვის მანჰეტენი ტყუპების გარეშე ამერიული ერის დაბადების სიმბოლოა. 11 სექტემბრის ტრაგედია მან საკუთარი თვალით სწორედ აქედან იხილა. მაშინ გაზეთ „მამულის" რედაქცია სწორედ ჯერსი სითიში იყო.

**სინქ:** მანუჩარ კაჭახიძე-„მაშინ გაზეთშიც დავწერე, რომ 8.45 წუთზე დაიბადა ამერიკა როგორც ერი. აქამდე ამერიკა სულ სხვადასხვა ერებისგან შემდგარი მხოლოდ ქვეყანა იყო, ერი კი მაშინ დაიბადა."

**ავტორი:**

ახლა იქ არის, სადაც მოხვედრაზე მილიონები ოცნებობენ. თავისუფალ ცისფერ ქალბატონს ფოტოებს უღებს და მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე ტოლერანტული ერის შვილია, მაინც უკვირს, როცა არაბები, მათი მოძმეების მიერ დატრიალებული ტრაგედიის ადგილს, თავისუფლად და აუღელვებლად სტუმრობენ.

**სინქ:** მანუჩარ კაჭახიძე-„ბევრი ადამიანი ნატრობს ამ ქვეყანაში მოხვედრას და კონკრეტულად ამ ადგილას მოსვლას, მაგრამ ჩემთვის, პირადად ჩემთვის, ბაგრატის ტაძარზე არბენა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე აქ ყოფნა. ჩემი აქ მოღვაწეობა, აქ შრომაც, მხოლოდ და მხოლოდ ერთი რამისკენ არის მიმართული, რომ ჩემი ღირსეულად დაბრუნება მოხდეს ჩემს ქვეყანაში ჩემს საყვარელ ქალაქში."

**ავტორი:**

ისიც ყველა ემიგრანტივით დაბრუნებაზე ფიქრობს და მაინც აქ არის. ოცნებობს, გეგმავს, წერს და მუშაობს. ასეთია ერთი ქუთაისელი ჟურნალისტის ამერიკული ცხოვრება თბილისის დროით.











# როცა მთელი საქართველო ფეხზე უნდა იდგეს!

ერთთავად აღმართებში სიარული მარგუნა მაღალმა ღმერთმა. დავჩაჩანაკდი, მაგრამ დღესაც აღმართებს მივებრძოლები და, აგერ, თხემს გადაღმა დაღმართი იწყება, იქით რომ მიემართება, საიდანაც აღარავინ დაბრუნებულა.

მზის ჩასვლაა, ჩემს სავალზე დიდი და პატარა უხვფოთლიანი ხეების ჩრდილები გადმოწოლილან, ტანზე მეფინებიან, სხეულში შემოდიან, თავისკენ ჟრუანტლად მიემართებიან, მატორტმანებენ. რომელიღაც ჩრდილი მახარებს, სხვა კაეშანსა და ცრემლსა მგვრის, ყველა ერთად კი მემუდარება, - ცოცხალი ვარ, თუ - აღარ, გამომესაუბრე, არ მიმატოვო, დავიწყებას ნუ მიმცემო. ვიბნევი, ვერ გადამიწყვეტია, რომელს მივუძღვნა დარჩენილი სიცოცხლის ფიორა ნაწილი მაინც. ყოველ მათგანს ვეთაყვანები - მათაც, ვინც ჩემთან და ჩემში იქნება სიკვდილამდე, მათაც, ვინც ჩემზე ღირსეულად მიიჩნია თავი, და აღარ მინდომა. ვერც ერთი ვერ გაქრა, არ დამიტოვეს სიცარიელე და ბარაქიანი გლეხის ქვევრივით პირთამდე სავსე ვარ დღემდე იმ ხეთა ჩრდილებით.

უნდა დავიცალო, მიქცევა ახლოა და ვალი მადევს აღმართს გარდიგარდმო შეყოლებული ჩრდილებისა. არ ეგების საფლავში ჩავიტანო მათი სახელები, ნაქმნარი, აღსრულებანი და ვითარებანი, მათ რომ ახლდათ, თუ მათგან დამოუკიდებლად რომ ეფინენ ჩემს გზასა და სავალზე.

ღმერთო, მომეც „ძალი ვალთა ხდისა და მშვენიერების ღაღადისისა.“

ახლო წარსულში მეუღლითურთ ვეახლე ატოცის წმინდა გიორგის და მუხლმორთხმით შევევედრე: **ატოცის წმინდა გიორგი,** თეთრო რაინდო, დიდო სალოცავო ჩემი წინაპრებისა, მეოხ გვექმენ ყოვლისა შემძლე ღმრთისა ჩვენისა წინაშე, რათა მიეცეს ილაჯი ქართველთ რწმენით, მოთმინებით, თავმდაბლობით, ძალით გონებისა და მკლავისა თვისასა მყარად იპყრან ხელთ აწმყო და მომავალი სამშობლოსი თვისისა.

**ატოცის წმინდა გიორგი,** შემიწყალე მეც, მიბოძე კიდევ ერთი გამარჯვება ჭაბუკობიდანვე შენის ხატის მკერდით მატარებელს, ყოვლითა ნაგრამითა ჩემითა და თანამეცხედრის, ჩემის უღლის გამწევი მეგობრის, მხევლისა ღმრთისა თამარითურთ.

მადლობას გწირავ უთვალავი გადარჩენისთვის სიკვდილისა თუ უკიდურესი გასაჭირისგან.

გავკადნიერდები, ბოლო თხოვნაა ჩემი, **გაგვამარჯვებინე შთამომავალთათვის ღირსეული სამშობლოს დასატოვრად შეუპოვარ ომში, ვერაგ მტერთან პირისპირობასა და ბრძოლაში!**

ჭაბუა ამირეჯიბი



ჭაბუა ამირეჯიბი - 85

## სიტყვა კეთილაღნაგ მწერალსა და კეთილშობილ ყაჩაღზე

ჩვენი დღევანდელი იუბილარი უკვდავების ბინადარი მას შემდეგ გახდა, რაც ამ ქვეყანაზე დათა თუთაშხია მოავლინა!

თვით სიკვდილსაც კი, რომელიც ასევე სავალდებულოა დედის მუცლიდან ნაშობი ყველა მოკვდავისთვის, ჭაბუა ამირეჯიბის სახელთან აღარაფერი ესაქმება - მისი მარადიული სიცოცხლე მისივე აღსასრულის დღიდან დაიწყება!

სხვათაშორის, ახლა ძნელი სამტკიცებელია: ჭაბუა ამირეჯიბმა შექმნა დათა თუთაშხია თუ პირიქით - დათა თუთაშხიამ შექმნა ჭაბუა ამირეჯიბი!

რასაკვირველია, არსებობის უფლება ორივე ვერსიას აქვს და, აქაიქ, ხან სწორად, ხანაც შეცდომით წერენ:

ჭაბუა ამირეჯიბის რომანი - „დათა თუთაშხია“.

დათა თუთაშხიას რომანი - „ჭაბუა ამირეჯიბი“.

ხოლო, თუ მოვლენები ამავე „სიზუსტით“ განვითარდა, შემდგომში, ანუ მომავალ საუკუნეთა წიაღში, ამის გარკვევა ისეთივე უიმედო საქმე გახდება, როგორც ის - კვერცხიდან შეიქმნა ქათამი თუ ქათმიდან კვერცხი!..

არადა, ამის მაგალითი მსოფლიო ლიტერატურაშიც გვაქვს - ეს მაგალითიც ასევე ნაციხარი მწერლის სახელს უკავშირდება!

როგორც ცნობილია, სერვანტესმა შექმნა დონ კიხოტი!

როგორც ცნობილია, დონ კიხოტმა შექმნა სერვანტესი!

ცხადია, სიტყვაკაზმულ მწერლობაში სხვა სახიერი მაგალითიც მრავლად იქნება, მაგრამ მე ის უფრო მხიბლავს, გენიალური ესპანელის სახელთან დაკავშირებული ლიტერატურული ფაქტი - მნიშვნელოვანწილად - ჩვენს პატარა საქართველოშიც რომ განმეორდა!

და, როგორც მე მგონია, თითქოს, ერთმაც და მეორემაც, ციხეში გატარებული ხანგრძლივი წლებისთვის შური იძიეს და მთელი მსოფლიოს მკითხველები მძევლებად აგვიყვანეს, თავიანთ წიგნებზე და ამ წიგნების მიხედვით გადაღებულ ფილმებზე მარადიულად რომ მივეჯაჭვეთ!..

**ჩვენ ჭაბუა ამირეჯიბის გვერდით ვცხოვრობთ და თუ ამ სასწაულს დღევანდელ დღეს ასე მძაფრად ვერ ვგრძნობთ, ესეც ამჟამინდელი ხელისუფლების ბრალია და არა საქვეყნოდ სახელგანთქმული იმ მწერლისა, რომლის საიუბილეო დღეების აღსანიშნავად, წესით, მთელი საქართველო ფეხზე უნდა იდგეს!..**

თამაზ წივწივაძე

ჭაბუა ამირეჯიბის მარად ცოცხალი შეგონებანი

## „-რას შვრებით, ხალხო, რას გავხართ, თუ ხედავთ ამას!.. ვინ ხართ, თქვე უბედურებო, რა ჯიშის ხართ! რა გიყოთ და რას დაგამსგავსათ მამაძაღლმა აბელა სეთურმა და, აბერ, ამ მოსასპობმა თაბაგარმა, არ ფიქრობთ?! ვერ ხედავთ ამას?!“

### ჯანსუღ ჩარკვიანი
### 85 წლის ჭაბუა ამირეჯიბს

ეხ, რამდენჯერ „ჩაგიშვეს“,
არც არავინ დაგინდო,
ძველი სისხლი გაგიშრეს, —
შე უილბლო რაინდო.

მაინც შერჩი ქვეყანას
მზეჭაბუკის ამბორით,
გზებზე შური ეყარა,
ფეხზე იდგა თაბორი.

ფეხზე იდგა ბეთლემი,
ფეხზე იდგა სიონი,
ღმერთთან
ლოცვის შემთვლელი
შენი კავკასიონი.

სინათლე ხომ მზის გახლავს,
სისხლი — შენივ გამდელის,
დღეს იმდენი წლისა ხარ,
მოგისაჯეს რამდენიც.

დღეს რომ ერმა ჩაბუქნა,
იმ ძველ „ბუქნას“
ხომ არ გავს?
ვაშა, ძმაო ჭაბუკა, —
შენს ჯილაგს და მონაგარს!

●

- რისთვისაა შემოღებული და ვისი შემოღებულია მაგ წესი, მითხარი, თუ ღმერთი გწამს? - კითხა დათამ.

- ხართ აქ ორი კაძახი და უნდა ვიცოდეთ ჩვენ, რას ფიქრობთ და რას აკეთებთ. აპა, როგორ?! მარჩენალმა ყველაფერი უნდა იცოდეს, არ შეიძლება ისე!

- თუ უკაცრავად არ ვიყო და, მაგ შენი მარჩენალი ვინ ოხერია, ნეტავი? - გული მომივიდა ძალიან.

- ვაი შენს პატრონს! - შემომიტია დედაბერმა. - ვისაა, ოხერს რომ უძახი! ოხერიც ხარ და ტილიანიც. სარკეში ჩაგახედა, რას გავხარ, ნეტავი, შე ღვთის გლახა შენ!.. - ამ სიტყვებს საკუთრივ მე მეუბნებოდა. - ვინ არის ჩვენი მარჩენალი და, არქიფო სეთური არის ჩვენი მარჩენალი, მამა, დედა და ღმერთი. აპა!

- გამაგებინე, დედიკო, აბელი ქვია სეთურს თუ არქიფო? - მოახერხა სიტყვის ჩაკერება დათამ.

- აბელი ერქვა უწინ. ახლა არქიფო ქვია! თვითონ გადაირქვა. ასეა საჭირო და მიტომ.

●

კოჭლი მედავითნე თაბაგარი, სეთურმა თავის მარჯვენა ხელად რომ გაგვაცნო, საგულდაგულოდ გადახერხილ კუნძზე გასულიყო და გულხელდაკრეფილი იდგა ზედ. მის წინ ორ მწკრივად გაშტრინგული ოცი თუ ოცდახუთი ქალი და კაცი რაღაც ლოცვას თუ ლექსს ლაპარაკობდა გაცხარებით. ილაპარაკეს, ილაპარაკეს და გაჩუმდნენ. ისინი რომ გაჩუმდნენ, მაშინ კუნძზე შესკუპულმა თაბაგარმა ჩაიბუტბუტა:

- ხოლო მომძღვნელმან ჩვენის პურისა და სარჩოსი, მამამან ჩვენმან უსათნოესმან და უკეთილესმან, რომელ არს არქიფო, - იცოცხლოს მარადჟამს!

ნიშანი მისცა თაბაგარმა და დაიწყო ისევ მრევლმა ბუტბუტი.

კაი ხანს იბუტბუტეს... ყველა პწკარი არქიფოთი თავდებოდა და „პოლიქრონიონ, პოლიქრონიონ, პოლიქრონიონით!“

დამთავრდა ეს ამბავი და თავისუფლადო, უბრძანა თაბაგარმა იმ ხალხს.

მოკეცეს ცალი ფეხი მუხლში.

- სპირიდონა სულანჯია, შე მამაძაღლო, არ არის შენთვის დღეს სამუშაო! - პუტპუტით გამოაცხადა თაბაგარმა. - პილატე სვანიძემ ჩაცხოს კისერში ერთი და გააგდოს მაქედან!

პილატე სვანიძემ ჩაცხო კისერში სპირიდონა სულანჯიას და მუჯლუგუნით გამოაგდო მწყობრიდან. მსჯავრდადებული კაცი განზე გავიდა, თოვლზე დაჯდა, მოთქმა დაიწყო, ვაი ჩემს ცოლშვილს და ვაი მეო! არავინ მიაქცია ყურადღება სპირიდონა სულანჯიას.

სმენა ბრძანა თაბაგარმა. მერე მარჯვნისკენო, მერე ნაბიჯითო, და წავიდა სადღაც ეშმაკებისკენ ის შემოფხრეწილშემობლანძული ხალხი...

●

**არქიფო სეთური:** - ხუთ საათზევაყენებ ხალხს. უნდა ხედავდეს ხალხი, რომ წესი ერთნაირია ყველასთვის, თვარა, თვითონაც შუადღემდე ძილს მომთხოვს და საქმე დაზარალდება. საქმეს რომ ვამბობ, სამუშავარს კი არ ვფიქრობ - კაცებს ვფიქრობ, მათი ცხოვრებისთვის და კეთილდღეობისთვის ვლაპარაკობ...

●

კაცი შიშს და მოკრძალებას რომ დაკარგავს, მაშინ გაუბედურდება სწორედ. არ იტყვი, რა აქვს ნათქვამი სპირიდონა სულანჯიას? არქიფო სწორედ იმდენს გვაძლევს, შიმშილით რომ არ დავწყდეთო! სიმდიდრეს და ფუფუნებას მოაქვს ყველაფერი გარყვნილება და უზნეობა. ვთქვათ და მივეცი სპირიდონა დოყლაპიას რომ ვაძლევ, იმაზე მეტი. კიდევ მეტი მოუნდება მაინც და რომ აღარ ექნება, მაშინ გაუბედურდება - პარვას და შურიანობას მოკიდებს ხელს. თხა თუ გაძღა მგელზე ნადირობას მოინდომებს, ხომ გაგიგონია? რა გამოდის აქედან? კაცისთვის კაი თუ გინდა, არ უნდა გააძღო და გააღორმუცელო.

●

სიკეთე თუ გინდა ხალხისთვის, სიყვარული უნდა ჩაუთესო გულში. უგუნური თუა, სიყვარულს რანაირად ჩაუთესავ? მარტო შიშით ვერ ჩაუთესავ. აპა, როგორ? რაფერ და დღედაღამ შენი სახელი უნდა აძახებიო და შენი ქება გააგონო და საკუთარი პირით ათქმევიო. თაბაგარი ამისთვის წამოვიყვანე კვირიკედან. დავაწერინე ლოცვები - ზოგი ლექსად, ზოგი სიმღერად და ზოგიც ისე. ნამეტანი კარგად და ძვირფასად აკეთებს ამას. უყენია ეს ჩემი ხალხი, ამეორებიებს დღეში სამჯერ: ერთს - დილით, მეორეს - სამუშაოზე და მესამეს - შინ რომ ბრუნდებიან საღამოთი, მაშინ. დროდადრო გამოცვლა უნდა ლოცვებს. ბერდება ლოცვა და ძალას კარგავს, დიდხანს ერთი და იგივე თუა...

●

ხალხს თუ უთხარი - ადამიანი ხარო, რას გეტყვის, თუ იცი? ადამიანი თუ ვარ, მაშინ მეც შემიძლია, შენი მაგიერობა გავწიო და გამოდი მაქედანო. გამოხვალ, დაჯდება შენს მაგიერ და გაუბედურდება. ცხენი და სახედარი ხარ-თქვა, უნდა ელაპარაკო! ადვილად იჯერებენ ამას.

●

ხალხის ბედნიერებისთვის რაა საჭირო? შიმშილი - ერთი. ახლა, მთლად შიმშილი კი არა, მარა მთლად სიმაძღრეც არაა კაი. მეორე - შიში. სიყვარული იცის შიშმა და ქება-დიდება და ლოცვაც სიყვარულისთვისაა საჭირო - ორივე ერთად უნდა. კიდევ რაა ხალხის ბედნიერებისთვის საჭირო? ჯანმრთელობა. ჯანმრთელი მაშინ იქნება ეს ჩემი ხალხი, თუ არ მოვადუნე და დაჭიმული თუ მეყოლება მუდამ. დაჭიმული - აუცილებლად. ერთია კიდევ მთავარი და უამისოდ არ გამოვა არაფერი. იმედი! სადაა და შენ უნდა მოიგონო ხალხის იმედი. მოვიგონე მე ჩემი ხალხისთვის იმედი და ნამეტანი იმედიანად მყავს ყველა. იმედი თუ აქვს ხალხს, ზედმეტს არ გაივლებს გულში არაფერს და იქნება ბედნიერად.

●

ბოროტ კაცს შეეშინდეს, იქნება, კანონის და სამაგიეროსი და იმ განზრახულ ბოროტებას აღარ ჩაიდენს მაშინ, მართალია ეს, მაგრამ ბოროტი იმის ბოროტია, რომ კანონიერ გზას მონახავს და ისე იზამს თავისას. კანონს ის შეუძლია მარტო, რომ თვალსაჩინო ბოროტების მაგიერ, ძნელად შესამჩნევს ჩაადენინებს ჩამდენს.

●

არყით აღგზნებული კაცის გონებაში ბინდი ისადგურებს, მისი ენა სიმახინჯისა და დაუნდობლობის ენაა. ღვინით აღგზნებული კაცის გუნებაში ნათელი დგება, მისი ენა სილამაზისა და სიყვარულის ენაა. არაყი - მსჯავრია, ღვინო - მიტევება. განგებამ ღვინის სიყვარული გვიბოძა, რომ ჩვენი აზრისათვის მშვენიერება და სიკეთე მიენიჭებინა. ფიქრისა და საუბრის სარბიელად სუფრა მოგვიჩინა, სუფრავე დაგვითქვა ადგილად, სადაც ერთმანეთისათვის მხოლოდ კეთილი სურვილი ითქმის და საგნისათვის მხოლოდ პირუთვნელი შეხედულება. ქართული სუფრა ქართულ სიმღერას ჰგავს: სხვადასხვა ხმაზე ვმღერით და კონტრაპუნქტში ვერთიანდებით. არ არსებობს თანხმობა იმ თანხმობაზე დიდი,- რომელიც აზრთა სხვადასხვაობით მიიღწევა.

●

ბუნებაში, ალბათ, არაფერია ერთმანეთზე ისე პირდაპირ დამოკიდებული, როგორც პიროვნების ზნეობაზე - მისი ერის ბედ-იღბალი, მოქალაქის ზნეობაზე - მისი სახელმწიფოს ავკარგი და პირუკუ. ისინი ერთმანეთის შვილები არიან. ზნეობა ის შინაგანი ძალაა, რომლის წყალობითაც პიროვნება საქციელს იწესრიგებს, რომლის წყალობითაც თავის პირად მოთხოვნილებებს ერის და სახელმწიფოს საჭიროებებს უთანხმებს.

●

შენ სამშობლოში შენი ოჯახის დესპანი უნდა იყო და სამშობლოს გარეთ - შენი ერის დესპანი, რადგან შენი საქციელი შინ შენი ოჯახის სახეა და გარეთ - შენი ერის!

●

სიკეთე, უპირველესად ყოვლისა ერისათვის სამსახური და კაცთათვის მაგალითია; სიყვარული - უანგარობასა და პირუთვნელობაში გამოხატული კეთილმოსურნე დამოკიდებულებაა სამშობლოსა და სამყაროს მიმართ; მშვენიერების გრძნობას მშობლიური მიწა-წყლის სილამაზე და ერის ზნეობრივკულტურული საგანძური აღვივებს. ყოველივე ამას ზიარებული კაცი - მამულიშვილია, პატრიოტია.



- სხვის ოთახში ჭვრიტინი სადაური წესია, ბიცოლა! - ვუსაყვედურე მე.
- სადაური წესია და აქაური წესია!



შენ სამშობლოში შენი ოჯახის დესპანი უნდა იყო და სამშობლოს გარეთ - შენი ერის დესპანი, რადგან შენი საქციელი შინ შენი ოჯახის სახეა და გარეთ - შენი ერის!








ქრისტესმიერ საყვარელნო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, პატივცემულნო ხელისუფალნო, მართლმორწმუნენო, მკვიდრნო საქართველოსა და სამშობლოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო, სიყვარული და სიხარული განგმრავლებოდეთ, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!

აღსრულდა ყოვლადწმინდა სამების საღვთო განგება, ახდა ძველი აღთქმის წინასწარმეტყველება, - „ღმერთი გამოჩნდა ხორცით“ (1 ტიმ. 3,16). მაცხოვარი მოვიდა წუთისოფელში, რომელიც ძალადობით, დაპირისპირებითა და ბოროტებით არის სავსე. მოვიდა, რათა სრულიად გარდაექმნა იგი. თვინიერ ცოდვისა მიიღო ჩვენი დაცემული ბუნება, რომ საღვთო სიყვარულის ძალით მოეხდინა ჩვენი შინაგანი ფერისცვალება, შეიმოსა ადამიანური სხეულით, რომ მარადიული ტანჯვისაგან ეხსნა კაცთა მოდგმა.

ბეთლემში შობილი ყრმისაკენ მიმავალი გზა ხსნილია ყველასათვის. ერთნი ცოდნისა და ინტელექტის, ანუ მოგვთა, გზით მიდიან; სხვანი განსაცდელისა და მწუხარების ბილიკს მიუყვებიან, მესამენი, მწყემსთა მსგავსად, თავმდაბლობითა და ლოცვით მიემართებიან. რა თქმა უნდა, არსებობს სხვა გზებიც.

საზოგადოების ნაწილი კი საპირისპირო მიმართულებით მიდის და ბნელეთისაკენ მიექანება, თუმცა ამას თავიდან თითქმის არავინ აცნობიერებს, რადგან ეშმაკი ათასგვარი საცდურით აბრუებს ადამიანებს და ცოდვის ჭაობში ღრმად ითრევს.

ჩვენს დროში მისი ქმედება უფრო დახვეწილი გახდა და სიკეთისა და ბოროტების გარჩევა კიდევ უფრო გაჭირდა. ამიტომაც აუცილებელია, კარგად გავაცნობიეროთ, რა გარემოში ვცხოვრობთ, რომელი ტენდენციებია მნიშვნელოვანი; რა არის მისაღები და რა უარსაყოფი; ქვეყნისთვისაც და ჩვენთვისაც რა არის პირველი რიგის ამოცანა, რა შემდეგ გასაკეთებელი საქმე.

ტელევიზიის, მობილური კავშირგაბმულობის, კომპიუტერისა და ინტერნეტის განვითარებამ მანძილი და დრო მკვეთრად შეამცირა. ეკონომიკა თანდათან კარგავს მხოლოდ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას და იქმნება ტრანსნაციონალური კომპანიები, რომელთაც, ძირითადად, საკუთარი მიზნები ამოძრავებთ და არა სახელმწიფო ინტერესები. მიმდინარეობს კულტურათა ასიმილაციის პროცესიც. ეს ყველაფერი მრავალსახოვანი გლობალიზაციის გამოვლინებაა.

ასეთ ვითარებაში ჩვენი ხალხი ახალი პრობლემების წინაშე დადგა. ეს არის დროის გამოწვევა. კონკრეტული ძალა არ ჩანს, მაგრამ ცრუთავისუფლებაზე დაყრდნობით, მასმედიის საშუალებებით (სერიალებით, მდარე ტელეპროდუქციით) ხდება ზემოქმედება ჩვენი საზოგადოების, განსაკუთრებით კი მომავალი თაობის, ცნობიერებაზე, რათა მათში დაინერგოს არაეროვნული, არაქრისტიანული მსოფლმხედველობა, რაც შედეგად გამოიწვევს ჩვენი ეთნოფსიქიკის შეცვლას და ერთიანი ქართველი ერის დაშლასა და გადაგვარებას.

უნდა გავაცნობიეროთ, რომ შეტევა ხორციელდება თითოეული ადამიანის აზროვნებაზე, ამიტომაცაა ყოველი ჩვენგანის გული და გონება ამ ბრძოლის ასპარეზი. ესა თუ ის პიროვნება ან რჩება ქართველად, ან, თავისი შინაგანი სისუსტისა და მიმბაძველობის გამო, იცვლის ღირებულებათა სისტემას.

ეს ისეთივე მნიშვნელობის ომია, როგორც ჩვენს მამა-პაპათ გამოუვლიათ.

მოგმართავთ ყველას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, შეინარჩუნეთ ჩვენი თვითმყოფადობა, ჩვენი ტრადიციული ქრისტიანული ცხოვრების წესი. გახსოვდეთ, მთავარი ბრძოლა ბოროტთან მოგებულია. უფალი ბრძანებს: „ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევიეს სოფელსა“ (ინ.16,33) მაშ, იბრძოლეთ, ჩვენი გმირი წინაპრების მსგავსად, რათა საკუთარ თავში და თქვენს გარშემო დაიცვათ თქვენი წილი საქართველო. დღეს ეგ ომია თქვენი დიდგორი, თქვენი ბასიანი.

უნდა იცოდეთ, რომ ქართული იდეა ორ უმთავრეს სვეტს ეყრდნობა. ესაა სულიერი ღირებულებები (რაც გულისხმობს მართლმადიდებლურ სარწმუნოებას და მის წეს-ჩვეულებებს) და ეროვნულ-კულტურული ფასეულობები, რითაც ასე მდიდარია ჩვენი ქვეყანა.

ქართულმა იდეამ რომ ხორცი შეისხას და განვითარდეს, საჭიროა გაერთიანდეს სახელმწიფოს, საზოგადოებისა და ეკლესიის ძალისხმევა.

ახლა კი შევჩერდები იმ მიმართულებებზე, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს:

ტერიტორიული მთლიანობა მუდამ იყო ქვეყნის პრიორიტეტი. იგი დღესაც ჩვენი ხელისუფლებისა და ყოველი ჩვენგანის მთავარი საზრუნავია. თანამედროვე ეტაპზე ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო ურთიერთობები და მსოფლიო თანამეგობრობაში ღირსეული ადგილის დამკვიდრება. თუმცაღა, უპირველეს ამოცანად, მაინც საქართველოს ერთიანობისათვის ზრუნვა რჩება და არ არსებობს მისი სანაცვლო სხვა ღირებულება.

ქვეყნის განვითარების აუცილებელ პირობას ეკონომიკური სიძლიერე წარმოადგენს. ეს ის მთავარი საკითხია, რომელიც ჩვენმა სახელმწიფომ დროულად უნდა გადაჭრას. ჩვენ უნდა მოვძებნოთ ჩვენი ადგილი მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში.

არაერთხელ გვითქვამს, რომ საქართველოს გააჩნია მეტად ძვირფასი ბუნებრივი რესურსი მტკნარი წყლის სახით, რომლის მნიშვნელობაც და ღირებულებაც ახლო მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. ამიტომ, ვფიქრობთ, საყოველთაო პრივატიზაციის პროცესში, ეს ბუნებრივი რესურსი და მისი ექსპლუატაცია სახელმწიფო სექტორში აუცილებლად უნდა დარჩეს და გამოყენებულ იქნას ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის.

ცნობილია, რომ მთელ მსოფლიოში მოთხოვნილება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებზე მკვეთრად გაიზარდა და დიდი მოგების მიღების მიზნით მოდიფიცირებული და გენური ინჟინერიით მიღებული პროდუქტების წარმოებაზე ორიენტირებული ქვეყნების სოფლის მეურნეობა მაღალ სტანდარტებს ვეღარ აკმაყოფილებს. ჩვენ საერთაშორისო ბაზარს უნდა შევთავაზოთ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი. ეს დიდ მოგებას მოუტანს ხალხს და ააღორძინებს სოფელს.

ზოგიერთმა პატარა სახელმწიფომ თავი დაიმკვიდრა მოწინავე ტექნოლოგიების ათვისებით. მაგ. სამხრეთ კორეამ, ისრაელმა, ფინეთმა... ეკონომიკის ამ დარგში სერიოზული განაცხადისათვის ჩვენს ქვეყანასაც გააჩნია ინტელექტუალური რესურსი. ქართული ფუნდამენტური მეცნიერული სკოლები აღიარებული იყო როგორც ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ასე რომ, ჩვენი მეცნიერული პოტენციალი შეიძლება პრაქტიკულად იქნეს გამოყენებული, თუკი მას სათანადო პირობები შეექმნება.

საერთოდ, მეცნიერებასთან ერთად, განათლებას ქვეყნის განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან სწავლის პროცესში ხდება მომავალი თაობის ფორმირება პიროვნებად. ამიტომაც სკოლა და, ზოგადად, სასწავლებელი მარტო ცოდნას კი არ უნდა აძლევდეს მოზარდს, არამედ მან უნდა აღზარდოს იგი და ჩამოაყალიბოს თავისი ქვეყნის ღირსეულ მოქალაქედ. ამ საქმეში მეტად დიდია ოჯახისა და ეკლესიის როლი. სასწავლებელი, როგორც ხალხის მიერ დაქირავებული დაწესებულება, ვალდებულია, თავისი საქმიანობა წარმართოს საზოგადოების ინტერესების შესაბამისად და რადგანაც საზოგადოება ფაქტობრივად არის ოჯახთა ერთობლიობა და ეკლესია (რომლის წევრია ჩვენი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა), განათლების სისტემა უნდა შეესაბამებოდეს ეკლესიისა და ოჯახის ტრადიციულ ღირებულებებს (ვისაც სურვილი აქვს განსხვავებულ გარემოში აღზარდოს შვილები, შეუძლია ეს კერძო სასწავლებელში განახორციელოს). ეს არის სწორედ იმის გარანტი, რომ მომავალი თაობა ავაცილოთ თუნდაც ისეთ საშინელ სენს, როგორიც არის ნარკომანია და სხვა მანკიერი გამოვლინებები.

ნარკომანია ჩვენი დიდი ტკივილია, რომელიც ერის სულიერ და დემოგრაფიულ გენოციდს იწვევს. ჩვენ არაერთხელ შევხებივართ ამ თემას და ყოველთვის აღვნიშნავდით, რომ ამ მიმართულებით პირველი რიგის ამოცანაა პრევენციული ნაბიჯების გადადგმა. ჩვენ ყველამ ერთად უნდა შევქმნათ ნარკოტიკის მიმართ უარყოფითი განწყობა. უნდა დავანგრიოთ ცრუ სტერეოტიპი იმის შესახებ, თითქოს ნარკომანობა პრესტიჟულია.

ნარკომანობა სირცხვილია!

ნარკომანი არის ავადმყოფი, საცოდავი, ლაჩარი, სუსტი ადამიანი, რომელიც ეშმაკის ბადეშია მოხვედრილი და, წამალზე მიჯაჭვულობის გამო, ხშირად ბოროტმოქმედებასაც სჩადის; შემდეგ კი ციხეში ხვდება და კიდევ უფრო იმძიმებს თავის მდგომარეობას.

მინდა, ციხეში არსებულ მდგომარეობასაც ნაწილობრივ შევეხო.

დღეს იქ მძიმე პირობებია. ცივილიზებულ ქვეყნებში ციხე გამოსწორების ადგილს წარმოადგენს. იმედია, ჩვენი პენიტენციარული სისტემაც მალე ამ სტანდარტებს დაუახლოვდება. ამისთვის კი, პირველ რიგში, უნდა გაიმიჯნოს საშიში ბოროტმოქმედი ეკონომიკური და სხვა შედარებით მსუბუქი სახის დანაშაულის ჩამდენისაგან. კარგი იქნება, თუ ასეთი პატიმრებისათვის აღდგება სასჯელის მოხდა მიმგრების ადგილებში და ამისთვის საქართველოს მაღალმთიანი დაუსახლებელი რეგიონები გამოიყენება. ეს, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს პატიმართა გამოსწორებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნას და მეორე მხრივ, ამ ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკურ ათვისებასა და განვითარებას.

რაც შეეხება მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლევთ, ციხეში მათთვისაც უნდა არსებობდეს ისეთი გარემო, რომ გაუჩნდეთ განწყობა ცხოვრების წესის შეცვლისა.

ვფიქრობთ, პენიტენციარულ სისტემაში შრომის დანერგვა და სასულიერო პირის უფრო აქტიურად ჩართვა დიდ შედეგს მოიტანს, რისი გამოცდილებაც უცხოეთის ქვეყნებში კარგა ხანია აქვთ.

ცნობილია, რომ ციხის გავლენა მის გარეთაც ვრცელდება. ზოგიერთისთვის კრიმინალური მსოფლმხედველობა ერთგვარ დადებით მოვლენასაც კი წარმოადგენს, რაც შეცდომაა. ეს არის ღვთის მცნების უარმყოფელი დიდი ცოდვა. ეს არის დანაშაული მოყვასის წინაშე. წმინდა პავლე მოციქული გვასწავლის: „ნუთუ არ იცით, რომ უსამართლონი ვერ დაიმკვიდრებენ ღვთის სასუფეველს... ვერც მპარავნი, ვერც მტაცებელნი...“ (I კორ.6,9,10).

სამწუხაროდ, ქუჩა, უბანი, გარემო, ზოგჯერ მავნე ჩვევების განვითარებას უწყობს ხელს, რაც მათში ცრუ ღირებულებების დამკვიდრებით არის გამოწვეული. ახალგაზრდების ნაწილი მიმბაძველობით ან თავისი წრის ზემოქმედებით, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ იქცევა. თუმცა ბევრი მათგანი ეკლესიაში დადის (ხოლო ვინც არ დადის, რწმენის მიმართ პატივისცემა მაინც აქვს), მაგრამ ეს სათანადოდ ვერ აისახება მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე. სამეგობროებში არსებულ ასეთ მდგომარეობაზე, მისი თითოეული წევრი არის პასუხისმგებელი, განსაკუთრებით კი ისინი, რომელნიც ყველაზე დიდი გავლენით სარგებლობენ. ისინი კარგად უნდა დაუფიქრდნენ თავის ცხოვრებას, რომ, ნებსით თუ უნებლიეთ, ეშმაკის მსახურნი არ გახდნენ.

საზოგადოება ისეთია, როგორი ავტორიტეტებიც ჰყავს მას.

ფაქტია, რომ ღირსეული პიროვნებები ჩვენთან სათანადოდ არ არიან დაფასებულნი. მათ ნაცვლად წინ წამოწეულნი არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც მნიშვნელოვანი არაფერი აქვთ გაკეთებული (ყოველ შემთხვევაში დღეისათვის), ან ისინი, რომელნიც უგულებელყოფენ სულიერ ღირებულებებს. ახალგაზრდები უფრო იცნობენ ტელეშოუების გმირებს, ვიდრე თავისივე თაობის ნიჭიერ პოეტებს, მხატვრებს, კულტურის მოღვაწეთ, მეცნიერებს და, ზოგადად, ღირსეულ ადამიანებს. ეს ძირითადად მასმედიისგან მომდინარე ნაკლია და იგი უნდა გამოსწორდეს.

მიუხედავად ასეთი პრობლემებისა, პიროვნებასა და საზოგადოებას მაინც ბევრი რამის შეცვლა შეუძლიათ.

XX საუკუნის დასაწყისში, გასაბჭოების პერიოდში, როცა აქტიურად შეუტიეს ტრადიციულ ღირებულებებს, ახალგაზრდა მამულიშვილებმა, რომლებიც შემდეგ ცნობილი საზოგადო მოღვაწენი გახდნენ (პავლე ინგოროყვა, კონსტანტინე გამსახურდია, ვახტანგ კოტეტიშვილი, ალექსანდრე აბაშელი), ჩამოაყალიბეს „ჩოხოსანთა“ საზოგადოება. ეროვნული სამოსის ტარება იყო ერთგვარი პროტესტის ფორმაც და მათი მსოფლმხედველობის დემონსტრირების საშუალებაც. შემდგომ პერიოდში ამ მაგალითს, მართალია ერთეულებმა, მაგრამ მაინც სხვებმაც მიბაძეს. დღეს ეს მოძრაობა ახალ ეტაპზე გადავიდა და საზოგადოების ფართო ფენა მოიცვა. მისასალმებელია, როდესაც ცნობილი ადამიანები საერო და საეკლესიო დღესასწაულებზე ეროვნულ ტანსაცმელს იცვამენ (ეს კარგი ტრადიცია ევროპის ბევრ ქვეყანაში დიდი ხანია არსებობს), სულ უფრო იზრდება ახალგაზრდების რიცხვი, რომელნიც ჩოხით იმოსებიან და ჯვრისწერისასაც ამ სამოსს იცვამენ. დღეს ჩოხოსანთა საზოგადოებას გაცილებით მეტის გაკეთება ძალუძს, ვიდრე მათ წინამორბედთ.

რა თქმა უნდა, ჩვენ მარტო ეროვნული სამოსის ტარებით არ უნდა შემოვიფარგლოთ. როგორც აღვნიშნეთ, აუცილებელია ავაღორძინოთ ქართველი კაცის ჩვეული ცხოვრების წესი. საჭიროა, თუნდაც ჩვენი ყოფისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტის პირვანდელი სახით აღდგენა, როგორიცაა ქართული სუფრა. დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ იგი ისევე, როგორც სხვა ტრადიციები, გარკვეულწილად, შეილახა; სინამდვილეში კი მისი არსი მთლიანად ქრისტიანულია და გამორიცხავს როგორც თრობას, ისე დღეს არსებულ სხვა მანკიერ გამოვლინებებს. კარგად აღზრდილი ადამიანი არ დათვრება და ამით თავს არ დაიმცირებს.

ეკლესიური ცნობიერებიდან გამომდინარე, კარგია, რომ ჩვენს სუფრაზე თანდათან მკვიდრდება სადღეგრძელოთა შინაარსი და ტრადიციული თანამიმდევრობა, რაც იწყება უფლის სადიდებლით და მთავრდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხსენებით. ამასთან ყოველი სადღეგრძელო დალოცვაა, ლოცვის ერთგვარი სახეა. ქართული სუფრის ღრმა სულიერ ხასიათზე მიუთითებს ისიც, რომ ყოველთვის ხდება გარდაცვლილთა მოხსენიება.

ქრისტიანული სუფრა არის ადამიანთა ერთობისა და თანადგომის, ჭირისა და ლხინის გაზიარების ადგილი, სადაც უფალი მყოფობს. ამიტომაც პურობა იწყება და მთავრდება ლოცვით.

ქართული სუფრა არის ქრისტიანული სიყვარულისა და ურთიერთპატივისცემის გამოხატვის უნიკალური ინსტიტუტი.

ყოველ ერს, ისევე როგორც ცალკეულ პიროვნებას, ღვთისაგან სხვადასხვა მადლი და ნიჭი აქვს ბოძებული და მასზეა დამოკიდებული თუ როგორ გამოიყენებს მათ.

ქართველმა კაცმა სიყვარულის ნიჭი განავითარა. ახალ აღთქმაში ღმერთის ყველაზე მთავარ თვისებად სწორედ სიყვარულია დასახელებული. „ღმერთი სიყვარული არს“ (I იოანე.4.8).

აქვე ვკითხულობთ: სიყვარული ყოვლისმომცველია, არ ამპარტავნობს, არ ზვაობს, სულგრძელია და ტკბილი, არ მრისხანებს, ყოველივეს ითმენს, არავისი შურს, ჭეშმარიტებით ხარობს, იგი ადამიანის მთავარი მამოძრავებელი ძალაა, რომელიც უკვდავებასთან არის წილნაყარი. იმედი და რწმენა სიკვდილის შემდეგ განქარდება, ხოლო სიყვარული მარადიულად ჰგიეს.

პავლე მოციქული იმასაც ბრძანებს, რომ, თუ სიყვარული არა გვაქვს, ფუჭია ქველმოქმედებაც, სასწაულთმოქმედების უნარიც, მოსაგრეობაც, თვით მოწამეობრივი აღსასრულიც კი, რადგან უსიყვარულოდ ყველა სიკეთე უქმ-იქმნების.

გავიხსენოთ სახარება: იუდამ გასცა მაცხოვარი, პეტრემაც სამჯერ უარყო იგი. შემდეგ ერთმაც შეინანა და მეორემაც, მაგრამ იუდა წარწყმდა იმიტომ, რომ უსიყვარულო იყო ქრისტესთან გატარებული მისი ცხოვრება და აქედან გამომდინარე, უიმედო მისი სინანული; პეტრეს სინანული კი სწორედ მისი მხურვალე სიყვარულის გამო იქნა შეწყნარებული.

მიუხედავად სხვადასხვა სირთულისა და განსაცდელისა, სიყვარული ნეტარებასთან და სიხარულთან არის დაკავშირებული; და რაც უფრო დიდია სიყვარული, მით მეტია ნეტარებაც და სიხარულიც.

ყველაზე აღმატებულია ღმერთის სიყვარულიამ სიყვარულის დამტევნელნი არიან დიდი სულიერი მოღვაწენი, რომელნიც მძიმე მოსაგრეობის პარალელურად, ღვთაებრივ ნათელთან ლოცვითი თანაზიარებით ამქვეყნადვე აღწევენ უსაზღვრო ნეტარებას.

სამშობლოსა და ერის ჭეშმარიტად მოყვარული ადამიანებიც დიდ სიხარულს გრძნობენ, როდესაც თავის მიზანს, თუნდაც სიცოცხლის ფასად, ერთგულად ემსახურებიან.

შეიძლება ითქვას, რომ მოყვასის სიყვარული ერთგვარი პირველი საფეხურია. იოანე ღვთისმეტყველი ბრძანებს: „ვისაც არ უყვარს თავისი ძმა, რომელსაც ხედავს, როგორღა შეიყვარებს ღმერთს, რომელსაც ვერ ხედავს.“(I იოანე 4,20).

ღმერთი, სამშობლო, მოყვასი, - ეს არის ერთმანეთისაგან გამომდინარე იერარქია და უწყვეტი ჯაჭვი; თუ ღმერთის ადგილი სხვა რამემ, თუნდაც სამშობლომ, დაიკავა, ზემოთ აღნიშნული თანამიმდევრობა ირღვევა და პატრიოტიზმი უკვე ხელოვნურად გამოგონილ ღირებულებებს ეფუძნება, რომელთაც შეიძლება კარგი სახელიც ერქვას, მაგრამ შედეგად ვიღებთ ისეთ მანკიერ გამოვლინებებს, როგორიცაა ფაშიზმი, რასიზმი და შოვინიზმი, ანდა ტრადიციული ფასეულობების სრულ უარყოფას, - კოსმოპოლიტიზმს. ამ ორ უკიდურესობას გამორიცხავს ღვთის რწმენა, რომელიც ჭეშმარიტ პატრიოტიზმს განაპირობებს.

მოციქული გვასწავლის: „ვინც ამბობს, რომ უყვარს ღმერთი, მაგრამ სძულს თავისი ძმა, ცრუობს“ (I იოანე 4.20). ამდენად მხოლოდ ღმერთის სიყვარული ხიბლია და თავს იტყუებს ვისაც ეს ასე ჰგონია. ოდენ მოყვასის სიყვარული კერპთაყვანისმცემლობაში გადადის; საკუთარი თავისადმი გადამეტებული სიყვარული კი - ეგოიზმსა და ნარცისიზმს შობს.

ადამიანი სიყვარულის ღვთაებრივ ნიჭს მაშინ ეზიარება, როცა ამ გრძნობას თავისი „მე“-დან მოყვასისაკენ მიმართავს. გაცილებით დიდ სიმაღლეზე კი მაშინ ადის, როდესაც მოყვასს შეიყვარებს, როგორც საკუთარ თავს; „არავის აქვს იმაზე მეტი სიყვარული, ვინც სულს დასდებს თავისი მეგობრებისთვის“ (იოანე 15,13), - ბრძანებს უფალი.

მოყვასისათვის სიყვარული და თავდადება ქართველი კაცის ცხოვრების წესად იქცა და ბუნებრივია, მისი საახლობლო წრე მეტად ფართოა. იგი მოიცავს სისხლისმიერ და ნათელმირონობით ნათესაობას, მეჯვარეობას, მოყვრობას, მოგვარეობას, მეზობლობას, მეგობრობას და სხვა. ასეთი ურთიერთობა უნიკალურია როგორც ქრისტიანულ სამყაროში, ისე მთელ მსოფლიოში. ფაქტია, რომ ქართველ კაცს არა აქვს მოწინააღმდეგის სიძულვილი, რაც ბოლო პერიოდის მოვლენებმაც დაადასტურა. მაგალითად, ძმათამკვლელი ომი აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ჩვენს ხალხში დაპირისპირებული მხარის მიმართ გაბოროტებად არ გადაზრდილა და იგი დღესაც მზად არის კეთილმეზობლური ურთიერთობისათვის. ეს იმიტომ, რომ შენდობისა და პატიების, საკუთარი შეცდომის აღიარებისა და სხვისი მწუხარების თანაზიარების დიდი უნარი გვაქვს. ეს კარგად ჩანს „ვეფხისა და მოყმის“ ბალადაშიც.

ტოლერანტობა ჩვენი ბუნებიდან მომდინარეობს და მისი სწავლა არასოდეს დაგვჭირვებია.

დაიწყო ახალი 2007 წელი, რასაც ოფიციალური სახელმწიფო კალენდრით თითქმის მთელი მსოფლიო აღნიშნავს. თუმცა, შეიძლება ბევრი ვერც აცნობიერებს, რომ ეს წელთაღრიცხვა მაცხოვრის დაბადებას უკავშირდება.

დიახ, 2007 წლის წინ აღსრულდა ქრისტეშობის საიდუმლო, - „ისე შეიყვარა ღმერთმა ქვეყანა, რომ მისცა ძე თვისი მხოლოდშობილი“ (ინ. 3-16). დაუსაბამო იგი, დროში იშვა, ყოვლისმპყრობელმა და ყოვლისშემოქმედმა მონის სახე მიიღო, რათა მისი სიყვარულით აღვსილნი და ამაღლებულნი საღვთო წიაღს კვლავ ვზიარებოდით.

საერთოდ, ღვთის ყველა ქმედებას მხოლოდ სიყვარული განაპირობებს.

ადამისა და ევას სამოთხიდან გამოძევების მიზეზიც სიყვარულიდან მომდინარეობს. მათ ღმერთის ყოვლისმომცველ სიყვარულში შეეპარათ ეჭვი და რადგან შემოქმედის მცნება დაივიწყეს და ეშმაკს დაუჯერეს, ისინი თვითონვე მოაკლდნენ საღვთო სიყვარულს, რაც უფალთან მათ ერთობას განაპირობებდა. დაცემულ მდგომარეობაში მყოფნი კი უკვდავების ხის ნაყოფის შეჭმით მარადიულად რომ არ წარწყმდილიყვნენ, უფალმა განარიდა თავის სამყოფელს.

მაცხოვარმა განკაცებით დედამიწაზე ის სიყვარული მოიტანა, რომლის მსგავსიც მანამდე არ იცოდა კაცობრიობამ და რომელთანაც თანაზიარებით მოგვეცა სამოთხეში დაბრუნების შესაძლებლობა. „ახალ მცნებას გაძლევთ თქვენ, რათა გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ“ (ინ. 13-34) - ოღონდ აუცილებელია, რომ მოვიპოვოთ სიწმინდე და შევიმოსოთ ჭეშმარიტი სიყვარულით, რადგან ამ თვისებების გარეშე ღმერთს ვერ მივემსგავსებით და ჩვენივე ნებით საკუთარ თავს განვაშორებთ მის მაცხოვნებელ მადლს.

საუკუნეთა მანძილზე საქართველო გადაარჩინა მოყვასის, ღვთის და მამულისადმი თავდადებულმა ქრისტიანულმა სიყვარულმა. რისი მაგალითიც აურაცხელია ჩვენს ისტორიაში, როგორი იქნება ჩვენი ხვალინდელი დღე დამოკიდებულია იმაზე, თუ ჩვენ როგორ არჩევანს გავაკეთებთ, მივიღებთ ბოროტის მიერ შემოთავაზებულ მოჩვენებით სიყვარულისა და ცრუ ღირებულებებს, თუ ცოდვასა და სიკვდილზე გამარჯვებული ღმერთის მხარეზე დავდგებით. ჩვენი ადგილი, რომ კარგად გავაცნობიეროთ, უნდა გავარჩიოთ ჩვენი მისწრაფებანი და ქმედებანი შესაბამისობაშია თუ არა უფლის სწავლებასთან.

ღმერთო ძლიერო, სიტყვაო, უწინარეს ყოველთა საუკუნეთა მამისაგან შობილო და ქალწულისაგან მარიამისა ხორცშესხმულო, მოიხილე მადლით ერსა ზედა წილხვედრსა დედისა შენისასა და ისმინე მუხლმოდრეკითი თხოვნა ესე: გევედრებით, გვიხსენ ცოდვათაგან და ბოროტთა განზრახვათა ჩვენთაგან, გული განგვისპეტაკე, გონება განგვინათლე, სული განგვიწმიდე, შეცდომილნი მოგვაქციენ, სულიერნი და ხორციელნი სნეულებანი ჩუენნი განკურნენ და შეგვზღუდენ საღმრთოითა შჯულითა შენითა; მოიხილე ჩვენზედა, სახიერო, და სიყვარულითა შენითა უოხჭნოითა დაცემულნი კვალად აღგვადგინენ და ტაძრად სულისა წმიდისა გამოგუაჩინე, რათა ვიყოთ ჭეშმარიტი მსახურნი მოყვასისა, მამულისა და ღვთისა.

სახელისა შენისათვის, აღდეგ, უფალო, შეწევნად ჩუენდა და დააყენე კუერთხი უშჯულოთან; გარე-წარაქციე ყოველნი მტერნი და მაჭირვებელნი ჩუენნი, რომელთა განიგდეს წილი სამკვიდრებელსა შენსა ზედა. მოიხსენე ვედრება დედისა შენისა და ყოველთა წინაპართა ჩუენთა, რომელთა იღუაწეს სახელისა შენისათვის და დასთხიეს სისხლი თვისი; მათი ლოცვით აღადგინე მამული ჩუენი - საქართველო - პირველსავე დიდებასა და დაიცვევ საზღუარნი მისნი უცხოთესლთა ზედა მოსვლისაგან.

ჰე, უფალო, იხილე და მოხედე ვენახსა ამას და განამტკიცე ესე, რომელი დაასხა მარჯუენემან შენმან, რათა ჩუენცა ყოველნი, მკვიდრნი ღვთივკურთხეული ივერიისა და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებნი ქართველნი, შენს ზეციურ ნათელს და საღვთო სიყვარულს ზიარებულნი, ვგალობდეთ:

„დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქუეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“.

*თქვენთვის მლოცველი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი*

**ქრისტეს შობა**

**2007 წელი, თბილისი**

*რეჟისორმა ნიკოლოზ სანიშვილმა „აბეზარა“ 1957 წელს გადაიღო. როლებს ასრულებდნენ ქართული კინოს ვარსკვლავები: ლეილა აბაშიძე, მარინე თბილელი, სესილია თაყაიშვილი, აკაკი კვანტალიანი, ლია მანჯავიძე, სანდრო ჟორჟოლიანი. ახალგაზრდა არქიტექტორის გიორგი მუხაძის როლზე რეჟისორმა ოპერის თეატრის 28 წლის სოლისტი თენგიზ მუშკუდიანი მიიწვია. მას შემდეგ 50 წელი გავიდა...*

# ლეილა აბაშიძემ ქართულ კინოს მიმართულება მისცა

**თენგიზ მუშკუდიანი:** - 32 წელი ოპერის თეატრის სცენაზე ვიდექი, შესრულებული მაქვს ყველა ცნობილი საოპერო პარტია. გასტროლებით მოვლილი მაქვს საბჭოთა კავშირის მთელი რიგი ქალაქები - კამჩატკიდან მოყოლებული, ბალტიის ქვეყნებით დამთავრებული. 1985 წელს ოპერის თეატრიდან ჩემი სურვილით წამოვედი. ყველაფერს თავისი დროს აქვს. ასაკი მომემატა, ხმა აღარ შემორჩილებოდა, ვნერვიულობდი, მსმენელის მიმართ ყოველთვის დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობდი. თქვენ წარმოიდგინეთ, სცენაზე გამოსვლისაც კი მეშინოდა. ამიტომ გადაწყვეტილება მივიღე და წამოვედი. პედაგოგი ვარ, კონსერვატორიის პროფესორი, ამავე დროს, პირველი სამუსიკო სასწავლებლის დირექტორი გახლავართ.

**- „აბეზარაში“ ვინ მიგიწვიათ?**

- ფილმი გადაღებულია 1956-57 წლებში. ამ დროს 28 წლის გახლდით და ოპერის სოლისტი ვიყავი. რეჟისორ ნიკოლოზ სანიშვილს ოპერის სცენაზე შევუნიშნივარ (კონცერტებსა და წარმოდგენებზე ხშირად დადიოდა, ტიპაჟებს ეძებდა). მოვიდა, გამესაუბრა, როლი შემომთავაზა. სცენარი წავიკითხე და დავთანხმდი. კინოსცენარი ჩემს დირექტორსაც გავაცანი, მისი აზრი მაინტერესებდა. მითხრა, გადაიღე, მაგრამ თავს გაუფრთხილდი, არ გაცივდე, პრობლემები არ შეიქმნაო. გადაღებები, ძირითადად, ქუჩაში მიმდინარეობდა, ამიტომ შეიძლება გავციებულიყავი, რაც შემდეგ აუცილებლად აისახებოდა ხმის ტემბრზე... გადამიღეს სინჯები და დამამტკიცეს. ეს იყო ჩემი პირველი შეხება კინოსტუდიასთან. გავიცანი არაჩვეულებრივი მსახიობები, ვარსკვლავები - ლეილა აბაშიძე, სესილია თაყაიშვილი, მარინე თბილელი, ია მანჯავიძე, სანდრო ჟორჟოლიანი, აკაკი კვანტალიანი, გოგი გეგეჭკორი. თავიდან მორიდებით ვიყავი, მაგრამ ისე თბილად მიმიღეს, ისე ბუნებრივად მექცეოდნენ გადაღებების დროს, ავყევი და როლზე მუშაობა გამიადვილდა. გადაღებები ზაფხულში მიმდინარეობდა, სამი თვე ვიღებდით.

**- თქვენს პარტნიორზე, ლეილა აბაშიძეზე რას იტყვით?**

- ლეილას ბავშვობიდან იღებდნენ, უკვე ოსტატი იყო, ასეთი ნიჭიერი ქალი არსად მინახავს. მისი სითამამე, სილაღე ჩემზე გადმოდიოდა და უხერხულობას მიხსნიდა. ლეილამ ქართულ კინოს გარკვეული მიმართულება მისცა, ისტორია შექმნა, სამწუხაროდ, დღეს სათანადოდ არ არის დაფასებული. ლეილა თავისი საქმის ვირტუოზია. საერთოდ, ფილმში ულამაზესი ქალბატონები თამაშობენ - ლეილა, მარინე თბილელი, ლია მანჯავიძე, სესილია თაყაიშვილი...

**- რამდენად იყო ახლოს თქვენს ხასიათთან თქვენი გმირის თვისებები?**

- კარგი ადამიანია, სიყვარული შეუძლია, სამართლიანია. ჩემს თავს მეც ნორმალურ კაცად მივიჩნევ *(იცინის)*. რაც შეეხება პროფესიებს - ის არქიტექტორია, მე კი ოპერის მომღერალი ვარ, საერთო აქაც იყო, ორივე ხელოვნების მსახურია. ბავშვობაში კარგად ვხატავდი კიდეც, მაგრამ არა ისე, რომ პროფესიად ამერჩია. გარკვეულწილად მორცხვიც ვიყავი. თქვენ წარმოიდგინეთ, სიმღერის მერიდებოდა. როდესაც სკოლის მოსწავლეთა გუნდში შემიყვანეს, მაშინ აღმოაჩინეს ჩემში ეს ნიჭი.

**- გადაღებები სად მიმდინარეობდა?**

- თბილისში, ქალაქგარეთ არ გავსულვართ. ოთახები ტელესტუდიის პავილიონში იყო მოწყობილი, სახლები კი სანაპიროზეა გადაღებული. ფილმში ბევრი საინტერესო კადრია - დასაწყისი მეტად ეფექტურია. მომწონს ის ეპიზოდი - მანქანა ტალახში რომ ეფლობა, მე კი საბარგულის მხრიდან ვაწვები, თან წვიმა მოდის... ზოგიერთი კადრი არ მომწონს - რაღაც არაბუნებრივი ვარ - მაგალითად, ხელზე დაყრდნობილი „აბეზარაზე“ რომ ვფიქრობ. რას ვიზამთ, არაფრის შეცვლა აღარ შეიძლება. სხვათაშორის, ეს ფილმი რუსული სცენარის მიხედვით არის გადაღებული, მოსკოვში უნდა გადაეღოთ, შემდეგ სცენარი საქართველოში გამოაგზავნეს. სცენარის მიხედვით ჩემი გმირი სუსტი, უსუსური არქიტექტორი უნდა ყოფილიყო, მაგრამ არ გამოვიდა. ჩემი საცოლის თაყვანისმცემელი რომ არის - „სტილნი“ ბიჭი, ის უნდა ყოფილიყო ძლიერი, ვაჟკაცური. სამწუხაროდ, მისი გვარი არ მახსოვს.

**- ალბათ, შეგეძლოთ, ფილმში სიმღერაც შეგესრულებინათ...**





- არ შემოუთავაზებიათ, დამჩაგრეს *(იცინის)*, ალბათ, ფილმს ლირიკული სიმღერა მოუხდებოდა...

**- ფილმში გადაღების დროს დაოჯახებული ხართ?**

- დიახ, დაქორწინებული ვარ. მაგრამ შვილი არ მყავდა. მაშინ პირველ მეუღლესთან ერთად ვცხოვრობდი. მყავს სამი შვილი. გოგონას კონსერვატორია აქვს დამთავრებული, ვაჟები არქიტექტორები არიან.

**- როგორ აფასებდნენ შვილები თქვენს მიერ შესრულებულ როლს?**

- უი, მამიკო, არ გრცხვენია, მიამიტური ფილმიაო, - ამბობდნენ. მაინცდამაინც არ მოსწონდათ, ახლა აღარ მიკითხავს *(იცინის)*. ამ ფილმის გადაღებიდან თითქმის 48 წელი გავიდა, უმრავლესობა მსახიობებისა გარდაცვლილები არიან და ძალიან მწყდება გული. მაშინ ისინი ჩვენთვის უფროსი თაობის წარმომადგენლები იყვნენ, დღეს ჩვენ ვართ უფროსი თაობა, 78 წლის შევსრულდები 2 თვეში.

**- კოსტიუმები სპეციალურად თქვენთვის შეკერეს?**

- დიახ, სპეციალურად შემიკერეს ამ ფილმისთვის, მაგრამ ჰონორარი ავიღე თუ არა, ის კოსტიუმები გამოვისყიდე. კარგა ხანს მეცვა.

**- ფილმის ბოლო ეპიზოდში სითამამე მოიკრიბეთ და შეყვარებულ გოგონას აკოცეთ, რაც 50-იანი წლების მორიდებული ახალგაზრდისთვის, ალბათ, არც ისე ადვილი იყო...**

- რა თქმა უნდა, მერიდებოდა. კამერის წინ უხერხული იყო, გოგონასთვის მეკოცნა. არც ლეილასთვის იყო ადვილი. ჩვენ სულ სხვაგვარად ვიზრდებოდით, ახლა რაღას არ აჩვენებენ ეკრანზე.

**- პრემიერა სად გაიმართა?**

- კინოთეატრ „სპარტაკში“. წინასწარ არ ვიცოდით, ფილმი როდის გამოვიდოდა ეკრანებზე. ერთ მშვენიერ დღეს მე და ზურაბ ანჯაფარიძე ოპერის თეატრიდან გამოვედით. კინოთეატრ „სპარტაკთან“ (ახლანდელი თეატრალურ ინსტიტუტთან) უამრავი ადამიანი იყო შეგროვილია. ზურაბმა იკითხა, რა ამბავიაო, „აბეზარას“ პრემიერააო, - უპასუხებს გოგონებმა. ზურაბი გახალისდა, ჩემზე მიუთითა - აი, აბეზარა აქ არის და გაგაცნობთო. შემრცხვა, უცებ მოვბრუნდი და რუსთაველი გადავჭერი, კონსერვატორიაში შევედი, იქ დავიმალე. შემდეგ, რა თქმა უნდა, ყველა მცნობდა, თაყვანისმცემლებიც გამიჩნდნენ.

**- რატომ აღარ ისურვეთ კინოში გადაღება?**

- 1968 წელს ვახტანგ ტაბლიაშვილმა მიმიწვია „დიდოსტატის მარჯვენაში“, ჭიაბერის როლი შევასრულე. მეტი შემოთავაზება არ მქონია. მეც არ მქონდა სურვილი, ჩემი პროფესია მომწონდა და სცენას და სიმღერას თავს ვერ დავანებებდი.

**- ვისთან ერთად ცხოვრობთ, ბატონო თენგიზ?**

- სამი ბინა გამოვიცვალე, ვცხოვრობდი ვაკეში, სანაპიროსთან, ჩხეიძის ქუჩაზე, ახლა მამისეულ სახლს დავუბრუნდი - ვერის უბანში. შვილები სტუმრად მოდიან. მყავს არაჩვეულებრივი მოწაფეები. რას ვიზამთ, ასეთია ცხოვრება...

**- ამ ფილმიდან სამახსოვრო რა დაგრჩათ?**

- თუ არ ჩავთვლით ამ ფილმს, ერთი პატარა სურათი, რომელიც გადაღების დროს სრულიად მოულოდნელად გადამიღეს, მეტი არაფერი...









***

*გიგა ლორთქიფანიძის მიერ მარჯანიშვილის თეატრში დადგმული სპექტაკლი „შთამომავლობა“ დიდი ხნის განმავლობაში სრული ანშლაგით მიმდინარეობდა. სცენაზე კორიფეები იდგნენ: ვერიკო ანჯაფარიძე, იაკობ ტრიპოლსკი, მედეა ჯაფარიძე, მზია მახვილაძე, თამარ სხირტლაძე; და შედარებით ახალგაზრდა თაობა: ნოდარ მგალობლიშვილი, ჯემალ მონიავა, გივი ბერიკაშვილი, ნინო ხომასურიძე. მას შემდეგ ორ ათეულ წელზე მეტი გავიდა. ჩვენი სტუმარია მსახიობი ჯემალ მონიავა, რომელიც სიამოვნებით იხსენებს „შთამომავლობის“ რეპეტიციებსა და მასში მონაწილე ლეგენდარულ მსახიობებს.*



სცენები სპექტაკლიდან „შთამომავლობა“

# ვერიკოს საკუთარი ასაკი არ ახსოვდა!

- სპექტაკლებსა თუ ფილმებს ჩემი მონაწილეობით თითქმის არ ვუყურებ. საკუთარ თავს ყოველთვის კრიტიკულად ვაფასებ, განვიცდი, უკეთესად შემეძლო თამაში. თითქმის ყველა მსახიობს ასეთი განცდა აქვს თავისი ნამუშევრის ცქერისას. „შთამომავლობა“ ამას წინათაც აჩვენეს ტელევიზიით, მაგრამ არც ახლა მინახავს, სოფელში გახლდით „კავთობის“ დღესასწაულზე.

**- როდის დაიდგა „შთამომავლობა“ მარჯანიშვილის თეატრში?**

- 1982-83 წლებში. მაშინ გაცილებით ახალგაზრდა ვიყავი, თუმცა, ჭაღარა მქონდა. ახლა 66 წლის გახლავართ. ვერ ვიტანდი იმ კოსტიუმს, რომელიც სპექტაკლში მაცვია, თმებიც გაჩეჩილი მაქვს...

**- თქვენი გმირი, გარკვეულწილად, უარყოფითი პერსონაჟია, რა გაქვთ მასთან საერთო?**

- აქამდე თეატრში ყოველთვის დადებით გმირებს ვთამაშობდი. თითქოს დავიშტამპე. ჩემი გმირი „შთამომავლობაშიც“ ცისფერ ფერებში იყო წარმოდგენილი. რაღაც პროტესტი გამიჩნდა. ავტორს ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძეს პიესის რედაქტირება მოუხდა ამის გამო. ჩვენს თეატრში სპექტაკლი, გარკვეულწილად, განსხვავებული დაიდგა სხვა თეატრებთან შედარებით. ჩემი გმირი უარყოფითია, მაგრამ რადგან იმ გმირს თამაშობ, ცუდ საქციელსაც გამართლება უნდა მოუძებნო. გმირის ბედს ხომ განვიცდიდი, ჩემს პოზიციას ვიცავდი. რატომ სცემდნენ გურამსა და ლანჩავას უფრო დიდ პატივს, ვიდრე მე?! მახსოვს, მქონდა შინაგანი პროტესტი. განათლებულ კაცს, რომელიც დისერტაციას იცავს, რომელიც ოჯახს ქმნის, რატომ უნდა აფასებდნენ უარყოფითად, ხოლო ქურდსა და სამჯერ ნასამართლევს, ციხიდან ახალგამოსულს - დადებითად?!

**- თქვენ და ქალბატონი ვერიკო პირველად იდექით სცენაზე, როგორც პარტნიორები?**

- მანამდე ერთად ვითამაშეთ სპექტაკლში „ხსოვნა გულისა“. ასეთი უშუალო პარტნიორები ამ სპექტაკლში ვიყავით - ვერიკო ანჯაფარიძის მკერდში ჩახუტებული შვილიშვილის სახით. ეს ხომ სასწაული იყო ჩემთვის. გიგა ლორთქიფანიძემ ბებიის როლში დააკავა მედეა ჯაფარიძე და მზია მახვილაძე. სპექტაკლი თითქმის მზად იყო. ბატონმა გიგამ ვერიკო დაიბარა, რეპეტიციას დაასწრო, სპექტაკლი ანახა, - შენ უნდა ითამაშოო, - უთხრა. თავიდანაც ქალბატონი ვერიკო იყო ამ როლზე დანიშნული, მაგრამ რეპეტიციაზე არ იარა. ბოლოს მოვიდა, თავშალი შემოახვიეს, ყურსასმენი გაუკეთეს ტექსტის საკარნახოდ. სცენაზე გაიარ-გამოიარა, - მე ასე არ შემიძლიაო, - თავშალი მოიძრო, - ერთი კვირა დამაცადეთო. ერთი კვირის მერე მოვიდა. ოთხი რეპეტიციის შემდეგ პრემიერა გაიმართა. ქალბატონი ვერიკო უდიდესი პროფესიონალი იყო, სულით ახალგაზრდა. ძალიან ვუყვარდი, მასთან შეთამამებულიც კი ვიყავი... ერთ მორიგ სპექტაკლზე ხუმრობამ მომიარა. მთავრდება პირველი მოქმედება. ტელეფონის ზარი ისმის, ოჯახის წევრები საკუთარ ოთახებში შერბიან. მამა ამბობს (იაკობ ტრიპოლსკი), - მე სახლში არ ვარ, დედა (თამარ სხირტლაძე), - არც მე ვარ სახლში, ჩემი ძმა (ნოდარ მგალობლიშვილი) - მე არავინ მიკითხავს, მაგრამ არც მე ვარ, ჩემი დაც (ნინო ხომასურიძე) სადღაც იკარგება. რამდენიმე წამი უსიტყვო სცენა იყო. ძმა მიმითითებს, რომ ყურმილი ამეღო, მე ვუბიძგებ, - არა, შენ აიღე... ამ ეპიზოდის გათამაშების შემდეგ რატომღაც სურვილი გამიჩნდა, ყურმილი ამეღო. დავიწყე ხუმრობა: - ის სახლში არ არის, იმან თქვა, სახლში არა ვარო და ა.შ. ვერიკო ანთებული თვალებით მიყურებს და იმ ეპიზოდში, სადაც ის ამბობს, - მე ვინ ვარ? - მე სოფი ლორენი გახლავართ. - დავასწარი და ვთქვი: - მე ვინ ვარ? სოფი ლორენის შვილიშვილი ვარ! ჩაქრა შუქი, ფარდა დაიხურა. გავვარდი კულისებისკენ, სანამ კულისების მეორე მხარეს მივაღწიე, მთელი წრე დავარტყი. ვერიკო სცენიდან გამოდიოდა, მუხლებში ჩავუვარდი, - თქვენ შემოგევლეთ, ქალბატონო ვერიკო, ბოდიშს გიხდით, მაპატიეთ-მეთქი. მიპასუხა: - შენ გაგახარა ღმერთმა, ისე ცუდად ვიყავი, ტელეფონთან რომ მივსულიყავი, მოვკვდებოდიო. სხვათაშორის, სხვა მსახიობთანაც მსგავსი რამ გავითამაშე, მაგრამ იმან დირექციაში მიჩივლა. ვერიკო იმდენად დიდი ოსტატი იყო, იმპროვიზაციის საშუალება მომცა, გარკვეულწილად, მოვლენების ამყოლიც გახლდათ. უყვარდა ახალგაზრდობა. ვერიკო სცენაზე არ თამაშობდა. უზიარებდა მაყურებელს მთელ თავის ნიჭს, წლების განმავლობაში დაგროვილ გამოცდილებას, ამ როლში იყო საოცრად თბილი, თანამედროვე, უბრალო. თვალებში ეშმაკუნები უთამაშებდა. ის ფრაზა - სოფი ლორენი ვარო, ტექსტში არ იყო, თვითონ მოიფიქრა. „შთამომავლობა“ რამდენიმე წლის განმავლობაში სრული ანშლაგით იდგმებოდა. ამის შემდეგ ვერიკომ კიდევ განასახიერა როლები. მახსოვს, ერთ სპექტაკლში საცეკვაო ილეთიც ჰქონდა. ერთხელ ვკითხე: - ქალბატონო ვერიკო, მართალი მითხარით, რამდენი წლის ხართ-მეთქი. - უსინდისო ქალი ვიყო, თუ მახსოვდესო, - გაეცინა.

70 წლის იუბილესთან დაკავშირებით მთხოვეს, ვერიკოზე წერილი დამეწერა. სახლში ვესტუმრე, დაველაპარაკები, გავისაუბრებთ, უფრო საინტერესო წერილს დავწერ-მეთქი. უპირველესად, რაც თვალში მომხვდა, ეს იყო კედელზე გაკეთებული აბრა, სადაც დიდი რეჟისორის - მიხეილ ჭიაურელის სახელი ეწერა. უნებურად გავიფიქრე, ვინ არ ყოფილა ამ სახლის სტუმარი - ცნობილი მსახიობები, პოლიტიკოსები, საზოგადო მოღვაწენი... ეს სახლი დგას იმ ადგილას, სადაც მიშა ჭიაურელმა პირველად აკოცა ვერიკოს და აღუთქვა - ამ ადგილას სახლს აგიშენებო. თქვა და აღასრულა დანაპირები. ეს ნამდვილი ისტორიაა, ლეგენდა არ გეგონოთ. ჩემი წერილი სწორედ სტუმართმოყვარე, სიყვარულის სახელით აგებულ სახლს ეხებოდა. სესილია თაყაიშვილმა მითხრა: - რეიზა არ დამირეკე, ბევრ რამეს მოგიყვებოდი, რამდენი ღამე გამითენებია იმ სახლში და კარტი მითამაშიაო... ვერიკოს სახლში სტუმრობა ჩემი ბოლო შეხვედრა იყო მასთან. რომელ ოთახშიც გადიოდა, იქ მივყვებოდი, ვსაუბრობდით, წუთიც კი არ მინდოდა მის გარეშე გაჩერება. სპექტაკლის წინ ყოველთვის ურეკავდნენ, - ქალბატონი ვერიკო, შეგიძლიათ მოსვლა? რაც უნდა მაღალი წნევა ჰქონოდა, იტყოდა, - მოვდივარ! და მოდიოდა... სიცოცხლის ბოლო წუთამდე სცენაზე ყოფნა უნდოდა... ვგრძნობდი, რომ ეს იყო მისი უდიდესი სურვილი.



**ვერ ვიტანდი იმ კოსტიუმს, სპექტაკლში რომ მაცვია!**




ვერიკო ანჯაფარიძე და თამარ სხირტლაძე


იაკობ ტრიპოლსკი

**- იაკობ ტრიპოლსკის როგორ გაიხსენებთ?**

- არაჩვეულებრივი პიროვნება იყო. უცებ გარდაიცვალა. მკაცრი იერი ჰქონდა, მაგრამ იყო ძალიან მეგობრული, უბრალო.. საერთოდ, მინდა, გითხრათ, რომ ბატონმა გიგამ არაჩვეულებრივი გუნდი შეარჩია. ეს მისი უდიდესი ნიჭია - შეუმცდარი ხედვა აქვს, როლებს ზუსტად ანაწილებს. რაც უნდა ანტიპათია ჰქონდეს რომელიმე მსახიობის მიმართ, თვალში არ მოსდიოდეს, თუ მისი პიროვნება როლში დაინახა, აუცილებლად დააკავებს. ეს არის ბატონი გიგას ფასდაუდებელი თვისება. მარჯანიშვილის თეატრშიც ხომ „შთამომავლობის“ გარდა არაჩვეულებრივი სპექტაკლები დადგა. თამარ სხირტლაძესთან ერთად პირველად ვითამაშე. ნოდარ მგალობლიშვილი ჩემი უახლოესი მეგობარია, გივი ბერიკაშვილთანაც არაჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს. ნინო ხომასურიძე პირველად დგამდა სცენაზე ნაბიჯებს. დღეს იგი ცნობილი მსახიობია.

**- გივი ბერიკაშვილის გმირის მეგრულ კილოზე მაყურებელი ბევრს იცინოდა...**

- ბატონმა გივიმ ეს როლი საინტერესოდ განასახიერა. გვარიდან (ლანჩავა) ნათლად ჩანდა, რომ მეგრელი იყო, მაგრამ რატომ უნდა ჰქონოდა ზუგდიდური აქცენტი, არ ვიცი. ნასამართლევი იყო, სამჯერ იჯდა ციხეში... კაკლის ხეზე ნიგოზს რომ ამბობდა, ეს იმხელა ეფექტს იძლეოდა, მეგრული კილო საჭირო აღარ იყო (ტექსტში კაკალი ეწერა და არა - ნიგოზი). საოცარი იყო ბატონი გივისა და ქალბატონი ვერიკოს ნარდის თამაში (თამაში არ იყო, ვერიკოს არ სცოდნოდა), მაგრამ, რა თქმა უნდა, აქ მხოლოდ კამათლებს აგორებდნენ და თამაშის იმიტაციას ქმნიდნენ. ეს სცენა ერთ-ერთი საუკეთესოა სპექტაკლში.

**- ამდენი წლის შემდეგ თქვენი გმირის ტექსტი თუ გახსოვთ?**

- ამ წუთს არა, მაგრამ საკმარისია, სცენაზე იმ ადგილას დავდგე, რომ გონებაში სიტყვები თავისთავად ამოტივტივდება. გავიხსენებ არა მარტო მე. ყველა ის მსახიობი ისევ სცენაზე რომ დავდგეთ, გავითამაშოთ, მაყურებლის წინაშე ისევ მშვენიერ სპექტაკლს წარმოვადგენდით. სამწუხაროდ, ბევრი მათგანი გარდაცვლილია - ვერიკო, იაკობ ტრიპოლსკი, მედეა ჯაფარიძე, მზია მახვილაძე... ვეფერები ყველა მათგანს, ვინც დღეს ცოცხალია, ყველას, ვინც დიდი ბებიის გარშემო ტრიალებდა. ის ოჯახი მენატრება, ამ 20 წლის წინათ მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე მაყურებელს კარს ფართოდ რომ უღებდა...

**- დროის შეჩერება წარმოუდგენელია. გამიგონია, როცა იმ ქვეყნად მიდის ადამიანი, სულს ერთ წამში შეუძლია დედამიწის შემოვლა და მისთვის სანუკვარი ადგილების ხილვა. ჩემთვის ერთ-ერთი ძვირფასი ადგილი ამ მიწაზე სწორედ ის მიდამოებია, სადაც „ნატვრის ხის" გადაღებები მიმდინარეობდა, - გულწრფელად გვითხრა მსახიობმა და სპორტსმენმა სოსო ჯაჭვლიანმა და ყველა მათგანს, ვინც ფილმის გადაღებებში მიიღო მონაწილეობა, დიდ მოკითხვას უთვლის. მაშინ სოსო ჯაჭვლიანი, იგივე გედია „ნატვრის ხიდან", 17 წლის გახლდათ.**



„ნატვრის ხე". გედია და მარიტა (სოსო ჯაჭვლიანი და ლიკა ქავჯარაძე)

# რა უცნაური უნდა ვყოფილიყავი, ლიკა ქავჯარაძე რომ არ შემეყვარებოდა

- პირველი როლი კინოში რეზო გაბრიაძის მოკლემეტრაჟიან მხატვრულ ფილმში - „სიყვარულო, ძალსა შენსა" ვითამაშე. ფილმი სამი ნოველისაგან შედგებოდა - ერთს იღებდა რეზო გაბრიაძე, მეორეს - რეზო ჭარხალაშვილი, მესამეს - ბაადურ წულაძე. მახსოვს, ფილმის რამდენიმე ეპიზოდი უკვე გადაღებული გვქონდა. კინოსტუდიის ფოიეში ვიჯექი. კარი გაიღო, ვიღაც მამაკაცი შემოვიდა, მომესალმა (ხელი მაგრად ჩამომართვა და მიბიძგა, ფეხზე წამოვმდგარიყავი). - აქ მუშაობ? - მკითხა. - დიახ, გამნათებელი ვარ-მეთქი, - ვიხუმრე. დაიჯერა. - იცი, თენგიზ აბულაძე ვინ არის? „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" ხომ ნანახი გაქვს? - არ მომეშვა. - ახლა თენგიზი „ნატვრის ხეს" იღებს და შენნაირი ბიჭები სჭირდებაო... ეს გახლდათ არაჩვეულებრივი პიროვნება, რეჟისორი რეზო ჭარხალაშვილი. თენგიზ აბულაძის კაბინეტში შემიყვანა. - თენგიზ, ნახე, შენ რომ ეძებ, ისეთი ბიჭი მოგიყვანეო. ბატონმა თენგიზმა გვარი მკითხა. - ჯაჭვლიანი-მეთქი, - მოეწონა, მართლაც სვანურად ჟღერსო. - გაიღიმა. უცებ კარი გაიღო და ოთახში რეზო გაბრიაძე ამირან დარსაველიძესთან ერთად შემოვიდა. მეძებდნენ, გადაღებაზე რატომ იგვიანებო. - შე მაიმუნო, აკი გამნათებელი ვაროო, - გაეცინა რეზო ჭარხალაშვილს. თენგიზ აბულაძე გახალისდა, აი, თურმე საიდან მეცნობოდაო - გადაღებული კადრები უნახავს. ბატონმა თენგიზმა ჩემი და ლიკას დუეტი სწორედ ამ ფილმში ნახა. აქაც შეყვარებულ წყვილს ვთამაშობდით.

**- კინოსტუდიამდე რა გზა გაიარეთ?**

- რეჟისორმა რეზო გაბრიაძემ ფიზკულტურის ინსტიტუტში მნახა. პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი, სწავლა ორი თვის დაწყებული იყო. თქვენ წარმოიდგინეთ, რეზოს იქამდე ორი ათასი ახალგაზრდა ბიჭი მოუწვევია სინჯებზე. რა საოცარია ბედი, არჩევანი ჩემზე შეაჩერა. კოვბოის ფორმა ჩამაცვეს, „ვინჩესტერი" მომცეს (ჩემი გმირი ევროპიდან ჩამოსული ბიჭია, საქართველოში დანა-ჩანგალი აქვს ჩამოტანილი, მაღალ წრეში ცხოვრობს, კანტს კითხულობს, ქართველი გოგონა შეუყვარდება...). ამასწინათ დედაჩემმა გამახსენა: მეოთხე კლასის მოსწავლე ვიყავი, ალბათ, 10-11 წლის. ჩემს ოთახში ჩიტი შემოფრენილა. დედას უთქვამს, - არ მოკლა, სურვილი ჩაიფიქრე და შემდეგ ჩიტი ფანჯრიდან გააფრინეო. ჩავიფიქრე და ჩიტი გავუშვი. იმ დღეებში სამჯერ შემოფრინდა ჩიტი ჩემს ოთახში, ბოლოს ძაფი მოვაბი ფეხზე, დავნიშნე და ისე გავაფრინე... იცით, რა ჩავუთქვი? - კრისი რომ ცხოვრობდა, ისეთი ცხოვრებით მატარე-მეთქი (მაშინ „შესანიშნავი შვიდეული" ახალი გამოსული იყო, კრისი ყველა ბიჭს სამაგალითო გმირად ესახებოდა). ხომ ამისრულდა ჩანაფიქრი. პირველ ფილმში სწორედ ასეთი კოვბოის ფორმა მეცვა. საერთოდ, კინოში ჩემი მოხვედრა მართლაც ბედთან და შემთხვევასთან არის დაკავშირებული. კარგად ვჭიდაობდი, მაგრამ ფიზკულტურის ინსტიტუტში გარდა ფიზიკური მომზადებისა, სხვა საგნებიც უნდა ჩამებარებინა. ქიმიაში ჩავიჭერი. ინსტიტუტში მე და დედაჩემი საბუთების გამოსატანად მივედით. დედა რიგში ჩადგა, მე გზის იქით „ფალავანთა კლუბში" უნდა შევსულიყავი. უცებ ზურგს უკან მესმის: - სვან, სვან! - მსოფლიო ჩემპიონი გურამ საღარაძე მეძახდა. თან ახლდა ვახტანგ ბალავაძე. ბატონმა გურამმა შემაქო - კარგი მოჭიდავეა, ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტია... - რას ამბობთ, ბატონო გურამ, ქიმიაში ჩავიჭერი, საბუთები უნდა გამოვიტანო, სვანეთში მივდივარ-მეთქი... სწორედ მათი დახმარებით ჩამრიცხეს ინსტიტუტში. ერთმა წამმა გადაწყვიტა ყველაფერი.



**- თენგიზ აბულაძემ „ნატვრის ხე" რომელ წელს გადაიღო?**

- გადაღებები „კავკასიური რომანსის" დასრულებისთანავე დავიწყეთ, 1976 წელს. ბატონი თენგიზი უდიდესი რეჟისორი იყო, არაჩვეულებრივი პიროვნება, გენიოსი. წელიწადნახევარი ერთ ოჯახად ვიცხოვრეთ გადამღებმა ჯგუფმა. ეპიზოდის გადაღების შემდეგ ბატონი თენგიზი მეტყოდა, - სოსო, ძალიან კარგი იყო ყველაფერი, გენიოსი ხარ, მაგრამ ცოტა ხომ არ შევცვალოთ?! - რა თქმა უნდა, ბატონო თენგიზ, - ვეთანხმებოდი. ასე იყო ყოველი კადრის გადაღების შემდეგ... მე გენიოსს მეძახდა, სინამდვილეში, ყველაფერს თავად აკეთებდა - თვითონ იყო გენიოსი და დიდოსტატი. მას ჩემს მასწავლებლად მივიჩნევ.

**- სად არის გადაღებული ძირითადი ეპიზოდები?**

- კახეთში, ბოდბისხევში. სადაც ჩემი გმირი - გედია ცხოვრობს, ის სახლი ავლიპ ზურაბაშვილისა გახლავთ. წყაროც იმავე სოფელშია, ის დიდი ხეც... არავითარი ბუტაფორია. ამინდიც ხელს გვიწყობდა - წვიმა სწორედ იმ დროს დაუშვებდა, როდესაც სწორედ წვიმის ეპიზოდები უნდა გადაგვეღო, ტექნიკის გამოყენება არ დაგვჭირდა.

**- ალბათ, მრავალჯერ გიწევთ იმის გამეორება, რომ თქვენი პარტნიორი ლიკა ქავჯარაძე მართლა შეგიყვარდათ...**

- როგორ შეიძლება, ასეთი ლამაზი გოგო ორი წლის განმავლობაში შენთან ერთად იყოს და არ შეგიყვარდეს. მაგრამ „ნატვრის ხის" გადაღების დროს ლიკას საქმრო სანდრო თაქთაქიშვილი სიღნაღში ჩამოვიდა. სასტუმროს ფოიეში გამაცნეს... როგორ უნდა მოვქცეულიყავი? მოვიქეცი ისე, როგორც მეკადრებოდა - კაცურად, ვისთვისაც მორალი უპირველესია. მე და ლიკა დღემდე მეგობრები ვართ. გადაღებაზე სავარჯიშო გირები მქონდა წაღებული, თავისუფალ დროს ვვარჯიშობდი. როცა ლიკას ჰკითხეს იგივე - სოსო არ შეგიყვარდაო? - უპასუხა: - სოსო გირებით იყო დაკავებული, ჩემთვის არაფერი უთქვამსო. ამაზე მივუგე: - გირებით ვიქნებოდი დაკავებული შენი შემყურე, აბა, რა იქნებოდა, საქმრო გყავდა და სურვილები რაღაცაში ხომ უნდა ჩამეკლა-მეთქი (*იცინის*). დათო აბაშიძეს ზურგზე მოვიკიდებდი ხოლმე და მეოთხე სართულზე ამყავდა. ესეც ვარჯიში იყო (*იცინის*). ლიკა გაცილებით ლამაზი გახლდათ, ვიდრე ეკრანზე ჩანს, ასეთი ლამაზი არავინ მინახავს.

**- ციხე შემაღლებულ ადგილას, სადაც გედია და მარიტა ადიან, სად არის?**

- ეს არის ხორნაბუჯის ციხე. იქიდან ულამაზესი სანახაობა იშლებოდა.

**- გედიას ძმის - გიორგის როლს ვინ ასრულებს?**

- ია ხობუას ვაჟი - გიორგი ხობუა. სხვათაშორის, თავიდან ამ როლზე გეგა კობახიძე იყო შერჩეული, შემდეგ არჩევანი გიორგიზე შეაჩერეს. საოცარი ბედი ხვდა წილად გეგას. ის და ლიკა რეზო გაბრიაძემ გადაიღო ფილმში „დიუმა კავკასიაში" (ამ ფილმში მე უნდა მეთამაშა, მაგრამ იმ პერიოდში ჯარში ვიყავი, ამიტომ გეგა დააკავეს). ცნობილი მოვლენების გამო ეს ფილმიც თაროზე შემოდეს. დედის როლს ია ხობუა ასრულებს. მართლაც ჩვენი დედიკო იყო. მისი ქალიშვილი ხათუნა ხობუაც მსახიობია, ბაადურ წულაძესთან ერთ-ერთ ნოველაში ითამაშა.

**- მარიტას როლზე ლიკას გარდა სხვა გოგონებმა სინჯები გაიარეს?**

- ლიკა მარიტას როლზე უკვე არჩეული იყო, როცა მე მიმიწვიეს. მანამდე პირველი ფილმისთვის („სიყვარულო, ძალსა შენსა") 40-მდე გოგონა გასინჯეს. შემდეგ მკითხეს, რომელი გოგო მოგეწონაო. მე ლიკაზე მივუთითე, თავადაც ის ჰყავდათ დამტკიცებული.

ამასწინათ მე და ჩემი ბიჭები იტალიაში, რომში ჩატარებულ კინოფესტივალს ვუყურებდით. ტომ კრუზს „დონატელოს დავითი" გადასცეს. ბავშვები მეუბნებიან - მამი, შენი ფილმი ამ პრიზს როდის დაიმსახურებსო?!. აღტაცებულმა ვუპასუხე, - შვილო, „დონატელოს დავითი" აღებული აქვს „ნატვრის ხეს", ოღონდ - 30 წლის წინათ... დიახ, ირანში, თეირანში გამართულ კინოფესტივალზე „გრან პრიც" დაიმსახურა - „ოქროს რქა". „ნატვრის ხე" თბილისის ყველა კინოთეატრში თითქმის ერთდროულად გამოვიდა, ბილეთები არ იშოვებოდა...დღესაც, როცა ამ დიდებული ფილმის გადაღებების ადგილებზე მიწევს გავლა, იმ დროში ვბრუნდები. თურმე, ყველაზე დიადი ამქვეყნად მოგონება ყოფილა, რაც ადამიანის მეხსიერებაში სამუდამოდ რჩება.

***ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრიდან გათავისუფლებული ახალგაზრდა მსახიობისათვის - ზურაბ ქაფიანიძისათვის მიხას როლი მერაბ კოკოჩაშვილის ფილმში „მიხა" კინოში შემდგომი წარმატებისათვის საუკეთესო დებიუტი აღმოჩნდა. ბატონი ზურაბი დღემდე სიამაყით აღნიშნავს, რომ გზა მსახიობის ხელოვნებისაკენ თავიდანვე დიდმა აკაკი ხორავამ დაულოცა.***

- აკაკი ხორავა იყო ჩემი მასწავლებელი - კაცობრიობის ყველა დროის დიდი მსახიობი. ოთხი წელი თეატრალურ ინსტიტუტში მასწავლიდა, მისგან ყოველთვის პატივისცემას ვგრძნობდი, მამობილივით მექცეოდა. კარგად ვსწავლობდი, მაგრამ მსახიობის ოსტატობაში მოვიკოჭლებდი, რადგან ხასიათი მაქვს ასეთი - ზუსტად თუ ვერ გავიგე, ჩემგან რას მოითხოვენ, საქმეს ვერ ვაკეთებ. მხატვრულ კითხვაში ძლიერი ვიყავი - ვკითხულობდი შექსპირს, რუსთაველს, ვაჟა-ფშაველას, შილერს. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ჩემი კურსელების ნაწილი მარჯანიშვილის თეატრში გაანაწილეს, ნაწილი - რუსთაველის თეატრში. არცერთში არ მოვხვდი. გული დამწყდა, მაგრამ არაფერი მითქვამს. ხორავას არ გამოჰპარვია ჩემი უხასიათობა. მოწაფეები გაუშვა და კაბინეტში მარტო მე დამტოვა: - შენგან ცნობილი მსახიობი დადგება. ვიცი, აკაკი ვასაძე, ერთადერთი რეჟისორი, დახმარებას გაგიწევს და შენგან ნამდვილ მსახიობს ჩამოაყალიბებსო. აკაკი ვასაძე მაშინ ქუთაისის თეატრში მოღვაწეობდა. გავემგზავრე ქუთაისში. მე და ბატონმა აკაკიმ ერთმანეთს მალე გავუგეთ, ჩვენ შორის მამაშვილური ურთიერთობა ჩამოყალიბდა. წარმოდგენებს ერთად ვმართავდით. წარმოიდგინეთ, აფიშაზე ეწერა - მონაწილეობენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ოთხგზის სტალინური პრემიის ლაურეატი აკაკი ვასაძე და მსახიობი ზურაბ ქაფიანიძე. იცით, ეს ჩემთვის რამხელა პასუხისმგებლობა იყო?! წესიერად ვიქცეოდი, სოფელში გაზრდილ ბიჭს უფროს-უმცროსობა არ მეშლებოდა. აკაკი ამას აფასებდა. მითხრა: - ვიცი, ახალგაზრდა კაცს ფული ყოველთვის დაგჭირდება, ნებისმიერ დროს შეგიძლია, ჩემი ჯიბიდან ისარგებლო და რა რაოდენობის თანხაც დაგჭირდება, აიღეო. ქუთაისის თეატრში სეზონის ბოლოს უკვე ცნობილი ვიყავი - სცენაზე გამოსულს ხანგრძლივი ტაში დამიკრეს.

**- კინოში როლი ვინ შემოგთავაზათ?**

- რეჟისორმა რეზო გაბრიაძემ... 



კადრი ფილმიდან „მიხა". ზურაბ ქაფიანიძე და მანანა ბახტაძე

# სიყვარული დაანგრიეს

- მერაბ კოკოჩაშვილმა მიხეილ ჯავახიშვილის „მუსუსის" მიხედვით ფილმის გადაღება გადაწყვიტა. უამრავი სინჯი გადაიღო, მაგრამ მიხას როლის შემსრულებელი ვერავინ იპოვა. შემდეგ მე დამიძახეს. არჩევანი ჩემზე შეაჩერეს. უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი. რა მეთქვა აკაკი ვასაძისთვის, რომელმაც ჩემზე ააგო მთელი რეპერტუარი, როგორ ამეხსნა, კინოში როლზე მამტკიცებენ-მეთქი... როგორ მეღალატა მამობილისათვის?!. ჩემ საწინააღმდეგოდ თეატრში ინტრიგა დაიწყო - ის ხანგრძლივი ტაში, ზემოთ რომ მოგახსენეთ, თურმე, ისარივით მოხვედრიათ გულში მსახიობებს, ერთი ამბავი აუტეხიათ. აკაკი ვასაძემ დამიბარა: - ზურა, ხვალ განცხადება უნდა დაწერო და წახვიდე თეატრიდანო. გავგიჟდი სიხარულისგან. მსახიობებმა კი იფიქრეს, ბოლმის გამო ერთ ამბავს ატეხსო, მაგრამ ჩემს ძმაკაცს - ბონდო გურჩიანს ვუთხარი: - არიქა, ერთი ყუთი ღვინო ვიყიდოთ, ვიქეიფოთ-მეთქი. აკაკი ვასაძეს ცრემლი მოერია, ისე ეწყინა ჩემი გათავისუფლება. აკაკი თუ მე არ გამიშვებდა თეატრიდან, არც მას დატოვებდნენ დასში, ასე იყვნენ მოლაპარაკებული მსახიობები.

მერაბ კოკოჩაშვილმა კინოსტუდიაში მისულს მითხრა, - მიხას როლზე დამტკიცებული ხარო. კინო ჩემი ოცნება იყო ბავშვობიდანვე. ხომ წარმოგიდგენიათ, ოცნება ამიხდა, თან ასე უპატრონოდ დავრჩი... ფეფელოს როლზე გოგონებს სინჯავდნენ, მთელ საქართველოში ეძებდნენ. შემდეგ შეარჩიეს მანანა ბახტაძე. თორმეტ გოგოს შორის დააყენეს, მკითხეს - რომელი მოგწონსო. მანანაზე მივუთითე. თურმე, როლზე უკვე აყვანილი ჰყავდათ. მახსოვს, ბედნიერებისგან გაოგნებული ვიდექი კინოსტუდიის ეზოში. მომიახლოვდა შოთა მანაგაძე, მხარზე ხელი დამარტყა და მითხრა: - ქაფიანიძე, ამ ფილმის შემდეგ არავის დათანხმდე, ჩემთან უნდა ითამაშო ერთ-ერთი მთავარი როლიო. გული არ გამისკდეს სიხარულისგან-მეთქი, ვფიქრობდი.

**- მიხას როლს როგორ გაართვით თავი?**

- არავითარი სირთული. მანანა ძალიან შემიყვარდა, მაგრამ ლამაზებთან როგორ უნდა მოვქცეულიყავი, ვიცოდი. როცა გამაცნეს, თავი ისე მოვაჩვენე, ვითომც ვერ შევამჩნიე მისი მშვენიერება. არ ვაგრძნობინე, რომ მის მიმართ გულგრილი არ ვიყავი. მიყვარდა, მაგრამ არ ვტყდებოდი. თვითონაც განცდებში ჩავარდა. შუა გადაღებაზე თქვა - აღარ შემიძლია, ფილმიდან უნდა წავიდეო. მაშინ ცოლი არ მყავდა, ვფიქრობდი, არ დავაჩქარებ, მერე კი სახლში წავიყვან-მეთქი. მერაბმა დამიბარა - ნამდვილი სოფლელი ხარ, ამ გოგოს როგორ ექცევიო. ამ დროს, სწორად ვიქცეოდი. ისეთი ურთიერთობა გვქონდა, მივხვდი, რომ ნამდვილად წამომყვებოდა, მაგრამ არ ვტყდებოდი. ერთი სცენა გვქონდა - ღობესთან. სამი დღე ველაპარაკე, როგორ მიყვარდა, სიყვარულს ვეფიცებოდი... იმის შემდეგ ხმა აღარ გაუცია... ბოლოს ისე გამოვიდა, რომ სიყვარული დაანგრიეს და კინო გადაიღეს.

**- სად მიმდინარეობდა გადაღებები?**

- კასპის რაიონში, სოფელ წინარეხში, კავთისხევში, ნოსტეში. ფილმი ყველას მოეწონა. დოდო აბაშიძემ ფილმის გასინჯვის შემდეგ მკერდზე ხელი დამარტყა და მომილოცა. ძლიერი ვაჟკაცი იყო დოდო. კინოსტუდიაში შტატში მიმიღეს. თბილისშიც ჩამწერეს. მოგვიანებით, როცა კინოსტუდიის სამსახიობო განყოფილებაში შევედი, ჩემი სურათი დავინახე დიდი კორიფეების - აკაკი ხორავას, ვერიკო ანჯაფარიძის, სერგო ზაქარიაძის, სესილია თაყაიშვილის სურათებთან ერთად, სულ გადავირიე... რა თქმა უნდა, ხალხმა გამიცნო, ჩვენი მსახიობებიც დაინტერესდნენ ჩემი ვინაობით, მშობლები ვინ მყავდა, სად იყო ჩემი სოფელი. მამაჩემი მეურნეობის დირექტორი გახლდათ. დავურეკე - მამა, 100 კაცს მიიღებ-მეთქი?! ერთი ავტობუსი სტუმრები ჩავიყვანე. კარგად ვიქეიფეთ, ვიმღერეთ, შოთა მანაგაძემ მითხრა, ჩემ ფილმში „ხევსურულ ბალადაში" შენ უნდა იმღეროო. მოეწონათ ჩემი სოფელი, ზაფხულობით ხშირად მიდიოდნენ. თუ რომელიმე ცოლ-ქმარი ერთმანეთს დაემდურებოდა, იქ რიგდებოდნენ.

**- თეატრში აღარ მიგიწვიეს?**

- რუსთაველის თეატრში მასიურ სცენებში ვმონაწილეობდი. მახსოვს, მამა ჩამოვიდა სოფლიდან ჩემს სანახავად. რუსთაველის თეატრის წინ რომ ჩავიარეთ,ეროსი მანჯგალაძე შევნიშნეთ. დამიძახა: - გამარჯობა, რაჭველოო. მამამ მკითხა: - რა ნაცნობი ხმა აქვს, ვინ არისო?! როდესაც ვუთხარი, ეროსი მანჯგალაძეა-მეთქი, გაუხარდა, - იკადრებს ჩემთან პურის ჭამასო? ეროსიმ რამაზ ჩხიკვაძესთან და სხვა მსახიობებთან ერთად მამა დაპატიჟეს რესტორანში, კარგად იქეიფეს. მას შემდეგ, სანამ მამა ცოცხალი იყო, ეროსის და რამაზს ყოველთვის უგზავნიდა რაჭულ ლორს... ვერიკო ანჯაფარიძესთან ვახლობლობდი, სესილია თაყაიშვილი ჩემი „ძმაკაცი" იყო, ვასო გოძიაშვილთან პურს ვჭამდი... ერთხელ იპოლიტე ხვიჩიამ გამაჩერა და მითხრა: - კარგად გიმუშავია ქუთაისის თეატრში, იცოდე, რუსთაველის თეატრში აუცილებლად მოდი, დაგეხმარებიო. საოცარი კაცი გახლდათ. ახალგაზრდებს ფული რომ შემოგვაკლდებოდა, იპოლიტეს ვართმევდით . - თქვე ნადირებოო, - გვეტყოდა. მახსოვს, კინოსტუდიაში შემხვდა. - იპო, ჭირიმე შენი-მეთქი, - დავუძახე და ხელები გავშალე. დანით გამომეკიდა, კინოსტუდიას ორი წრე დავარტყით სირბილით, - რათა მკლავ-მეთქი. თურმე, წინა დღეს ქეიფის შემდეგ, დამშვიდობებისას, როცა ჩავიხუტე, ხელი მაგრად მომიჭერია.

**- პიპას როლზე რას იტყვით, „დიდოსტატის მარჯვენაში"?**

- ერთი კურიოზი მოხდა. როგორც იცით, პიპა ფარსმან სპარსს შანდლების მოპარვისთვის პანღურს ამოარტყამს. პიპა მე ვიყავი, ფარსმანი - ჩემი მამობილი აკაკი ვასაძე. გავჯიუტდი, პანღურს არ ამოვარტყამ აკაკის-მეთქი. ქართველი კაცისთვის როგორია ამის გაკეთება? მერე ისევ აკაკი მომიგზავნეს - კაცო, სირცხვილია, კინოა, მთელი გადამღები ჯგუფი გელოდება. რაღა უნდა მეთქვა?!. „დიდოსტატის" შემდეგ „ივანე კოტორაშვილზე" დამიძახეს. პარალელურად გადაღებები მქონდა იუგოსლავია-სსრკ-ის ფილმში „ქორწილი". მთავარ როლს ვასრულებდი. ჩერნოგორიელები საოცრად ჰგვანან ქართველებს, იმიტომაც მიმიწვიეს.

**- სად იღებდით „ივანე კოტორაშვილის ამბავს"?**

- ასპინძაში, სოფელ საროში. იქ არის ძველებური უბნები, ძველი სახლები.

**- ფილმში რამდენი წლის ხართ?**

- 27-28 წლის.

**- ნატო გაგნიძე თქვენზე გაცილებით პატარა იყო...**

- დიახ, ნატო პატარა იყო, ჩემი მეგობრების შვილი, მეტიჩარა ქალაქელი. მახსოვს, წყაროსთან ვისხედით, წყალში ბაყაყები ჩახტნენ, თითი გაიშვირა და იკითხა: - ეს ბაყაყი გველია?.. ოჰ, რა დრო იყო!.. „ივანე კოტორაშვილის ამბავი" წაიღეს საერთაშორისო ფესტივალზე. ძალიან მოეწონათ. გვილოცავდნენ, მაგრამ პრიზი არ მოგვცეს... მეგობრებმა შინაურულად გვითხრეს, იმდენად ეროვნულია, ჯილდოს არ მოგცემენო.

**- ივანე კოტორაშვილის ტყაპუჭი და კომბალი სოფლის რომელიმე გლეხს გამოართვით?**

- ტყაპუჭიც კინოსტუდიაში მომცეს და კომბალიც გამითალეს. თავიდან ის კომბალი ნედლი იყო, საკმაოდ მძიმე, ალბათ, 24 კილოგრამი.

**- ქიტესას როლს ვინ ასრულებს?**

- ვახო ცხადაძე, არაჩვეულებრივი ბიჭი, ქუჩაში იპოვა რეჟისორმა ნოდარ მანაგაძემ. ისეთი ნიჭიერი აღმოჩნდა, ჩვენი დიალოგი - ივანესა და ქიტესას შორის ურთიერთობის დეტალები იმან გაამდიდრა თავისი იუმორით. პურს ვერ შეჭამ იმის გვერდით, ისეთი იუმორი აქვს, სიცილით მოგკლავს. მახსოვს, გასახდელში ერთი ბოთლი თუთის არაყი ვიღაცამ დაგვიდო. დალევა არ შეიძლებოდა, მაგრამ სულმა წაგვძლია. ნოდარი კი გასახდელის კართან იდგა, დასალევად არსად წავლენო...

**- ბატონო ზურაბ, რომელია თქვენს შემოქმედებაში ბოლოდროინდელი ფილმი?**

- „უკანასკნელი არკადია". თემურ ფალავანდიშვილმა გადაიღო სულიკო ჟღენტის სცენარის მიხედვით. მე და კარლო საკანდელიძე ვთამაშობთ. ეს იყო, ალბათ, 1985 წელი. იმის შემდეგ ფილმი აღარ გადაღებულა, დაიწყო ნგრევა... კინოსტუდია „ქართული ფილმი" აღარ არსებობს და ის ულამაზესი კინო, რომელსაც მე სოფლიდან ჩამოვუსწრარი, მსოფლიოში სასწაულ წარმატებას რომ აღწევდა, დასამარებულია. ღმერთმა ქნას, ყველაფერი აღორძინდეს.

**ალბათ, გახსოვთ, ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში აკადემიკოსმა გურამ შარაძემ პოლონელი ფოტოგრაფის ოლბინსკის ეროტიკული პლაკატები რომ ჩამოფხრიწა. მაშინ სააკაშვილის ხელისუფლებამ გურამ შარაძეს ხელბორკილი დაადო და ხულიგნობის ბრალდებით 15 დღე აყურყუტა ნესტიან საკანში. ამ ამბიდან ორ წელიწადში მან კვლავ შეაბიჯა ილია ჭავჭავაძის დარბაზში და თან უძვირფასესი სტუმარი – აკაკი წერეთელი მიიყვანა. დიახ! სწორედაც რომ მიიყვანა, რადგან აკადემიკოსის ტიტანურ ნაშრომში, რომლის შექმნასაც ოცი წელი შეალია, ჩვენი სასიქადულო მგოსანი და ერისშვილი მთელი თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით არის უკვდავყოფილი. უნიკალური ფოტომასალითა და იშვიათი საარქივო დოკუმენტებით ილუსტრირებული წიგნი-მონოგრაფია, რომელიც ქართული პოლიგრაფიის შედევრად შეიძლება ჩაითვალოს, თითოეული ქართველის ოჯახში უნდა იდოს!..**

**გურამ შარაძე:** – ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე მინდა განვაცხადო, რომ ილიასა და აკაკის ცხოვრების, შემოქმედებისა და მოღვაწეობის კვლევას აგერ უკვე ოცდაათი წელი შევალიე!.. ლიტერატურის ინსტიტუტში მე დავიწყე ილიას ოცტომეულის აკადემიური გამოცემის მომზადება, რომლის პირველი ოთხი ტომი უშუალოდ ჩემი რედაქტორობით გამოვიდა. ამით იმის თქმა მსურს, რომ ილიას შემოქმედების შესწავლა მონოგრაფიის გამოცემით არ დამიწყია!.. მოგეხსენებათ, საქართველოს ჰყავდა უდიდესი მკვლევარი, პატრიოტი, ისტორიკოსი და ფილოლოგი პავლე ინგოროყვა, რომელმაც ფილიპე მახარაძის საქართველოში შეუძლებელი შეძლო და ილია ჭავჭავაძის თხზულებები აკადემიურად პირველად მან გამოსცა. ეს იყო ილიას ათტომეული, რომელსაც წლების განმავლობაში ხვეწდა ბრწყინვალე გუნდი მკვლევარ-მეცნიერებისა. მათი ყოველი შენიშვნა, შესწორება სიმფონიაა აზროვნებისა. 70-იან წლებში, როცა ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელად დავინიშნე, ჩემი მასწავლებლის, აკადემიკოს ალექსანდრე ბარამიძის უშუალო დავალებით ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის მომზადება დავიწყე. ასე იქცა პავლე ინგოროყვას მიერ მომზადებული ათტომეული, ოცტომეულად!.. პავლე ინგოროყვას შემდეგ იმდენი იყო დაგროვილი ილიას უცნობი თხზულებები, რომ ოც ტომშიც კი ძლივს ჩავატიეთ მისი შემოქმედება!.. ფასდაუდებელი შრომა გასწია ქალბატონმა თამარ მაჭავარიანმა... არ შეიძლება არ გავიხსენო მაშინდელი გამსახკომის თავმჯდომარე ბატონი რეზო ღლონტი, რომლის გარეშეც ჩემი ილიას ორტომეული კომუნისტების დროს არ გამოიცემოდა!.. თუმცა ხელის შემშლაც ბევრი იყო... მაგალითად, 1987 წელს ილიას 150 წლის იუბილეზე, რომლის აღსანიშნავადაც აფრიკის რომელიღაც ქვეყნიდანაც კი ჩამოვიდა სტუმარი და ამ გრანდიოზული იუბილესთვის მზადება 1982 წლიდან, ხუთი წლით ადრე დავიწყე, ჯუმბერ პატიაშვილმა წესიერი მოსაწვევიც კი არ გამომიგზავნა, რომ ფილარმონიაში საიუბილეო საღამოზე შევსულიყავი. სტუმრებს დაუმალეს ილიას ცხოვრებაზე დაწერილი ჩემი მონოგრაფიის პირველი ტომი, სამაგიეროდ, ჩამოარიგეს ქართული ხურჯინები, რომელშიც ბოთლებად და ბუკლეტებად შეფუთული ჩაელაგებინათ ჩვენი კულტურა. ერთ-ერთ შეხვედრაზე, ე.წ. „გოდიქსში“ მე მივედი და გამოვაცხადე, – აი, ამ წიგნს, ილია ჭავჭავაძეზე დაწერილს, თქვენ გიმალავენ მეთქი!.. ყველას საჩუქრად ჩამოვურიგე მონოგრაფია ილიას შესახებ!.. ამის შემდეგ ლიტერატურის ინსტიტუტში ერთმა კაცმა განყოფილების ხელმძღვანელობიდანაც მომხსნა და ჩემს მიერ მომზადებული ილიას ოცტომეულის რედაქტორობაც სხვას გადააბარა.

**– ბატონო გურამ, როგორ მოახერხეთ ასეთი უნიკალური მონოგრაფიის გამოცემა, თქვენი „აკაკი წერეთელი“ მართლაც სამაგალითოა!..**

– ისევე, როგორც ვერ დავასახელებ იმ კაცის გვარ-სახელს, ვინც ილიას ოცტომეულის გამოცემაში შემიშალა ხელი, ვერც იმ პიროვნების ვინაობას გავთქვამ, ვინც „აკაკი წერეთლის“ დაბეჭდვა დააფინანსა. სპონსორმა სიტყვა ჩამომართვა, რომ მის სახელს არ გავამჟღავნებდი!.. სახარება გვასწავლის, – არ არის დაფარული, რომელიც არ გაცხადდეს!.. ალბათ, გაიგებთ იმ მადლიანი კაცის ვინაობას. აკაკისადმი მიძღვნილი მონოგრაფიის ორ ტომს კიდევ დაემატება სამი ტომი. ამათგან, ერთ-ერთ ტომში მინდა მთელ საქართველოს ვუჩვენო იმ ფანტასტიკური იუბილეს დეტალები, რომელიც ხუთი წელი გრძელდებოდა. დიახ, აკაკის იუბილეს აღნიშვნა 1908 წელს დაიწყო და 1913 წელს დასრულდა, რასაც პრეცედენტი არ გააჩნია მსოფლიო ისტორიაში. აკაკის გრანდიოზული იუბილე გადაუხადა მთელმა მსოფლიომ, როგორც მისი თანდასწრებით, ასევე დაუსწრებლად!..

**– რომელმა ქვეყნებმა და ქალაქებმა აღნიშნეს აკაკის იუბილე?**

– აკაკის 1908 წლის 7 დეკემბერს თბილისში გადაუხადეს ბრწყინვალე იუბილე, 14 დეკემბერს ქუთაისში ჩავიდა აკაკი, ხოლო 21 დეკემბერს მას არნახული შეხვედრა გაუმართეს ბაქოში აზერბაიჯანელებმა. აკაკის იუბილე აღნიშნა პეტერბურგმა, მოსკოვმა, კიევმა, ხარკოვმა, ოდესამ, პარიზმა, ბრიუსელმა, რომმა, ჟენევამ, სტამბოლმა... მოსკოვსა და პეტერბურგში იუბილეზე აკაკი პირადად ჩავიდა, ის ჩავიდა აგრეთვე პარიზსა და სტამბოლში... მთელი რუსეთის წამყვანმა გაზეთებმა, ასევე ევროპულმა პრესამ ფართოდ გააშუქეს აკაკის იუბილე. აკაკის უწოდებდნენ „საქართველოს უგვირგვინო მეფეს“, „ქართველების პუშკინს“, „ქართველების საადის“.... პარიზის გაზეთები იმ დღეებში წერდნენ, – აკაკი წერეთელი არის ქართველების ჰიუგო და ჩვენ, ფრანგებმა ვერ გადავუხადეთ ჰიუგოს ისეთი გრანდიოზული იუბილე, როგორც ქართველებმა და საქართველომ დააფასეს აკაკიო!.. კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს ისეთი მასობრივი სახალხო ზეიმი, რაც 1912 წელს აკაკის მოგზაურობას მოჰყვა რაჭა-ლეჩხუმში. რაც ყველაზე უფრო საინტერესოა, ეს მოგზაურობა აღიბეჭდა კინოფირზე და ასე შეიქმნა ვასილ ამაშუკელის პირველი ქართული დოკუმენტური ფილმი. ბევრმა არ იცის და ჩემს მონოგრაფიაში ასევე საუბარი მექნება კოტე ქავთარაძეზე, პარიზში განათლებამიღებულ მხატვარზე, რომელიც თავისი ფოტოაპარატით იღებდა აკაკის მოგზაურობას. ქავთარაძემ უნიკალური ფოტოები დაგვიტოვა.

**– „ილია და აკაკი“ – ეს ცნება ერთ იპოსტასად დამკვიდრდა ქართველი კაცის ცნობიერებაში. შეიძლება ამ სახელების დაცალკევება?**

– ილიასა და აკაკის შედარებითი დახასიათება პირველებს გრიგოლ რობაქიძესა და კიტა აბაშიძეს ეკუთვნით. ჩემი წიგნის წინასიტყვაობაში მესამედ მოკრძალებულად მე ვცადე ამ ორი გენიოსის შედარება, სადაც ვწერ: „ვინ გაბედავს და ვინ იტყვის, რომელი ამ გენიოსთა შორის უფრო რჩეულია აპოლონის მიერ, უფრო სათნოა მისთვის?.. ილია მოჰკვდა როგორც წინასწარმეტყველი თვით ჩაქოლილი, ეკლის გვირგვინით მორთული... ილიას ეკლის გვირგვინი საბედისწერო საფეხური იყო აკაკის დაფნის გვირგვინისა... ერთ უღელში გაბმული ეს ღვთაებრივი წყვილი მარად განუშორებლად ეყვარებათ საქართველოში და მარად განუყრელად ემსახურება თავის ერისა და სამშობლო-ქვეყნის აყვავება-აღორძინებას...“

გერმანელმა ერმა სამშობლოში თავის უკვდავ შვილებს – შილლერსა და გოეთეს ძეგლი დაუდგა. ანალოგი გაკეთდა ქართულ სინამდვილეშიც, როცა პირველი სკოლის წინ, რუსთაველის პროსპექტზე, ქართველმა ერმა ილიასა და აკაკის ძეგლი დაუდგა.

**– მე დღემდე არ ვიცოდი და, თურმე, ილიასა და აკაკის ძეგლები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შეუქმნიათ მოქანდაკეებს და მერე გაუერთიანებიათ ისინი!..**

– დიახ, ილია და აკაკი ცალ-ცალკე გამოაქანდაკეს შოთა მიქატაძემ და ვალენტინ თოფურიძემ. მოქანდაკეებმა, ცხადია, თავიდანვე იცოდნენ, რომ ძეგლი ერთიანი უნდა ყოფილიყო და მუშაობის პროცესში ერთმანეთთან კონტაქტი ჰქონდათ!..

**– შეიძლება თუ არა ილიას გააზრება აკაკის გარეშე ან პირიქით?**

– რა თქმა უნდა, არა! ამას ილიაც გრძნობდა ყოველთვის... როცა ილიამ ჟურნალი „ივერია“ ყოველდღიურ გაზეთად გადააკეთა, მომავალ თანამშრომლებს სტამბურად დაბეჭდილი ტრაფარეტული მოსაწვევები დაუგზავნა; აკაკიზე როცა მიდგა ჯერი, ილიამ სტერეოტიპული ტექსტი გვერდზე გადადო და თავისი ხელით დაწერილი ბარათი გაუგზავნა, – შენ ერთადერთი აკაკი ხარ ამქვეყნად და მე შენ ბეჭდური ტექსტის გამოგზავნას ვერ გაკადრებდიო!.. 1882 წელს, როცა აკაკიმ ქართლ-კახეთში იმოგზაურა, ილია წერდა, – სადაც კი მივიდა აკაკი, ყველგან თავისი ღვთაებრივი მუქი შეიტანა და მთელი საქართველო თავისი სტუმრობით მოხიბლაო!.. რაც შეეხება აკაკის, საქვეყნოდ ცნობილია მისი ლექსი, რომელიც 1907 წლის 7 სექტემბერს დაწერა – „ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას“... 9 სექტემბერს ილია მთაწმინდაზე დაკრძალეს. აკაკიმ ვერ შეძლო მთაწმინდაზე ასვლა და ვერც სიონში მისვლა... წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შენობის აივანზე ახალგაზრდები აკაკის მხრებში შეუდგნენ და ასე გამოიყვანეს სიტყვის სათქმელად. ეს შენობა იდგა დღევანდელი უნივერმაღ „თბილისის“ ადგილას. სწორედ იქიდან მიმართა აკაკიმ ილიას თავისი უკვდავი სიტყვით და მე არ მეგულება მეორე ასეთი სიტყვა, რომელიც თანამებრძოლს ეთქვას თანამებრძოლისთვის.

**– გრძნობდნენ თუ არა ილია და აკაკი თავიანთ სიდიადეს?**

– ჩაფიქრებული მაქვს ცალკე წიგნებად გამოვცე „ილია ცხოვრებაში“, „აკაკი ცხოვრებაში“... კომუნისტურმა იდეოლოგიამ ადამიანების ნაწილი გააფეტიშა, ნაწილი კი მიწაში ჩადო... ჩვენ დაგვეკარგა ადამიანი ილია ჭავჭავაძე, ადამიანი აკაკი წერეთელი... ჩვენში გასაყიდად გამოტანილ წიგნებს მტვერი ადევს, რადგან ამ წიგნებში ხშირად გაყალბებულ ბიოგრაფიებს, გაყალბებულ ისტორიებს წაიკითხავთ. ყოველთვის ვცდილობდი, რომ საზოგადოებისთვის მომეთხრო სიმართლე და ღვთის შეწევნით, განებივრებული ვარ მკითხველის სიყვარულით.

**– როგორი ადამიანები იყვნენ ილია და აკაკი ჩვეულებრივ ცხოვრებაში?**

– მე გავიხსენებ რამდენიმე ფაქტს, რომელიც, ვფიქრობ, მკითხველს დააინტერესებს. ილიას ტრაგედია იყო, რომ იგი უმემკვიდრეოდ გადაეგო, მაგრამ კიდევ უფრო მძიმდება ეს ტრაგედია, თუ გავიხსენებთ ილიას უსაყვარლესი დის – ელისაბედისა და ილიას მეუღლის – ოლღა გურამიშვილის ურთიერთობას. ელისაბედი ორჯერ გათხოვდა, მაგრამ უშვილო იყო. ვერ გავიგე, რას ერჩოდა თავის რძალს – უსათნოეს ოლღა გურამიშვილს, რომ სულ ჩხუბი და უსიამოვნება ჰქონდა მასთან, – შენ ჩემი ძმა – ილია გადააჯიშე და უშვილოდ დატოვეო!.. ილია აღმერთებდა თავის დას, ძალიან უყვარდა... ელისაბედი გენერალ საგინაშვილზე იყო გათხოვილი. ეს საგინაშვილი უმდიდრესი კაცი იყო... როცა გენერალი საგინაშვილი გარდაიცვალა, ელისაბედმა ილიას სთხოვა, რომ მეუღლითურთ მასთან გადასულიყო საცხოვრებლად. დიახ, ილიას თბილისში ბინა არ ჰქონდა!.. ფილიპე მახარაძემ რომ მოუგონა ილიას, – უმდიდრესი კაცია და გლეხებს წურბელასავით აზის კისერზეო, წარმოგიდგენიათ, ილიას ბინა არ ჰქონდა თბილისში, ისევე როგორც აკაკი წერეთელს. ილია სულ ნაქირავებ ბინებში ცხოვრობდა და დღეს მისი სახლ-მუზეუმი ივანე ჯავახიშვილის ქუჩაზე სინამდვილეში მისი დის – ელისაბედის სახლი იყო და არა ილიასი. ამ სახლის პირველ სართულზე პაპაჩემს – მაქსიმე შარაძეს სტამბა ჰქონდა, სადაც „ივერიას“ ბეჭდავდა, მეორე სართული „ივერიის“ რედაქციას დაუთმო ელისაბედმა, ხოლო მესამე სართულზე ილია, ოლღა და ელისაბედი ერთად ცხოვრობდნენ. ილია ძალიან მძიმედ განიცდიდა უძვირფასესი დის დაპირისპირებას თავის უსაყვარლეს მეუღლესთან, ძალიან ნერვიულობდა. ელისაბედი ჩრდილოეთ კავკასიაში დადიოდა ზაფხულობით მინერალურ წყლებზე სამკურნალოდ. ილიამ ისარგებლა დის თბილისში არყოფნით, მოჰკიდა ხელი თავის მეუღლეს, მიატოვა დის სასახლე და ქირით გადავიდა სადღაც ქოხში, დღევანდელ ჩუბინაშვილის ქუჩაზე, სადაც ახლა ილიას მეორე სახლ-მუზეუმია. ეს სახლი ეკუთვნოდა გიორგი ჩუბინაშვილის მომავალ სიმამრს – ღვინიაშვილს, აქ იყო მოსამსახურეთა ქოხმახები. ილიამ ეს სახლი მოგვიანებით გააკეთილშობილა და უნივერსიტეტის ამშენებლის – სიმონ კლდიაშვილის პროექტით წინა ორი ოთახი მიაშენა. ჩამოვიდა ელისაბედ ჭავჭავაძე თბილისში, სათაყვანებელი ძმა ქოხში გადასული დახვდა, ხოლო სასახლე დაცარიელებული. რა არ იღონა ელისაბედმა ძმისა და რძლის სასახლეში დასაბრუნებლად, მაგრამ ვერაფერს გახდა, – ილიამ თქვა, გადაწყვიტა და მორჩა! აი, ასეთი პრინციპული იყო ის. ცნობილი მსახიობი – ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ილიას მეგობრის – ნიკო ხიზანიშვილის მეუღლე იხსენებს: ილიას სიგიჟემდე უყვარდა ბავშვები, თავისი შვილი რომ არ ჰყავდა, მეგობრების შვილებს აღმერთებდა, მაგრამ სხვათა დასანახად ბავშვებთან აცეტება არ უყვარდა. ჩვენ ყველამ ვიცოდით ილიას ამბავი და ლხინის შემდეგ ყველანი ნელნელა გავიკრიფებოდით ოთახიდან და ილიას დავტოვებდით ბავშვებთან და შემდეგ კარების ჭუჭრუტანებიდან ჩუმად ვუცქეროდით როგორ ტკბებოდა, ხალისობდა ამოდენა ბუმბერაზი ბავშვებთან თამაშით, ბავშვებით იყო დახუნძლული ილია, – ზოგი მხარზე ეჯდა, ზოგი კისერზე, ჩვენ ნელ-ნელა შემოვიდოდით და როგორც კი ილია ჩვენს გამოჩენას შეიტყობდა, მაშინვე შეიცვლებოდა და ისევ ისეთივე მიუწვდომელ მყინვარად იქცეოდაო!..

**– მართლა მოიგო ილიამ კაზინოში მილიონი?**

– ჰო, ეს ცნობილი ამბავია!.. მილიონი არა, მაგრამ იმ დროისათვის ძალიან დიდი თანხა მოიგო.სასტუმრო „ლონდონში“, მშრალ ხიდთან მოხდა ეს ამბავი. თავიდან მან კაზინოში მთელი თანხა წააგო, გამოვიდა, ეტლი გააჩერა და შინ წასვლა უბრძანა მეეტლეს. სულ ორას მეტრში ცხოვრობდა ამ კაზინოდან ილია და ეტლიდან რომ გადმოვიდა, ოქროს თუმნიანი მისცა მეეტლეს. ეს იყო მისი უკანასკნელი ფული, რაც გადარჩენოდა... მეეტლეს გაუხარდა, იფიქრა, ალბათ, დიდი თანხა მოიგო და ასე გულუხვად იმიტომ დამასაჩუქრაო, არადა, ილიას ჯიბე ბოლომდე დაცარიელებული ჰქონდა. ამის შემდეგ ისევ ითამაშა სასტუმრო „ლონდონში“ და დიდძალი თანხა მოიგო. ამ ფულით ააგო მან საგურამოში ახალი სასახლე. 1893 წლამდე რონინიშვილის მიერ გადაღებულ ფოტოებში საგურამოში გამართული ყოველი „ილიაობა“ პატარა სახლის ფონზეა აღბეჭდილი. მე სულ მიკვირდა ეს ამბავი და როცა ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ილიამ კაზინოში მოიგო დიდძალი ფული, მაშინ მივხვდი ყველაფერს.

**– საინტერესო თემაა – ილია და ქალები!..**

– ეს ძალიან ფაქიზი თემაა. საერთოდ, ილია ძალიან თავშეკავებული იყო ქალებთან ურთიერთობაში, თუმცა არის ერთგვარი მინიშნება იმისა, რომ ილიას ცხოვრებაში ერთადერთი მეგობარი ქალი ჰყავდა...

**– ვინ იყო ეს ქალი?**

– ვერ ვიტყვი, ის ცნობილი ქალბატონია!.. ეს კარგად იგრძნობა ილიას მიერ ოლღა გურამიშვილისათვის გაგზავნილ წერილებში, სადაც სტრიქონებს შორის იკითხება ის ეჭვიანობა, რასაც ქალბატონი ოლღა მეუღლის მიმართ განიცდიდა. ეს ხდებოდა XIX საუკუნის 80-იან წლებში. როგორც ვთქვი, ილია ქალების საკითხში ძალიან თავშეკავებული პიროვნება გახლდათ, რასაც აკაკის მისამართით ვერ ვიტყვით *(იცინის)*.

**– ჰო, აკაკის ძალიან უყვარდა ქალები!..**

– დიახ, ეს მთელი საქართველოსთვის ცნობილია!.. სხვათაშორის, ეს იმისი ბრალიც იყო, რომ აკაკის ოჯახი არ ჰყავდა. აკაკის რომ ისეთი მეუღლე ჰყოლოდა, როგორიც ილიას, ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა მისი პირადი ცხოვრება. აკაკის სადაც დაუღამდებოდა, იქ უთენდებოდა, თბილისში მას არათუ სახლი, ერთი ოთახიც კი არ ჰქონდა საკუთარი. სხვიტორის მამისეული სასახლის გარდა მას სხვა არაფერი ებადა და ის სასახლეც რამდენჯერ ჰქონდა ბანკში გირაოდ ჩადებული, არავინ იცის!.. მისი მეუღლე ნატალია ბაზილევსკაია, მოსკოველი მილიონერის ქალიშვილი, რომელიც გაკოტრდა, პარიზში, მოსკოვსა და პეტერბურგში ცხოვრობდა შვილთან – ალექსისთან ერთად. ის არ ჩამოდიოდა, არ კადრულობდა საქართველოში ცხოვრებას და აკაკი ცოლშვილისგან მიტოვებული იყო... ეს იყო აკაკის პირადი ტრაგედია და მისი ცხოვრების წესი სწორედ ამ ტრაგედიამ განსაზღვრა. აკაკის უამრავი ქალი ეტრფოდა, ის გახლდათ ულამაზესი კაცი... პარიზელმა ჟურნალისტმა ქალმა, როცა აკაკის ინტერვიუ ჩამოართვა, გაოცებისგან წამოიძახა, – ოჰ, ღმერთო ჩემო, როგორი ლამაზი მამაკაცია! აკაკი 68 წლის იყო ამ დროს და ხომ წარმოგიდგენიათ, ახალგაზრდობაში რა იქნებოდა... მერე აკაკი ამაზე ხუმრობით წერდა კიდეც, – ეჰ, რა დროს ჩამოვედი პარიზში, მოხუცი, დაჩაჩანაკებული, სად ვიყავი ახალგაზრდობაშიო!..

**– ბატონო გურამ, სიმბოლურია, რომ თქვენ ამ დარბაზში ორი წლის წინ ეროტიკული პლაკატების ჩამოხევის გამო დაგაპატიმრეს, დღეს კი აქ აკაკი წერეთელი შემოიმძღვარეთ...**

– დიდი მადლობა ამ შეკითხვისთვის და იმ ამბების გახსენებისთვის. ამ შესანიშნავ დარბაზში დღეს აკაკი წერეთელი მოვიყვანეთ, აქ აკაკის ღვთაებრივმა სახემ შემოანათა!

ასე რომ, არ ვნანობ იმ დღეზე, იმ საქციელზე, როცა პლაკატები ჩამოვხიე. პირიქით, ვამაყობ.

**– როცა ამ ხელისუფლების პირობებში ხდება ბევრი ღირებულებისა და იდეის, მათ შორის, ქართველ კლასიკოსთა იდეების პროფანაცია, თქვენ, არა როგორც ავტორი, არამედ როგორც რიგითი მკითხველი, რა მნიშვნელობას მიანიჭებდით ამ წიგნებს?**

– ამ წიგნების დაწერა რომ შევძელი, ამას უფლის მადლსა და წყალობას მივაწერ. მან შთამაგონა და მან შთამბერა ეს ენერგია. მე, ერთი რიგითი ქართველი თუ გადავრჩები, თუ საქართველო გადარჩება, ეს ამ წიგნების გმირების დამსახურება იქნება. ილია, აკაკი, ვაჟა, იაკობი – ამ ოთხ დედაბოძზე იდგა, დგას და იდგება საქართველო!!!

*ესაუბრა*
**დიტო ჩუბინიძე**




*გურამ შარაძე 2004 წლის 25 ნოემბერს დაახლოებით დღის 12 საათზე დააკავეს მთაწმინდა-კრწანისის შინაგან საქმეთა სამმართველოს წარმომადგენლებმა. 6-საათიანი დაკითხვისა და ლოდინის შემდეგ იგი მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში გადაიყვანეს, სადაც მოსამართლე ზაურ მებონიას თავმჯდომარეობით სამ საათზე მეტხანს გაგრძელდა სხდომა...*

*ვიდრე პროფესორ შარაძეს ბორკილებს დაადებდნენ, სახელდახელოდ გაიმართა სასამართლო პროცესი, სადაც „წვრილმანი ხულიგნობისათვის“ 2 400 დოლარის გადახდა დააკისრეს და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.*



**კულტურის მინისტრი თითს გურამ შარაძისაკენ იშვერს და არა იმ შემზარავი პლაკატისაკენ, რომელშიც ქალის საშო და მამაკაცის თვალი ერთმანეთშია აღრეული**






**გურამ შარაძემ იმ დარბაზში, სადაც ეროტიკული პლაკატები ჩამოხსა, აკაკი წერეთელი მიიყვანა**





საშინელმა სიზმრებმა გატანჯეს ჯლუნაი და შემკრთალს გამოეღვიძა.

კარგა ხანს ღამის ზმანებები ედგა თვალებში. საწოლზე იჯდა თავჩაღუნული. მერე ფეხებზე ტალახიანი ჩექმები ჩაიცვა და ბერის სახლისაკენ მიმავალ ორღობეს გაჰყვა დაფიქრებული.

მზე კარგა აქეთ ამოსცილებოდა აღმოსავალს.

ბერის სახლის წინ სოფლის დედაკაცები ისხდნენ და ჩუმად რაღაცას ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს. იმათ შორის იჯდა ბერის ცოლიც. იდაყვზე სახეჩამოყრდნობილი დროდადრო სახლის ფანჯარას შეხედავდა და ამოიოხრებდა.

სიჩუმეს მარტო ღობის მარგილზე შემომჯდარი ყვავი არღვევდა. საავოდ ყრანტალებდა ყვავი.

- ყვა შენ და შენი ხმის გაცივება! - ქოქოლას აყრიდნენ ყვავს დედაკაცები.

ჯლუნამ ღობიდან მარგილი მოტეხა და ყვავს ესროლა. ყვავი გაფრინდა და ახლა ბანის წვერზე შემომჯდარი მოჰყვა ყრანტალს. ჯლუნაი კედელ-კედელ წამოეპარა და დიდი სიპი ესროლა. ყვავმა ისევ შეიცვალა ადგილი. ჯლუნამ თავი გაანება და დედაკაცებთან ჩამოვიდა.

- როგორ არის საქმე? - იკითხა ჯლუნამ.

- წუხელ მაგარი შეტევები ჰქონდა, - თქვა ბერის ცოლმა.

- ნემსი გაუკეთეთ?

- არ გაგვაკეთებინა.

- ცოტა მაინც არ გახმა?

- ხმება, მაგრამ ისე დარდობს იმის გახმობას, ალბათ გადაჰყვება. გულიც რო ეხლა ასტკივდა!

- ექიმი არ ამოვიდა?

- ჰო, ამ დილით ამოვიდა, - თქვა ბერის ცოლმა და ამოიოხრა.

- რა თქვა, რაო.

- თუ იმ ნემსებს არ გაიკეთებს, არ გახმებაო. როგორ არ ვეხვეწეთ, მაინც არ გაიკეთა.

- სხვა წამალი არაფერი დაუნიშნა?

- ჯერ არა, ელაპარაკება, შიგნით არის.

ჯლუნაი სახლში შევიდა.

საწოლზე ზის ბერი. მარცხენა მხარზე ტანსაცმელი ამოუჭრიათ და იქიდან პატარა ნაძვს ამოუყვია თავი.

შიშველი ფეხები საწოლის წინ ამოთხრილ მიწაში უწყვია ბერს და მიწას წყალს უღვრის.

- ნუ, ბერო, გასცივდები, ნუ იღუპავ თავს, - ეხვეწება ბერს ექიმი, სამოც წელს მიტანებული დაბალი ებრაელი ქალი. ეს ქალი გუდამაყრელების მკურნალი ანგელოზია.

- რას შვრები, კაცო, ნემსებს არ იკეთებ და მიწაში რო ფეხებს აწყობ, შენს გულს მაგით ეშველება?

- მე არა, ამას ეშველება, - მხარზე ამოსულ პატარა ნაძვზე ანიშნებს ბერი ჯლუნას.

- შე კაი კაცო, მაგდენი როგორ არ გესმის, შენ თუ დაიღუპები, ეგ ნაძვიც ხო დაიღუპება, რა გაჭქეჯდი, გაიკეთე ნემსები.

- ნემსი როგორ გავიკეთო, გახმება, ხო ხედავ, როგორ ჩამოუჭკნა წიწვები.

ბერმა ფეხებში მოყრილ მიწას წყალი დაასხა.

ოთახში უცხო კაცი შემოვიდა და იქ მყოფთ გამარჯვება უთხრა.

- გაგიმარჯოს, - სულ ბოლოს თქვა ბერმა და მოსულს სიგარეტზე ანიშნა, - ჩააქრე, მაგის ბოლზე უფრო ხმება.

ახალმოსულმა სიგარეტი ჩააქრო და თქვა:

- მე თქვენი სკოლის ახალი მასწავლებელი ვარ. გეოგრაფიას ვასწავლი. ამ უცნაურმა ამბავმა დამაინტერესა და იმიტომ მოვედი. გაოცებული ვარ პირდაპირ, გაოცებული. პირველად მესმის, რომ კაცს მხარზე ნაძვი ამოუვიდა. არა, თუ შეიძლება უფრო ღრმად გამარკვიეთ ამ საქმეში.

- რა არის აქ ღრმად გასარკვევი, ამოვიდა, - თქვა ბერმა.

- თქვენ ამბობთ, რომ ღრმად გასარკვევი არაფერია, უბრალოდ, ამოგივიდათ, ხომ? მაგრამ მე გადმომცეს, რომ თქვენ შვილივით ეპყრობით მაგ ნაძვს. ჰაერზე ასეირნებთ, იმის გულისთვის, რომ წამლებმა ნაძვი არ გაახმოს, თქვენს ჯანმრთელობას საფრთხეში იგდებთ. არ არის ეს ღრმად გასარკვევი ამბავი? რას მეტყვით, საიდან გაჩნდა ეს მამაშვილური მზრუნველობა, ჰა?!

- მე შვილი არა მყავს, - თქვა ბერმა და მასწავლებელს, რომელმაც სიგარეტი აანთო, სთხოვა:

- თუ შეიძლება, აქ ნუ მოსწევთ.

- უკაცრავად, სულ გადამავიწყდა. და კიდევ ერთი: არ გეგონოთ მე თქვენი ცოლის მიერ მოგზავნილი, ეს ჩემი რჩევა არის - თქვენ აუცილებლად უნდა გაიკეთოთ ნემსები, სხვანაირად გული არ მოგირჩებათ. ნაძვები, ბატონო, ტყეში რამდენიც გინდათ, იმდენია, თქვენ კი ერთი პატარა ხის გულისათვის...

- თქვენ რომ ამოგსვლოდათ, რას იზამდით? - ჰკითხა ბერმა.

- თქვენსავით გული რომ მტკივებოდა, ალბათ, ჩემს თავს ვარჩევდი და წამლებს მივიღებდი. თქვენ კი სიცოცხლეს საფრთხეში იგდებთ და იცით თუ არა, რომ ამით თქვენში მყოფ ღმერთს კლავთ.

- განა ეს ნაძვი კი ცოცხალი არ არის?! - თქვა ბერმა.

- ეგ ნაძვი ისეც გახმება.

- იქნებ არ გახმეს, - თქვა ბერმა და წასასვლელად მოემზადა.

- სად მიხვალ? - ჰკითხა ჯლუნამ.

- უნდა ვასეირნო, აქ ჩახუთული ჰაერია, შეიძლება აქ მართლა გახმეს.

- მე არა ვნანობ, - თქვა ბერმა.

- ისე, არა სტყუი, კიდე, ხო იცი, იძახიან, ნაძვის გირჩებისაგან კუჭის წამალს აკეთებენო. მამკლა, კაცო, კუჭის ტკივილმა. ე ჩვენ ტყეში კიდევ ერთ ძირსაც ვერ ნახავ, სუ წიფელი და ნეკერჩხალია. თუ ძმა ხარ, თუ არ გახმა და გირჩები გამაიბა, არავის მისცე, მამკლა კუჭის ტკივილმა.

ბერი ნაძვის პირველ გირჩებს მეტყევეს შეჰპირდა და მარტოკამ გააგრძელა გზა.

გორზე დაისვენა.

ახლომახლო მოშიშვლებული ადგილი იყო და, როცა კი ნაძვს ასეირნებდა, ყოველთვის აქ ისვენებდა ბერი. ჩამოჯდებოდა და ეალერსებოდა ნაძვს. ეს ადგილი ძალიან მოსწონდა.

ცოტა რომ დაისვენა ბერმა, ადგა და მახლობელ ჩირგვში ისე ჩაიმალა, რომ ზემოთ მხოლოდ ნაძვი ჩანდა. მანამდე იყო ასე, სანამ ერთი პატარა ღობემძვრალა ჩიტი არ შემოჯდა ნაძვის კენწეროზე, თავის ენაზე რაღაცა იწრიპინა და ნაძვზე ჯდომით რომ გული იჯერა, გაფრინდა.






# გოდერძი ჩოხელი
# წერილი ნაძვებს



ბერი წამოდგა და მადლიერი მზერა გააყოლა ფრინველს.

მერე ისევ გორზე დაჯდა და ჭიუხებიდან მონაბერ ნიავს შეუშვირა მარცხენა მხარი.

ქვემოთ ხელისგულივით ჩანს არაგვის ჭალა.

სულ ქვემოთ, ხეობის დასაწყისში, დიდი სოფელი ჩანს, იმ სოფელში კოლმეურნეობის კანტორა არის. აქედან კარგად ჩანს ის შენობა: თეთრი, მაღალი, ქვითკირით ნაშენები.

ბერს უცებ აზრი დაებადა.

ჩავა კანტორაში და კოლმეურნეობის თავმჯ დო მარეს დასასვენებელ საგზურს სთხოვს სადმე ისეთ ადგილზე, სადაც ბევრი ნაძვია. იქნებ იქაური ჰაერი მოუხდეს და აღარ გახმეს ნაძვი.

ამის გაფიქრებაზე გულის ტკივილიც კი გადაავიწყდა. სირბილით დაეშვა ქვემოთ.

* * *

კოლმეურნეობის თავმჯდომარე თავის ოთახში დაუხვდა. ცნობისმოყვარე ხალხი ჯარივით მოსდევდა ბერს უკან.

- საგზური მინდა, - თქვა ბერმა.

- რა საგზურს თხოულობ, ვერ გამიგია, - გაიკვირვა თავმჯდომარემ.

- სადმე, ნაძვნარ ადგილას.

- ჩვენ აქ ვშრომობთ, - თქვა თავმჯდომარემ.

- ვიცი, - უთხრა ბერმა.

- მერე?!

- იქნებ გქონდეთ საგზური.

- არა გვაქვს.

- ძალიან გთხოვთ.

- კაცო, რას გადმეკიდე, ხო გითხრეს, გაიკეთე ნემსებიო, რატომ არ იკეთებ?!

- შენც იმათ მხარეს ხარ?

- ჩემთვის არავის არაფერი არ უთქვამს და ნუ ჯიუტობ რაღაცას.

- ამომივიდა და რა ვქნა!

- ამოგივიდა! ხმება! გამიხსენი ეხლა აქ სატყეო მეურნეობა, გაიშენე ზურგზე ტყე, გაურივე შიგ პანტა, ვაშლი, მსხალი, ზღმარტლი. გაამრავლე მერე ნადირი. შემოგესევიან მონადირეები, ტყისმჭრელები და ნულა მომასვენებ მერე. მომთხოვე მეტყევეები, დავუნიშნოთ მერე იმათ ხელფასი. მერე იმ ნაძვნარში აგარაკს მოგვთხოვს ვიღაც. ჰო, მართლა, ყურძენი არ დაგავიწყდეს, ვენახიც გაიშენე, დავწუროთ ღვინო და ვიყვნეთ ესე... საგზური არა მაქვს მე და რაც გითხრეს, ის გააკეთე. შენ არ იფიქრო, რო შენმა ცოლმა დამავალა ამის თქმა. ამას მე გეუბნები - მოიშორე ეგ ნაძვი.

ბერს აღარაფერი უთქვამს თავმჯდომარისათვის, კანტორიდან გამოვიდა და გზას გაჰყვა ქვემოთ.

***

ბორჯომამდე კითხვა-კითხვით მიაღწია ბერმა. ხალხს გიჟი ეგონა, ნაძვს რო ხედავდნენ იმის მხარზე.

არც სასტუმროში მიიღეს, სანატორიუმები გადაჭედილი იყო დამსვენებლებით.

მაშინ ბერმა ერთ ნაძვნარ ტყეში პატარა ქოხი აიშენა და იქ ასეირნებდა ნაძვს.

პირველ ხანებში გულის ტკივილმა თანდათან უმატა. მერე უკეთესად იგრძნო თავი.

ერთი კვირის თავზე ნაძვს გამოკეთება შეატყო ბერმა. გამწვანდა, გამოზიზინდა.

უცებ აიყარა ტანი ნაძვმა. ბერი გულმკერდში გრძნობდა იმის ფესვებს და წიწვების საჩხეზე მოლამუნებით ტკბებოდა. ის ახლა ნაძვის ყოველ ნაფიქრალს ხვდებოდა, გრძნობდა, როგორ ელაპარაკებოდნენ ხეები ერთურთს. ბერი ახალ სამყაროს გრძნობდა, გრძნობადს და არა ხილვადს, უჩინარს, იდუმალებით მოცულს. ახლა იმის სხეულში ორი სული იდგა და ეს ორი სხვადასხვა სული ერთურთის შერწყმას ლამობდა. სხეულები კი ერთსახედ გადაქცევას ესწრაფებოდნენ. ისინი სვამდნენ ურთიერთს და ერთ მთლიანს ავსებდნენ თანდათან.

ერთი თვის თავზე ბერის თავს ზემოთ ჯანმაგარი ნაძვი მასპინძლობდა მის ტოტებზე შემომსხდარ ფრინველებს.

ბერს მეუღლე მოენატრა.

ჯლუნაი მოენატრა.

ახლა ის სიამაყით იყო ავსილი და ერთი სული ჰქონდა, როდის გაასეირნებდა ამ ჯანსაღ ნაძვს თავის სოფელში. როდის შეეყრებოდა მეტყევეს და დააიმედებდა:

- ნუ გეშინია, მოგცემ გირჩებს, მორჩები, აბა, არა!

გადაწყვიტა, თავის სოფლამდე ტყედატყე ევლო, ფეხით, რომ უცხოს არავის გადაჰყროდა, ხიფათს რომ არაფერს გადაჰკიდებოდა.

დაემშვიდობა ნაძვებს და წავიდა.

* * *

«წერილი ნაძვებს!

ახლა ამ წერილს ჩემი სოფლიდან გწერთ. კარგადა ვარ. ხშირად დავსეირნობ ტყეში. ჩემი სოფლელები შეშინებულნი არიან, ერიდებათ ჩემთან სიახლოვე. გუშინ გეოგრაფიის მასწავლებელმა მთხოვა, რომ საახალწლოდ მე მომრთონ. მე დავეთანხმე, მაგრამ ცოტა მეშინია კიდეც, ტოტები არ ჩამომალეწონ. ერთადერთი, ვისთანაც ადამიანური ლაპარაკი შეიძლება, მეტყევეა. გირჩებს შევპირდი, მაგრამ ცოტა ხარბი კაცია. მაინც ვერ ურიგდება იმ აზრს, რომ ნაძვი ვარ. წამოსცდება ხოლმე ხშირად, ბალი მაინც იყო, პირს მაინც გავისველებდიო.

დღესაც სასეირნოდ ვიყავი. ჩემი ცოლი სულ გვერდით დამყვება, რომ სადმე კლდეზე ტანმა არ გადამძლიოს და ხრამში არ გადავიჩეხო. შეურიგდა ბედს.

ჯლუნაი გადასახლდა, აღარ ეკარება ჩვენს სოფელს. მენატრება, ადრე კარგი მეგობრები ვიყავით.

ერთი კვირის წინ ქორწილში ვიყავი და ერთ ლამაზ გოგონასთან ვიცეკვე. იმ დალოცვილს ჩემსავით აშოლტილი ტანი ჰქონდა.

ერთი ლოთი კაცი ცხოვრობს აქ, რამდენჯერაც დაითვრება ის კაცი, აიღებს ცულს, დაუწყებს გალესვას და თან იძახის:

- ბერი უნდა მოვჭრა! ბერი უნდა მოვჭრაო!

ვერიდები.

მეშინია.

რას გაიგებ, მთვრალი კაცისგან ყველაფერი მოსალოდნელია. შეიძლება მართლა მომჭრას.

აქაურ ტყეებს სიყვითლე შეეპარა. ამათ ძალიან უკვირთ, მე რომ სულ მწვანე ვარ და ფერს არ ვიცვლი. ეს კიდევ არაფერი, მე რომ სიარული შემიძლია, ამაზე მთლად გიჟდებიან, ალბათ, ზეციდან მოვლენილი ვგონივარ, ისე მეკრძალებიან.

მე ვუთხარი მათ, რომ არა ვარ სხვაგნიდან მოსული.

არ დამიჯერეს:

- თუ მიწაზე დაიბადე, რატო შენც ჩვენსავით ფერს არ იცვლი, შენიანებს სიარული არ შეუძლიათ, შენ კი დადიხარ, სადაც მოგესურვება, იქ დგები, თან არც ჩვენნაირი ფოთლები გაქვსო.

რა უნდა ვუთხრა.

რით დავაჯერო.

წიფელს კიდევ რამეს ვაგებინებ, სხვები მთლად ურწმუნოები არიან.

არ მინდა, ტყეებს თავის რწმენა დავუკარგო. არადა, ვერც ვშორდები. შუაგულ ტყეში ერთი პატარა ვერხვი შემიყვარდა, ყოველდღე რომ არ ვნახო, არ შემიძლია, უიმისოდ ვერ ვძლებ. ისე თრთის ხოლმე ჩემს დანახვაზე, ალბათ, მასაც ვუყვარვარ. ამ ბოლო დროს მასთან სიახლოვეს ვერიდები. მგონი, ჩემი ცოლი ეჭვიანობს, მეშინია, მე რომ მემუქრება, ის ლოთი კაცი არ მოისყიდოს და ვერხვი არ მოაჭრევინოს.

ჩემს სოფლელებსაც მგონი შეეპარათ ტყეების ეჭვი.

სოფლის თავს ერთი ბებერი კაცი ცხოვრობს, არც ცოლ-შვილი ჰყავს იმ კაცს, არც და-ძმები, მარტოა, რაც თავი მახსოვს. ადრე ღმერთი არა სწამდა და სოფელს იმიტომ გამოშორდა. სოფლის თავს სახლი აიშენა და შეუვალი ღობე შემოავლო. მთელი თავისი სიცოცხლე ღმერთის გმობაში გაატარა. ეხლა მოხუცდა, ჯანღონე წაერთვა და სიღარიბემ წელში მოხარა. სამადლოდ თუ ვინმე მიაწვდის პურ-წყალს. ჩამომხმარ სხეულში ცოდვილობს იმისი სული. ყოველდღე ღმერთს ევედრება შეწყალებას.

ტყისაკენ მიმავალი გზა იმ მოხუცის სახლის გვერდზე გადის და ყოველთვის, როცა ტყეში მივდივარ ხოლმე, იმისი საცოდაობით მიკვდება გული. სახლის წინ მუხლებზე დაჩოქილი დგას ხოლმე და ცას შესძახის:

ჩამომეშველე, ზენაარო,

ეგ თალხი კალთა ჩამომაფარე,

ა, ეს თვალები დამიხუჭე,

ა, ეს ენა-პირი დამიდუმე,

ა, ეს მუხლები ჩამიშალე,

სული ნამგალივით გამიღუნე

და

წამიყვანე!..

ამ სახის მიღმა გამიყვანე,

თორემ დავიღალე,

ამ ბნელ მღვიმეში ყოფნით დავიღალე.

და ამ ლოცვის დროს მე თუ დამინახა, აკანკალებული მეხვეწება:

- სთხოვე უფალს, ჩამომეშველოს,

სთხოვე, ჩამომეშველოს,

მიშველე, სთხოვე...

მეცოდება ეგ კაცი, არ ვიცი, რა ვქნა, რით ვუშველო. რომ არ ვაწყენინო, შევუშვერ ხოლმე ზეცას ხელებს და შევთხოვ:

- ჩამოეშველე! ჩამოეშველე!

არ ჩანს გამკითხავი.

იგვიანებს...

საოცარ სიზმრებს ვხედავ ღამღამობით: ხან მეჩვენება, რომ ჰაერში დავფრენ, მერე ქვემოთ ვეშვები, მიწის გულში ჩავდივარ და იქ მისი გულის ბაგაბუგს ვისმენ.

სუნთქავს მიწა.

როგორც კაცი, ამოისუნთქავს და მერე სადა და როდის ჩაისუნთქავს.

თითქოს სუნთქვის ხმაც მესმის.

მიწის გულიდან რომ გამოვდივარ, ყველაფერი, რაც კი მის ტანზე ხდება, მიწის სიზმარი მგონია.

ხან შორს მიმაფრენს და შორიდან ვუყურებ დედამიწას. დედამიწას იქიდან სხვანაირს ვხედავ:

ცოცხალს!

მდინარეები მისი სისხლძარღვებია.

ზღვები და ოკეანეები - ფილტვები.

ტყეებით სუნთქავს.

ჰაერი მისი სულია.

თვითონვეა კაციც და დედაკაციც.

შორიდან კარგად ჩანს, როგორ გამოდიან ათასნაირი სახეები მიწიდან და ისევ მიწას უერთდებიან...

ნეტავი ერთხელ ჩემს სიზმრებში ჩაგახედათ და განახვათ, როგორი სახე აქვს იქ დედამიწას.

ღმერთი?

მე მწამს ღმერთი, რადგან მწამს დედამიწა და რაკი ჩვენ, ყველანი, დედამიწის ნაწილი ვართ, ალბათ, დედამიწაც ასევე ღმერთის ნაწილია.

ჯერ ეს სიზმარში არ მინახავს, მაგრამ, ალბათ, როგორც დედამიწას შეერთვიან მისგან გამოსული სახეები, თვითონ დედამიწაც შეერთვის ღმერთს.

მე რატომღაც მგონია, რომ ღმერთი ერთია და ამასთანავე იმდენი, რამდენი სახეცა დგას მასში.

ვიცი, ჩემი ჯანმრთელობა უფრო გაინტერესებთ. ნუ იდარდებთ. წინანდებურად აღარ მაწუხებს გულის ტკივილი.

დღეს ჩემს ტოტებზე ისე გულიანად იგალობა შაშვმა, რომ სულ გადამავიწყდა, თუ როდესმე გული მტკიოდა.

აქაურ ტყეში მარტო მე ვარ ნაძვი. ერთი ადგილი მომწონს მაღალ მთაზე, ხშირად ვდგავარ იქ. აქედან კარგი გადასახედია, მთელი ხეობა მოჩანს.

ღამღამობით სიზმარში მეჩვენება, რომ ფეხები მიწაში მიდგას.

თქვენ მენატრებით.

გკოცნით ბევრს...»

* * *

წერილს გარედან მისამართი ეწერა:

«66793

ბორჯომი

ეს წერილი ნაძვის ტყეში დააგდეთ.

ბერი».

* * *

შემოდგომაზე გულის ტკივილმა მოუმატა ბერს.

ერთ საღამოს ნაძვის ფესვები მუხლებს ქვემოთ იგრძნო.

საშინლად სწიწკნიდა გული.

მთვარიანში სახლიდან გამოვიდა, კალოდან ბარი გამოიტანა და ტყისაკენ აუყვა აღმართს.

გვიანი შემოდგომა იყო.

მთვარის შუქზე ვედრებასავით იდგნენ გაძარცული ტყეები.

ტყის მცველის ქოხს ჩაუარა.

შუაღამისას თავის საყვარელ ადგილს მიაღწია.

აქედან ხელისგულივით მოჩანდა ხეობა.

ბერმა ღრმა ორმო ამოთხარა და შიგ ჩადგა. მერე ნათხარი მიწა შიგნით ჩაიყარა და ხელებით ფეხებში ჩაიტკეპნა წელამდე.

იდგა ასე.

უკანასკნელი, რაც ბერმა იგრძნო, ის იყო, თუ როგორ შეავსო ორმა სხეულმა ერთი მთლიანი და გახდა ერთსახე, რომელიც წვრილი ფესვებით საოცარი სისწრაფით ჩაებღაუჭა მიწას.

ხოლო პირველი, რაც ნაძვმა იგრძნო, ეს მზის ამოსვლა იყო.



ᲗᲐᲠᲐᲮᲣᲚᲐᲓ: 1. ცენტრალური მცველი ფეხბურთში; 7. მდინარე გორის რაიონში, მტკვრის მარჯვენა შენაკადი; 8. იარლიყი; 9. მაღალი ძელი გემზე იალქნისათვის; 14. რომის ტირანი იმპერატორი; 16. ლაზათი, მოხერხება; 17. არგენტინული ფეხბურთის ლეგენდა; 18. სიბრტყის ნაწილი, რომელიც შემოსაზღვრულია წრეხაზით; 23. ავადმყოფური გადახრა ნორმიდან, სიმახინჯე; 25. XII-XVI საუკუნეების იაპონური თეატრი; 26. წელიწადის თვე; 32. ენის ბორძიკით მოლაპარაკე, ენაბრგვილი; 33. აზრის იგავურად გამოხატვა; 34. ფრანგი ფერმწერი, ნაპოლეონის კარის მხატვარი; 35. უგემოვნოდ დადგმული წარმოდგენა, უხამსი სანახაობა; 41. მიწაში ჩადგმული ცილინდრული ღუმელი, რომელშიც პურს აცხობენ; 42. ზედმეტი, უსარგებლო ტვირთი; 43. სასწორის თეფში; 44. გემის, თვითმფრინავის, ტანკის მომსახურე პერსონალი; 45. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, კაცის მსგავსი გოლიათი, რქიანი და ბანჯგვლიანი.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 2. დეკორატიული ბოლქვიანი მცენარე შროშანისებრთა ოჯახისა, იკეთებს მეტწილად წითელ ყვავილებს; 3. მთის წაწვეტებული მწვერვალი; 4. თავბრუ; 5. გერმანელი პოეტი, პუბლიცისტი და კრიტიკოსი; 6. სანიავებელი; 10. დასაჯდომი ავეჯი; 11. ცხენის სხვადასხვაგვარი სვლა; 12. ტიხარი; 13. გვაროვნული თემი; 15. ლირა; 19. მარდი, მამაცი; 20. ჩასაბერი მუსიკალური საკრავი; 21. მინის მაღალყელიანი ჭურჭელი, რომელსაც იყენებენ ლაბორატორიაში; 22. ბერძნულ მითოსში: წყლის მრავალთავიანი გველი, ჰერაკლეს მიერ მოკლული; 24. შოტლანდიელი ფეხბურთელი წარსულში, 1964 წლის „ოქროს ბურთის“ მფლობელი; 27. მცენარეთა სამყარო; 28. ბრაზილიური ცეკვა; 29. გველის შხამი; 30. მდინარე რუსეთში; 31. საზღვარი, ზღვარი; 36. მეცნიერების ან ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე; 37. ტბა სომხეთში; 38. იაპონური პოეზიის ერთ-ერთი ჟანრი; 39. რაიონული ცენტრი საქართველოში; 40. რაიმე დარგში მუშაობის ან რაიმე ორგანიზაციაში ყოფნის ხანგრძლივობა.

## ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

ᲗᲐᲠᲐᲮᲣᲚᲐᲓ: 1. სტოპერი; 7. ტანა; 8. ეტიკეტი; 9. ანძა; 14. კალიგულა; 16. შნო; 17. მარადონა; 18. წრე; 23. პათოლოგია; 25. ნო; 26. ოქტომბერი; 32. ბლუ; 33. ალეგორია; 34. გრო; 35. ბალაგანი; 41. თონე; 42. ბალასტი; 43. პინა; 44. ეკიპაჟი; 45. დევი.
ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 2. ტიტა; 3. პიკი; 4. რეტი; 5. ჰაინე; 6. მარაო; 10. სკამი; 11. ალური; 12. ძგიდე; 13. კლანი; 15. ქნარი; 19. ჩაუქი; 20. ჰობოი; 21. კოლბა; 22. ჰიდრა; 24. ლოუ; 27. ფლორა; 28. სამბა; 29. გესლი; 30. ვოლგა; 31. მიჯნა; 36. კორიფე; 37. სევანი; 38. ტანკა; 39. კასპი; 40. სტაჟი.





# იუმორი

სვანი დააპირებს ცოლის მოყვანას. დედა ურჩევს:

- კარგი შვილო, მოიყვანე ღირსეული ქალიშვილი, რომელიც მტერს მახვილით დახვდება და მოყვარეს სასმელით გაუმასპინძლდება.

წავიდა სვანი თბილისში.

ცოტა ხანში დედამისთან პოლიცია მოდის:

- თქვენი შვილი სად არის?

- ჩემი შვილისაგან რა გინდათ, არაფერს აშავებს, მხოლოდ ცოლის მოყვანა დააპირა.

- ხო და გადაეცით, ქართლის დედა ადგილზე დააბრუნოს!!!

* * *

- აბა თუ იცი, ვერტმფრენს რად უნდა ზემოდან იმხელა პროპელერი?

- კი, როგორ არ ვიცი. ეგ უბერავს ზემოდან, პილოტი რომ არ გაოფლიანდეს.

- არა, კაი, ნუ მაშაყირებ...

- რას გაშაყირებ?! იმ დღეს ვმგზავრობდით ვერტმფრენით და ბოლოს, დაჯდომისას უცბად გაჩერდა ეგ პროპელერი და უნდა გენახა ჩვენს პილოტს რა ოფლმა დაასხა!

* * *

ბუში ჩამოვა საქართველოში, ტრაპზე იკითხავს ჯუმბერა მანდააო? ეტყვიან არაო და უკან წავა. გაგიჟდება მიშა, ეგ ჯუმბერა ვინღააო და ყველა ჯუმბერას მოაყვანინებს. ერთი აღმჩნდება ბომჟი, ვისაც ბუში ეძებდა. ჯუმბერა ეუბნება:

- ეგ რაა, ჩემს დანახვაზე რომის პაპი მესას ჩაშლის და მე გადამეხვევა, ოღონდ შენ იქ გული არ წაგივიდესო .

ჩაარტყამენ ხელს და წავლენ. ჩავლენ რომში. რომ მივლენ პაპი მართლაც დაინახავს თუ არა, გაექანება და ჩაეხუტება ჯუმბერას. მიშას გული წაუვა.

- ხო გითხარი არ წამექცეო!

- არა, ძმაო, მაგაზე კი არ წავქცეულვარ, შენ რომ პაპი ჩაგეხუტა ერთი ზანგი მოვიდა და მეკითხება, ეგ კაცი ვინაა, ჯუმბერას რომ ეხუტებაო?!

* * *

კაცს ტილები ჰყავს და წავა ექიმთან.

- ექიმო ტილები მყავს და რამე წამალი მითხარითო.

- შენნაირ ტილიანს მიადე თავი. ტილები იბრძოლებენ და დაიხოცებიანო.

მეორე დღეს მოდის ისევ კაცი და ექიმს ეტყვის:

- ექიმო, ეს რა მიქენით. იბრძოლეს, ჩემმა ტილებმა ბრძოლა მოიგეს და ტყვეებიც აქეთ წამოიყვანესო!!!

* * *

ჩემს თანამშრომელს, რომელიც ძალიან გვიან დაქორწინდა, შეეძინა შვილი და ურეკავს მის ძმას, რომ მიახაროს ბიჭის გაჩენის ამბავი- (გურულები არიან).

- ბიჯო, დათოია, ბიჭი შემეძინა, ბიჭიი...

- აუფ! მომილოცავს ძამა!

- ვიცოდი, რომ გაგიხარდებოდა და პირველად შენ იმიზა დაგირეკე და მითხარი ერთი რა დავარქვა სახელი?

- რა დაარქვი და ხეჭეჭური, მეტი რა უნდა დაარქვა?!

- კიმარა, ხეჭეჭური რეიზა?

- რეიზა და მის ბედნიერებას შენ ვერ მეესწრები და ...

* * *

- როგორი თვალებით მიყურებს თქვენი ძაღლი? ალბათ გაბრაზებულია ჩემზე, - ეუბნება სტუმარი მასპინძელს.

- არ მიაქციო ყურადღება, არ ევასება, როცა მისი თეფშიდან ჭამენ.

* * *

მეზობელი მეზობელს:

- გავიგე შენ და შენი ცოლი შერიგებულხართ?

- სულაც არა?!

- რა ვიცი, დაგინახეთ შეშას ხერხავდით ერთად და..

- შეშას კი არა, ავეჯს ვიყოფდით.

* * *

ჭიჭიკია ეუბნება ბიჭიკიას:

- ბიჭო, წყალი მოდის შენთან?

- რაი წყალი, ბიჭო, რიონი ისე დამშრალა ბაყაყები ერთმანეთს აფურთხებენ რო დასველდენო.

* * *

სვანი სიცრუის დეტექტორზე უნდა შეამოწმონ. უხსნიან: - გისვამთ კითხვას, თქვენ პასუხობთ. თუ მართალს ამბობთ, მწვანე ნათურა აინთება, თუ მოიტყუებით - წითელი. გასაგებია. - გასაგებია, - უთხრა სვანმა და წითელი ნათურა აინთო.

* * *

პროგრამისტის ლოცვა:

ღმერთო, გადატვირთე ეს სამყარო.

* * *

სკოლაში მიდის ქართულის გაკვეთილი. მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეს:

- აბა, გამირჩიე წინადადება: გოგო და ბიჭი აბანოში წავიდნენ.

მოსწავლე:

- გოგო ქვემდებარეა, ბიჭი - ზემდებარე, ხოლო აბანო მიზეზის გარემოება.

- დაჯექი, ოთხიანი.

- რატომ ოთხიანი, მასწ?

- იმიტომ, რომ აბანო მიზეზის გარემოება კი არა, მიზეზის ადგილია.

* * *

ტაისონი ჩავა კახეთის რომელიღაც სოფელში. მთელი სოფელი შეიკრიბება სანახავად, დიდ ღონისძიებას მართავენ მსოფლიო ჩემპიონის პატივსაცემად. ტაისონის ერთ-ერთი თანმხლები პირი მიმართავს სოფლელებს:

- აბა ამას რომელი დაუდგებით?

ცოტა ხანი სიჩუმეა, მერე მიხო დაიყვირებს:

- მე დავუდგები!

დაიწყება კრივი. მთელი პირველი რაუნდი ტაისონი ურტყამს გამალებით, მიხო დგას. შესვენებაზე მიხოს ეკითხებიან:

- შენ რატო არ ურტყამ?

- შეიძლება მეც დავარტყა?

- კიიიი, აბა რა უნდა ქნა?!

დაიწყება მეორე რაუნდი. მიხო გავა, ერთს დაუშხუილებს და ტაისონი გაიშხლართება. მსაჯი მივარდება და ითვლის:

- ერთი, ორი, სამი...

მიხო უყურებს გაკვირვებული და ეკითხება: - რას ითვლი?

- ათამდე დავითვლი, თუ ვერ ადგება, მოგებული ხარ.

- რას ამბობ ჯოოოო, ეგ ეხლა ფეხზე ამდგომია?! ადრე ბოინში ვმუშაობდი, თოკი რო არ იყო, მუშტითა ვკლავდი ხარებს...

* * *

სვანი პირველად ჩავიდა მეტროში. გამოაცხადეს: ,,შემდეგი სადგური რუსთაველი'', ცოტა ხანში: ,,შემდეგი სადგური მარჯანიშვილი'' და ა.შ. ,,გურამიშვილი'', ,,სარაჯიშვილი'', ,,ახმეტელი''.

სვანი ფიქრობს:

- ნეტავი გასვიანს როდის გამოაცხადებენ, ამ ჯოჯოხეთიდან რომ გავიდე?!

* * *

ორი ძმაკაცის საუბრიდან:

- რა გონიერი თევზია დელფინი.

- რატომ?

- ჩემი სიდედრი იხრჩობოდა და არ გადაარჩინა...

* * *

სასტუმროს ნომრის კარზე ვიღაც აბრახუნებს. გამოღვიძებული რაჭველი გაბრაზებით კითხულობს:

- ვინა ხარ ამ შუაღამისას, რა გინდა?

- სასტუმრო იწვის.

- მერე მე რომელი მეხანძრე ვარ?!

* * *

სიმღერის მასწავლებელი შევიდა კლასში და მოსწავლეებს ჰკითხა:

- სად არის, ბავშვებო, ჩემი სკამი?

- ხმას არავინ იღებს.

- კარგი, მაშინ ყველანი ფეხზე ადექით და დღეს სახელმწიფო ჰიმნს ვისწავლით მთელი გაკვეთილის მანძილზე.

* * *

- ალო, მორგია? ბაბუა დაგვეკარგა, ბაბუა! შემთხვევით თქვენთან ხომ არ მოუყვანიათ?

- რამე განსაკუთრებული ნიშნები ხომ არა აქვს?

- კი, კი!.. მარჯვენა ფეხით მოიკოჭლებს და რომ ანერვიულდება, ენა ებმება და წარბებს ძგიბავს ნამეტანი.

* * *

ორი ელექტრიკი ბოძზეა ამძვრალი და გაცხარებულები რაღაცაზე კამათობენ. მიდის მოხუცი ბებო და ეკითხება:

- რატომ კამათობთ შვილებო?

ერთი ელექტრიკი პასუხობს:

- ბებო, ერთი მანდ რომ გაწყვეტილი მავთულია, მომაწოდე რა.

ბებო დაიხარა და მიაწოდა მავთული. ელექტრიკი თავის ნაპარნიკს ნიშნის მოგებით ეუბნება:

- აი ხო გითხარი, ნოლია-მეთქი, შენ კიდე გაიძახი, ფაზაა, ფაზაა...

* * *

გაკვეთილზე დაგვიანებული მოწაფე კართან ცივ ოფლში იწურება.

- სად ეგდე?

- შეიარაღებული ბანდიტი დამესხა თავს.

- ღმერთო ჩემო! საწყალი ბავშვი. წაგართვა რამე?

- საშინაო დავალება მქონდა დაწერილი...

* * *

- გუშინ სიმონ, იმფერი რეიდი იყო ქუთაისში, ინსპექტორები ,,რიონში'' აცივებდნენ სვისტოკებს...

* * *

ქუთაისურ სახინკლეში:

- კიდევ 20 ხინკალი მოგვიტანეთ!

- არ გეყოთ თუ მოგეწონათ?

* * *

ბავშვი მოდის სახლში სკოლიდან:

- მორჩა. სკოლაში აღარ წავალ!

- რატომ?

- კითხვა მე არ ვიცი, წერა მე არ ვიცი და თან ლაპარაკსაც მიშლიან!

* * *

- ღამით ბილ გეიტსი დამესიზმრა!

- საინტერესოა როგორ ამიხდება: ბევრი ფული მექნება თუ ვირუსი შემეყრება?!

## მსხვილი ვარიკოზული ვენების მკურნალობის უახლოესი და ყველაზე შედეგიანი მეთოდი

ტკივილის გარეშე!
ნაწიბურების გარეშე!
ნარკოზის გარეშე!




ექიმ მერაბ ბოთერის
# VEIN & LASER CENTER

**მსხვილი ვარიკოზული ვენების ლაზერულ ცენტრში ვიყენებთ ყველაზე ეფექტურ, უახლეს მსოფლიო კლასის ტექნოლოგიას და მკურნალობის მეთოდებს, ვატარებთ კომპლექსურ მკურნალობას უკანასკნელი თაობის ლაზერის საშუალებით.**

- მიკროქირურგია ულტრაბგერის გამოყენებით;
- თანამედროვე სკლეროთერაპია.
- პროცედურის ხანგრძლივობა – 30-90 წუთი
- პროცედურის დროს შემოგთავაზებთ კინოფილმების ნახვას

პროცედურის შემდეგ შეიძლება სახლში ან სამსახურში წასვლა 10 წუთში.

***მსხვილი ვარიკოზული ვენების მკურნალობა საჭიროა დროულად, ვიდრე არ წარმოიქმნა:***

ყავისფერი ლაქები კანზე; ფეხის კანის გამსხვილება და შემჭიდროება; სისხლდენა დაზიანებული ვენებიდან; წყლულები;

**იმკურნალეთ, ვიდრე არ გახდა განუკურნავი!**

წვრილ ვარიკოზულ კაპილარებს ,,ქსელებს'' წარმატებით განვკურნავთ ლაზერით და სკლეროტირებით. მსხვილი და წვრილი ვარიკოზული ვენების ამ მეთოდით მკურნალობას ანაზღაურებს უმეტესი სადაზღვევო კომპანია.

ექიმი მერაბ ბოთერი - ქირურგი, 35 წლიანი მუშაობის გამოცდილებით ყოფილ სსრკ-სა და აშშ-ში. ქირურგიის ამერიკული საბჭოს დიპლომირებული. აგრეთვე ატარებს თიაქარის, ბუასილის, სწორი ნაწლავის დაავადებების და კანის წარმონაქმნების ოპერაციებს.

**660 92nd Street, Bay Ridge, Brooklyn, NY 11228**
(კონსულტაცია, გამოკვლევა და მკურნალობა)
**102-51 Queens Blvd, Forest Hills, Queens, NY 11375**
(კონსულტაცია და გამოკვლევა); **1-718-238-1555**

ვსაუბრობთ ქართულად!


## ტკივილი



როგორ სწრაფად წაგვიხვედი.....

უდიდესი ტკივილი, განუზომელი სიცარიელე და სინანული, მრავალი პასუხგაუცემელი კითხვა დატოვე.

რთულია ერთმანეთს დაუკავშირო სიცოცხლის ასეთი შეუდარებელი წყურვილი და სიკვდილი - ცივი, უსიცოცხლო, საშიში....

**ამირან წიკლაური -**

დღესაც კი, როცა ძნელად დასაჯერებელი მწარე სიმართლე ვიცით, ეს სახელი მხოლოდ სიცოცხლესთან შეიძლება გააიგივო - ვაჟკაცობა, ხალისი, სიკეთე, ნიჭი... მუსიკა და გულიანი სიმღერა... გულწრფელი მისალმება, ღიმილი, სიყვარული და მონატრება - ასე მხოლოდ ქართველ ვაჟკაცს შეუძლია უყვარდეს, ეფერებოდეს, ნატრობდეს, ასეთი ბიჭები არ კვდებიან...

**ამირან წიკლაური -**

ამ სიკვდილით ერთი მისი სურვილი მაინც დროზე ადრე ახდა - მალე ქართული მიწა ჩაიხუტებს მონატრებულ ვაჟკაცს, პატრიოტს, მამულიშვილს... ოღონდ ჩაიხუტებს სამუდამოდ, ნაადრევად...

კაცი, რომელიც ქართული სიტყვის მადლით, ქართული სიმღერით, ქართული მთისა და ბარის სიყვარულით, სამშობლოს კიდევ ერთხელ ხილვის სურვილით ცხოვრობდა... იქ, სადაც იყო ამირანი - იყო პატარა საქართველო...

დრო ვერ შეავსებს იმ სიცარიელეს, რასაც ამირან წიკლაურის გარეშე ყოფნა ჰქვია - ასეთი ბიჭები ცოტანი არიან...

მისი ხსოვნა იცოცხლებს მანამ, ვიდრე იცოცხლებს ქართული სიმღერა, ქართული ფიცი და მეგობრობა... ყოველივე ის, რითაც იცხოვრა ასე ცოტა ხანი - 32 წელი...

**მეგობრები**

## უსათაუროდ...

„არ მსურს ყუჩნობით, მყუდამ კიმხიარულო, ჰერა კეღანო
გაკვძლოთ ყუნდ გაგიმზილო, კვლავ შუვიცვლოთ, კვლავ დაკოვიწყებ
მხიარულ მოტჩნაგუტ შენს თავს გავიგებ" — ეს სიტყვები ქართველ შენ მიძღვნი
ახლა კი შენგან მიგოვებული მე გაუქბნი.

სიყვარულით „სიყვარული"

## განცხადებები

იყიდება ჩეხური პროექტის 4-ოთახიანი ბინა თემკის დასახლების მე-4მ/რ, მე-8 სართული, გურამიშვილის მეტროსთან ახლოს. ნახევრად გარემონტებულ მდგომარეობაში.
დამიკავშირდით:
თბილისში 64-64-68, (877)78-97-74; (893)17-95-46 იკითხეთ სვეტა, ამერიკაში (917)407-2023 ხათუნა

იყიდება 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი კაკლებში (ბაგებსა და წყნეთს შორის), ზურაბ წერეთლის სახელოსნოსთან ახლოს.
ინფორმაციისათვის დარეკეთ:
თბილისში: (899)95-00-98; (899)22-74-74 ნინო, ამერიკაში: (917)407-2023 ხათუნა

იყიდება ოროთახიანი ბინა ახალაშენებულ კორპუსში საბურთალოზე, რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან, ევრორემონტით, უცხოვრებელი, მე-9 სართულზე ათსართულიანში.
ცნობებისათვის: 267-474-9318

## მილოცვა

დაბადების დღესა და ნახევარსაუკუნოვან იუბილეს ვულოცავთ ჩვენს საყვარელ **ქეთინო იაკობიძეს**, სიხარულსა და ბედნიერებას, ჯანმრთელობასა და მზეგრძელობას ვუსურვებთ.

**ნუკრი მუმლაძის ოჯახი**


ცენტრალური „საიოს" მაღაზია
S+ Discount Store plus




T-Mobile cingular WESTERN UNION GIROSOL La Nacional



# გამოვიდა

VHS DVD VIDEO

# „მამულის" იუბილე
## დისკზე და კასეტაზე

DVD-ის ან ვიდეოკასეტის ღირებულებაა 15$, საფოსტო მომსახურეობა ნებისმიერი რაოდენობის შეკვეთაზე 5$, ბინაზე მიღების მსურველებმა ფურცელზე უნდა დაწეროთ თქვენი სახელი და გვარი, მისამართი და ტელეფონი, დაურთოთ ჩეკი ან მანი ორდერი „მანუჩარ კაჭახიძის" სახელზე და გამოგზავნოთ:
**MAMULI, P.O. Box 13121. Jersey City, NJ 07303**

ქვეყნის ეკონომიურმა გაჭირვებამ ქართველები სამშობლო-დან შორს, 9 ათასი კილომეტრისა თუ 9 საათიანი სარტყელის მოშორებით გადაისროლა. ღვთისანაბარად მიტოვებულებს სამშობლოსთან უხილავ ძაფებად ერთადერთი ქართული გაზეთი „მამული" მოევლინათ. გაზეთისადმი სიყვარულის გამოცხადების ლამაზი დასტურია ეს საღამოც, რომელშიც ქართველი ემიგრანტები მონაწილეობენ, სამშობლოდან ოკეანისგაღმა, მსოფლიოს მეგაპოლისში - ნიუ იორკში.





ტურისტული აგენტი
# მაია ნინოშვილი

## ავიაბილეთები საქართველომდე და მსოფლიოს ნებისმიერი მიმართულებით

დღისით: 917-974-7166
საღამოს: 718-621-6846
ფაქსი: 718-621-6846
ელ.ფოსტა: mnc7@earthlink.net

1950 86th street, 2FL
Brooklyn, NY 11214




**MAMULI**
**P.O. Box 13121,**
**Jersey City, NJ 07303**

# შემოწირულობა „მამულის" არსებობისთვის

☐ სურვილი მაქვს გაზეთ „მამულის" არსებობისათვის გავიღო ——— დოლარი.

(თქვენი სახელი და გვარი)

(სახლის ნომერი და ქუჩა, Apt N)

(ქალაქი, შტატი, Zip-კოდი)

უახლოეს ხანში შეიქმნება „მამულის" საგამომცემლო საბჭო 10-კაციანი შემადგენლობით, რომელთა საწევრო გადასახადით გამოვა გაზეთის თითოეული ნომერი. მსურველებმა დაუკავშირდით საორგანიზაციო კომიტეტს შემდეგ ნომერზე: 908-910-3639








თითოეული DVD-ის ღირებულებაა 20$, საფოსტო მომსახურეობა ნებისმიერი რაოდენობის შეკვეთაზე 5$, უნდა მონიშნოთ თქვენთვის სასურველი DVD-ის უჯრედი, ფურცელზე მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი, მისამართი, დაურთოთ ჩეკი ან მანი ორდერი და გამოგზავნოთ შემდეგ მისამართზე:

**Gela SACHALELI**
3405 Kings Hwy, Apt 3C
Brooklyn, NY 11234



ვამზადებ ინგლისურში ნებისმიერი დონისა და ასაკის მსურველებს 718-784-1337 ლელა



რედაქტორ-გამომცემელი
მანუჩარ კაჭახიძე
EDITOR & PUBLISHER
MANUCHAR KATCHAKHIDZE

საქართველოში „მამულს" წარმოადგენს საგამომცემლო სახლი „ასავალ-დასავალი" ლაშა ნადარეიშვილის პატრონაჟით

ასავალ დასავალი

www.mamuli.com
აშშ-ში: 347-724-0770; თბილისიდან: 420-320

MAMULI
P.O. Box 13121,
Jersey City, NJ 07303
editor@mamuli.com
mamuli@comcast.net
















# 2007



## ჩემი პატარა კალენდარი

ასე, ცრემლით და სიმღერით
მაშ, რა იღბალმა შეგვყარა.
- აი, თამარის ქვეყანა,
აი, რუსთველის ქვეყანა.
ვინა სთქვა, დიდთა ქართველთა -
ქართველებს დაგვყვა შიმშილი...
იანვრის სამში აღზევდა -
ექვთიმე თაყაიშვილი.
ჩვენ, ოთხ იანვარს - ქართველნი,
დიდ სიყვარულთან მივედით,
იშვა, ილია მეორე, -
ქართველი ხალხის იმედი.
იმღერე, ერო, იმღერე,
ცრემლს სიმღერის დროს ვინ
მოგგვრის,
იანვრის რვაში მობრძანდა -
ლეონიძეანთ გიორგი.
უფლის ფასი თუ არ ვიცით,
მაშ რწმენას რისთვის დავნებდით.
რვა აპრილს, ქრისტე აღსდგა და
ჩვენა ვართ, - ქრისტიანები.
ჩვენა გვაქვს, ჩვენი წარსული,
აწმყოსაც ვაქცევთ მერმისად,
ზეობს, თოთხმეტი აპრილი, -
დღეი, - ქართულის ენისა.
ჩვენს დედა უნივერსიტეტს
არ უწერია შიმშილი -
ოცდასამ აპრილს, მზეს მოჰყვა
ივანე ჯავახიშვილი.
მოდი, ისიც ვთქვათ, ფაშიზმით,
თავი ვინც გამოიტენა,
ოცდაათ აპრილს, ის თავი
როგორ მოიშთო ჰიტლერმა.
ბედნიერი ხარ მამულო,
დღეს თუ სიმღერით იღვრები,
მაისის ცამეტს გვესტუმრა,
სარაჯიშვილი, სიმღერით.
აწმყოც ჩვენია, წარსულიც,
ხვალის მზეც არ იქუფრება,
ოცდაექვს მაისს გელირსა
ქართველო, თავისუფლება.
მარადის გქონდეს, ქართველო,
იმედი დიდი მოსავლის,
ოცდაერთ ივნისს, მობრძანდა, -
აკაკი - დიდი მგოსანი.
ჩემი ქართული სისხლისა,
ვაჟაა გამომსახველი,
მე, თოთხმეტ ივლისს ფშავში ვარ,
ვაჟა-ფშაველას სახელით.
და სამომავლოდ, სახელი
მართლა თუ ვინმემ გაგვითქვა,
თორმეტ აგვისტოს - „დიდგორის"
ომი მოიგო დავითმა.
დედაო-ენავ, მარადის,
შენთვის სუფრა გვაქვს გაშლილი,
ზეობს, ოცდაშვიდ ოქტომბერს -
იაკობ გოგებაშვილი.
ნოემბრის სამში, მერწმუნეთ,
კვლავ ახალ აკვანს გათლიან,
მუხლს ვუყრი, სულხან საბასა,
ორბელიანთა განთიადს.
მე, რვა ნოემბერს - კვლავ ვამბობ,
მავანი თუნდაც გავეშდეს,
არც არვინ არ ვიქნებოდით,
დიდი ილიას გარეშე.
დროშები, ჩქარა დროშები,
ახალი სხივი მოძალდა,
ჩვიდმეტი ნოემბერია -
გალაკტიონი მობრძანდა.
მთაში რაცაა მზის გულში,
ისაა ბარად გაშლილი,
დეკემბრის ოთხში, მერანზე
ზის ტატო ბარათაშვილი.
აი, ოცდაერთ დეკემბერს,
მე ჩემს კალენდარს ვტოვებ და
სოსო ჯულაშვილს მივიჩნევ,
მართლა ბრწყინვალე პოეტად.

მიჩიგანის ერთერთი კლინიკის ქართველი პრეზიდენტი, ექიმი **ზაზა ბოძიაშვილი** ოჯახთან ერთად გილოცავთ ახალ წელს!

| | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშ | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 |
| სამ | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 |
| ოთხ | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 |
| ხუთ | 4 11 18 25 | 1 8 15 22 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 |
| პარ | 5 12 19 26 | 2 9 16 23 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 |
| შაბ | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 |
| კვ | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 |

| | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშ | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 3 10 17 24 31 |
| სამ | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 4 11 18 25 |
| ოთხ | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 5 12 19 26 |
| ხუთ | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 6 13 20 27 |
| პარ | 6 13 20 27 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 7 14 21 28 |
| შაბ | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 1 8 15 22 29 |
| კვ | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 2 9 16 23 30 |

ბზობა - 1 აპრილი
აღდგომა - 8 აპრილი
ამაღლება - 17 მაისი
სულთმოფენობა - 27 მაისი

ქრისტეშობა - 7 იანვარი
ნათლისღება - 19 იანვარი
მირქმა - 15 თებერვალი
ხარება - 7 აპრილი

ფერიცვალება - 19 აგვისტო
მარიამობა - 28 აგვისტო
ღვთისმშობ. შობა - 21 სექტემბერი
ჯვართამაღლება - 27 სექტემბერი

ნინოობა - 27 იანვარი
გიორგობა - 6 მაისი
თამარობა - 14 მაისი
პეტრე-პავლობა - 12 ივლისი

**ერთდღიანი მარხვები:**
18 იანვარი (ნათლისღების წინა დღე)
11 სექტემბერი (იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთის დღე)
27 სექტემბერი (ჯვართამაღლება)

**დიდი მარხვები:**
აღდგომისა - 19 თებერვლიდან 8 აპრილამდე;
პეტრე-პავლობისა - 4 ივნისიდან 12 ივლისამდე;
მარიამობისა - 14 აგვისტოდან 28 აგვისტომდე;
შობისა - 28 ნოემბრიდან 7 იანვრამდე.